ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი



www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№225 (284) 25 ივნისი-2 ივლისი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ოპოზიცია თუ დესტრუქციული ძალა?..

მცნება **“ოპოზიცია”** უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით ნიშნავს ვისიმე ან რისამე წინააღმდეგ მოქმედებას, თავისი შეხედულებების ან პოლიტიკოსის დაპირისპირებას სხვისი შეხედულებების ან პოლიტიკისადმი, რაიმე საზოგადოების, ორგანიზაციის შიგნით არსებულ გარკვეულ ჯგუფს, რომელიც თავის შეხედულებებს, თავის პოლიტიკას უპირისპირებს უმრავლესობის შეხედულებებსა და პოლიტიკას. **“დესტრუქციული”** კი გახლავთ ყოველივე ის, რაც ხელს უშლის საზოგადოების განვითარებას, სახელისუფლებო სტრუქტურების გამართულ მუშაობას, რაიმე შეთანხმებების მიღწევას სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის.

ახლა, მოდით, განვიხილოთ სადღეისოდ **“ოპოზიციად”** წოდებული, ერისა და ქვეყნის ჯერჯერობით მოურჩენელ სახადად დარჩენილი **“ნაციონალური მოძრაობის”** საქმიანობა და თავად გააკეთეთ დასკვნა – ეს სიმახინჯე ჭეშმარიტი, ქვეყნის ბედზე ზრუნვით დამაშვრალი ოპოზიციაა, თუ დესტრუქციული, ანტისახელმწიფოებრივი, ნეგატიური ძალა, რომელიც ყოველი საძრახისი მეთოდის გამოყენებით ცდილობს დაიბრუნოს სალაფავად ქცეული სახელმწიფოს მართვის ბერკეტები და მისთვის ჩვეული **“შემართებით”** გააგრძელოს ქართველი ხალხისა და საქართველოს ძარცვა-გლეჯა.

ახლა კი, მოდით, ჯერ დავადგინოთ მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური **“ოპოზიციის”** ნორმალური საქმიანობისათვის, მათ ხელთ არსებული აუცილებელი რესურსები და შევუდაროთ იგი დღეს **“ოპოზიციად”** წოდებული ავადსახსენებელი **“ნაცმოძრაობის”** ხელში თავმოყრილ მრავალ პოლიტიკურ თუ ადმინისტრაციულ ბერკეტს, რომელთა გამოყენებითაც ისინი ყოველმხრივ უშლიან ხელს ქვეყნის პოლიტიკურ წინსვლას თუ ეკონომიკურ აღმავლობას.

უკანასკნელ პერიოდში ჰომოსექსუალიზმისა და სხვა გარყვნილებათა მხარდამჭერი ქართული არასამთავრობოების საეჭვოდ გააქტიურება სწორედ ნაციონალთა საბოტაჟის შედეგი გახლავთ, რათა გამოიწვიონ საზოგადოების პროტესტი, ერთმანეთს დაუპირისპირონ ადამიანები და დაბლა დასცენ არჩევნების გზით მოსული ხელისუფლების ავტორიტეტი.

ან თუნდაც, რუსეთთან, უკანასკნელ დროს, სავსებით გაუგებარი და ხელოვნურად პროვოცირებული მიზეზების გამო შექმნილი დაძაბულობა, რაც იმის ეჭვს ბადებს, რომ ნაცებისადმი გარკვეული სიმპატიებით განწყობილი რუსული პოლიტიკური თუ ფინანსური წრეები (ამგვარები კი რუსეთში საკმაოზე მეტნი არიან), რომელთაც არ სურთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა მოწესრიგება, სპეციალურად ახდენენ აბსურდული ქმედებებით გამოწვეული დაძაბულობის ესკალაციას.

ამრიგად, დღევანდელ ქართულ **“ოპოზიციას”** თავში უდგას ქვეყნის პრეზიდენტი, რომლის ამალაში შედიან პარლამენტის საგრძნობი ნაწილი, ქვეყნის უშიშროების საბჭო და მისი მდივანი, ეროვნული ბანკის მმართველი, თბილისის მერი თავისი აპარატითა და რაიონული ორგანიზაციებით, სახელმწიფო სტრუქტურებში ჩანერგილი არაკეთილსინდისიერი ჩინოვნიკები, ხორცმეტად ქცეული, მაღალანაზღაურებადი სამეთვალყურეო საბჭოები, ე.წ. გუბერნატორები და საქართველოს მეტი წილი რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, კანონიერი მეპატრონეებისაგან ყაჩაღურად წართმეული ტელეარხები და მათ მიერვე შექმნილი, სატანას სულმიყიდული, ანგაჟირებული არასამთავრობოების მთელი არმია...

ძალიან მსუქე ქონება ხომ არ არის ოპოზიციისათვის?

როგორ გგონიათ, თუ ასეთი ანგარიშგასაწევი ძალა მისთვის სასურველ შედეგს ვერ მიიღებს, იგი არ შეეცდება **“ხელები გადაუგრიხოს” “მეოცნებეთა”** მთავრობას, ყოველი საძრახისი მეთოდების გამოყენებით?

დათვალეთ, რამდენჯერ შეუშალა ხელი თავქარქაშა სააკაშვილმა პარლამენტის უამრავ სასარგებლო საკანონმდებლო ინიციატივას, თავისი ყბადაღებული ვეტოს გამოყენებით, და რომ არა პარლამენტის ჩვენთვის სასარგებლო ელექტორალური ბალანსი, რომელმაც არაერთგზის დაძლია პრეზიდენტის სულელური ვეტო, ქვეყანა კვლავაც ნაციონალების მიერ შექმნილ საკანონმდებლო ჭაობში იქნებოდა ჩარჩენილი!

რა არის ეს, თუ არა დესტრუქციული საქმიანობა?

როგორ შეიძლება, რომ ამგვარ კრიჭაში ჩადგომას დავარქვათ ჯანსაღი ოპონირება?

ივანიშვილის ხელისუფლება კი ამას კოაბიტაციას ეძახის, რაც არასწორია. კოაბიტირება, ესე იგი ქვეყნის ინტერესებისათვის სასარგებლო ურთიერთთანამშრომლობა, შეიძლება მხოლოდ ნორმალურ, ქვეყნის ბედით დაინტერესებულ პოლიტიკურ ძალასთან და არა ზნეობაატროფირებულ, სიხარბით გამორჩეულ ბანდიტთა ისეთ ჯოგთან, როგორიცაა ავადსახსენებელი **“ნაციონალური მოძრაობა”**.

დღეს, შუაში გაყოფილ პარლამენტსა და თუ პარლამენტს გარეთ **“მოყუჩებულ ოპოზიციას”** მხოლოდ ორი მთავარი საზრუნავი აქვს: შედარებით სუფთა ხელების მქონე ნაციონალები (მათი რიცხვი კი ძალზე მცირეა) საკუთარი პოლიტიკური მომავლის შენარჩუნებას დაჰკანკალებენ, დანარჩენი გაბანდიტებული ნაცები კი ყაჩაღობითა და არაკაცობით ნაშოვნი ფულისა და ქონების გადარჩენას არიან გადაგებულები.

წინა ხელისუფლების ხერხემლად წოდებული ვანო მერაბიშვილის დაკავების შემდეგ ეს თემა კვლავ აქტუალური გახდა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ თუ **“ნაციონალური მოძრაობის”** პრაგმატული ნაწილისთვის მერაბიშვილის დაკავება დიდი დარტყმა იყო, პოლიტიკაზე მზრუნველთა ნაწილს კი მისი გისოსებს მიღმა აღმოჩენა კიდეც გაუხარდა.

ერთ-ერთი ვერსიით, მერაბიშვილის დაკავება მიხეილ სააკაშვილსაც გაუხარდა, ამას სარწმუნოდ მიიჩნევს მრავალი ექსპერტი, რომელთა აზრით, სააკაშვილი ფიქრობს, რომ ხელისუფლება ორი ძალოვანი მინისტრის (ახალაიას და მერაბიშვილის) დაკავებას დასჯერდება და ზედმეტი გართულების თავიდან არიდების მიზნით, პრეზიდენტის დაკავებას ვეღარ გაბედავს.

მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილმა მერაბიშვილის გასამართლებას უახლესი ისტორიის გასამართლება უწოდა, ამ დაკავებისთვის პოლიტიკური სარჩულის მიცემით ისევ თვითონ იწერს ქულებს და ბრძოლის იარაღად იყენებს. ვანო მერაბიშვილის დაკავება მხოლოდ პრეზიდენტს არ გახარებია. როგორც უკვე აღვნიშნე, ნაციონალებში არიან ადამიანები, რომელთაც კრიმინალური წარსული არა აქვთ და ახალი პოლიტიკური ცხოვრების დაწყების შანსები ჯერ კიდევ გააჩნიათ, თუმცა ხვდებიან, რომ **“ნაციონალური მოძრაობისაგან”** გამიჯვნისა და ახალი პოლიტიკური იმიჯის შექმნის გარეშე ამას ვერ მიაღწევენ. ასეთები სულ თითზე ჩამოსათვლელები არიან. მერაბიშვილის დაკავებით კი მათ ხელ-ფეხი გაეხსნათ და არ გამოვრიცხავ, რამდენიმე მათგანმა უახლოეს მომავალში ნაციონალების პარტია საბოლოოდ დატოვოს.

მერაბიშვილის დაკავების შემდეგ მიხეილ სააკაშვილი ნაციონალების ე.წ. ობშჩიაკის საიმედოდ დაბინავებას და დიდი ნაწილის მითვისებასაც ეცდება, თუმცა მთლიანად ვერ მიითვისებს, რადგან ამ **“ობშჩიაკს”** მის გარდა მერაბიშვილი და ადეიშვილიც განაგებდნენ.

ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ უკანასკნელ დღეებში ყოფილი ჩინოვნიკების თუ მათი მეუღლეების საზღვარგარეთული ვოიაჟები გახშირდა.

მათი ეს ვიზიტები სწორედ **“ობშჩიაკს”** უკავშირდებოდა. სააკაშვილი ბევრსაც რომ ეცადოს, ამ ობშჩიაკს ხელში მთლიანად ვერ ჩაიგდებს. ფული რამდენიმე ქვეყანაში, სხვადასხვა ბიზნესშია დაბანდებული. საქმე ეხება ძალიან დიდ ფულს და ყველამ კარგად იცის, ეს ფული რა გზით აქვთ ნაშოვნი და რა მასშტაბისა შეიძლება იყოს. გამოითქვა მოსაზრებებიც, რომ პრეზიდენტის ბოლოდროინდელი ვიზიტები ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ბიზნესების გადატანას და უსაფრთხოდ დაბინავებას, ასევე საჭიროების შემთხვევაში თავშესაფრის გარანტიების მიღებას უკავშირდება.

საზოგადოების აზრით **“ნაციონალური მოძრაობა”** დღეს ოთხ შემადგენელ ნაწილადაა გაყოფილი – პრეზიდენტ სააკაშვილის გუნდი, რომელიც, მისი თქმით, რამდენიმე პოლიტიკოსი ქალითღა შემოიფარგლება (ქალების გარეშე ხომ მიხეილ სააკაშვილს **“მუშაობა”** არ შეუძლია), ვანო მერაბიშვილის გუნდი, ახალაიების კლანის გუნდი და საპარლამენტო გუნდი.

საპარლამენტო გუნდში ნაციონალი დეპუტატების მხოლოდ ის ნაწილი მოიაზრება, ვისაც შედარებით სუფთა წარსული აქვს და ოპოზიციონერი პოლიტიკოსის სტატუსი მხოლოდ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად არ სჭირდებათ. ამიტომ, მათი აზრით, მერაბიშვილის დაკავება დეპუტატთა ამ ნაწილისათვის არცთუ ისე დიდი ტრაგედიაა.

პოლიტიკოსთა აზრით, მერაბიშვილი ტრაგიკული პიროვნებაა, რადგან მისი დაჭერა არათუ მოსახლეობის უმრავლესობას და მისი თანაგუნდელების ნაწილს გაუხარდა, ამ ამბავს მისი ოჯახის წევრებიცა და მეგობრებიც დიდად არ დაუმწუხრებია.

რაც შეეხება ვერსიას პრეზიდენტისა და მერაბიშვილის დაპირისპირებას შესახებ, ეჭვები ამის თაობაზე 19 აპრილის აქციაზე დადასტურდა, როცა მერაბიშვილმა სააკაშვილის სიტყვით გამოსვლისას ტრიბუნა უკმაყოფილო სახით დატოვა. მერაბიშვილის დაკავების შემდეგ პირველივე გამოსვლაში ჩანდა, რომ სააკაშვილი დიდად არ იყო დამწუხრებული მისი დაჭერით. როცა გემი იძირება, ვირთხები გემიდან გარბიან, მაგრამ ისეც ხდება, რომ ვირთხები ერთმანეთს ჭამენ და მათგან კაციჭამია ვირთხები გამოჰყავთ. **“ნაციონალური მოძრაობის”** შემთხვევაში სწორედ ამ უკანასკნელთან გვაქვს საქმე. გამონაკლისი მხოლოდ გიგი უგულავა და მერაბიშვილის გუნდის დანარჩენი წევრები არიან. უგულავა და მის მდგომარეობაში მყოფი ნაციონალები ბოლომდე იბრძოლებენ მერაბიშვილის დასაცავად, რადგან ის მათი ზურგი იყო და იციან, რომ ვანოს შემდეგ დასაჭერად მათ მიადგებიან,– აცხადებენ საქმეში ჩახედული პოლიტიკოსები.

ახლა, თავად განსაჯეთ, შესძლებს კი ამგვარი **“ოპოზიცია”** სახელმწიფო საქმეებზე ზრუნვას?

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ – არჩევნების გაყალბებით პარლამენტში მოსული **“ოპოზიციად”** წოდებული **“ნაცუმცირესობა”**, რომელთა რაოდენობა აშკარად აჭარბებს ქართული ელექტორატის ნებას, არის წმინდა წყლის დესტრუქციული ძალა, რომელსაც მხოლოდ დალაგებული სიტუაციის არევა და ქვეყანაში მიმდინარე პოზიტიური პროცესებისამი საბოტაჟი ძალუძს.

ამიტომ მოითხოვს ქართველი ხალხი რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას, რათა საკანონმდებლო ორგანოში დადგეს ელექტორატის ნების შესაბამისი ბალანსი.

გამორიცხული არ გახლავთ, რომ მკვლელობებსა და პოლიტიკურ ავანტიურებში გაწაფულმა ნაცებმა (განა სწორედ მათ კისერზე არ არის ზურა ჟვანიას, გურამ შარაძის, ბადრი პატარკაციშვილისა და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა თუ ახალგაზრდების მკვლელობები?) ახალი უბედურება დააატრიალონ ქვეყანაში, რასაც შფოთი და სისხლისღვრა მოჰყვება? ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ სააკაშვილსა და მის ბანდას პატრონაჟს უწევენ ქვეყნის გარეთ მოღვაწე დაშნაკცუტიუნელი რეაქციონერები და ის ამერიკელი თუ ევროპელი **“მამები”**, რომელთაც თავიანთი ბინძური ინტერესები გააჩნიათ საქართველოში?

განა სწორედ მათი სიხარბის წყალობით არ დაედო საქართველოს 12-მილიარდიანი საგარეო ვალი, რომელიც ჩვენი შვილებისა და შვილისშვილების გადასახდელი იქნება? ამ თანხის ნახევარი ხომ სწორედ ევროამერიკელ ჩინოვნიკებს დაუბრუნეს ფულის შოვნაში გაწაფულმა ნაციონალებმა, ე.წ. **“ატკატების”** სახით?!

რატომ გვგონია, რომ ამ გადამთიელ მკვლელებს საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების თავკაცებამდეც არ მიუწვდებათ მსახვრალი ხელი?

მაპატიეთ ამგვარი მკრეხელური აზრის გამოთქმა, მაგრამ მოკლული ვეფხვაფერს გაიგებს, არეულ-დარეულობაში ჩართული ქართველი ხალხი კი ახალ ომში შთაინთქმება და გადაშენების დიდი საშიშროების წინაშე აღმოჩნდება!

სრულიად საქართველო რეალურად აცნობიერებს კაცთმოძულე ნაცებისაგან მოსალოდნელ საფრთხეს და ამიტომაც მოითხოვს დაბეჯითებით რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას, სადაც ნაციონალური მოძრაობა, მათთვის ჩვეულად ქცეული გაყალბების გარეშე, ეჭვსგარეშეა, ვერასგზით ვერ მოახერხებს მინიმალური ბარიერის გადალახვასაც კი.

ეს კი ქართველი ამომრჩეველის ნება იქნება, რასაც ყველამ უნდა გაუწიოს ანგარიში, რადგან საქართველოს პარლამენტს სჭირდება ქვეყნის ბედზე მზრუნველი ოპოზიცია და არა დესტრუქციული ძალა, რომელიც 9 წლის განმავლობაში ანგრევდა ქართულ სახელმწიფოებრიობასა და სულიერებას და კვლავაც დაუძლეველი ჟინით ისწრაფვის წარსულისაკენ!

ხელისუფლება კი ვალდებულია მორჩილად აღასრულოს ხალხის ნება!

როლანდ ჯალაღანია,
“აია”-ს და “ფაზისი”-ს
აკადემიების წევრი

P.S. ამას წინათ ამერიკის კონგრესმა გაგვაფრთხილა, რომ თუ ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების დაჭერებს კვლავაც გააგრძელებთ, თქვენთან ურთიერთობას შევწყვეტთო. არავინ მინახავს, რომ ამ ამბით დამწუხრებულს თავში ხელები წაეშინოს, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ ამერიკიდან გარყვნილებისა და უბედურების მეტი არაფერი შემოდის.

დამნაშავე კი ციხეში უნდა იჯდეს!

რ.ჯ.

დაბადებიდან 120 წელი შეუსრულდა აფხაზეთის გამოჩენილ საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეს ნესტორ ლაკობას

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს დიდ დარბაზში გაიმართა ამ მოვლენისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

"ახლა, როცა ნესტორ ლაკობას დაბადებიდან 120 წელი შეუსრულდა, ჩვენ თავს მოვალედ მივიჩნევთ კვლავაც ღირსეული პატივი მივაგოთ ამ დიდი ადამიანის წმინდა ხსოვნას, რომელიც 43 წლის ასაკში დაიღუპა ტრაგიკულად, მაგრამ ხალხის სიყვარული და პატივისცემა არ დაუკარგავს", – აღნიშნა აფხაზეთის კომპარტიის ლიდერმა ლევ შამბამ.

მან აღნიშნა, რომ აფხაზეთში უამრავი წიგნი მიეძღვნა ამ ღირსეულ ადამიანს, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ გიორგი ძიძარიას, მიხეილ ბღაჟებას, სტანისლავ ლაკობას, გიორგი გუბლიას და ადილე აბას-ოღლის ნამუშევრებს. ლევ შამბამ გამოთქვა იმედი, რომ აფხაზეთის საზოგადოებრიობისა და რესპუბლიკის ხელისუფლების საერთო ძალისხმევით მალე დასრულდება ნესტორ ლაკობას სახლ-მუზეუმის სარემონტო სამუშაოები, რომელიც ძმათამკვლელი ომის დროს თითქმის მთლიანად დაინგრა. მან ასევე აღნიშნა, რომ ლაკობას სახელის უკვდავსაყოფად უამრავი საქმე კეთდება მისი სახელობის №10 სკოლაში.

"ამ დღეებში, აფხაზეთის ტელევიზიამ, უამრავი ფილმი და ტელეგადაცემა მიუძღვნა ცნობილი რევოუციონერისა და სახელმწიფო მოღვაწის ცხოვრებასა და საქმიანობას", – აღნიშნა შამბამ და, ამავდროულად, მადლობა გადაუხადა კომპანია "**a-mobail**"-ს სოხუმში მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული ბანერების განთავსებისათვის.

ნესტორ ლაკობასადმი მიძღვნილი ღონისძიებების ძირითადი ნაწილი დიდი რევოლუციონერის მშობლიურ გუდაუთის რაიონში გაიმართა.

ნესტორ ლაკობას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე საინტერესო მოხსენება გააკეთა აფხაზეთის ჰუმანიტარული კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა ვასილ ავიძბამ. **"1893 წელს აფხაზეთში ორი ლიდერი დაიბადა – ნესტორ ლაკობა და ეფრემ ეშბა"**, – აღნიშნა მომხსენებელმა.

მან შეახსენა დამსწრეთ, რომ იმ პერიოდში აფხაზი ხალხი დათრგუნული იყო ცარიზმის მიერ როგორც **"დამნაშავე ერი"** და განიცდიდა საშინელ რეპრესიებს, რის გამოც მოსახლეობის დიდი ნაწილი ოსმალეთში გაიხიზნა, აფხაზეთი კი გადაინათლა სოხუმის სამხედრო განყოფილებად (1864-1883 წლები), რომელიც ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა. ამანაც განაპირობა ის ამბავი, რომ ამ პერიოდში დაბადებული თაობა, მიუხედავად დიდი გაჭირვებისა და რეალური საფრთხისა, მიზნად ისახავდა აფხაზეთის სახელმწიფოებრიობისა და საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენას.

ნესტორ ლაკობა 1893 წელს დაიბადა აფხაზეთის ულამაზეს სოფელ ლიხნში. იგი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა დაკვირვებულობით, განათლებისადმი ლტოლვით და უსამართლობისადმი შეურიგებლობით. ნესტორ ლაკობა წინააღმდეგობის მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის 1911 წელს გარიცხეს თბილისის სასულიერო სემინარიიდან, რის შემდეგ გახდა კომპარტიის წევრი (1912 წელი) და რევოლუციური მოღვაწეობა გააგრძელა ბათუმსა და გროზნოში.

1916-1917 წლებში ნესტორ ლაკობა მუშაობდა შავი ზღვის რკინიგზაზე, სადაც, ამავდროულად, ეწეოდა რევოლუციურ პროპაგანდას რკინიგზის ხაზების მშენებელთა შორის. 1916 წელს, ლაკობას თაოსნობით, ქალაქ გუდაუთაში შეიქმნა ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელმაც ფართოდ გაშალა რევოლუციური პროპაგანდა აფხაზ მოსახლეობას შორის. 1918 წლის გაზაფხულზე, ნესტორ ლაკობა ს. კუხალეიშვილთან, ე. ეშბასა და გ. ათარბეკოვთან ერთად ხელმძღვანელობდა აფხაზეთის მშრომელთა აჯანყებას, რომლის შემდეგ იგი სამუშაოდ ყუბანში გადავიდა, სადაც თავდაუზოგავად ებრძოდა თეორგვარდიელთა სამხედრო შენაერთებს, შემდეგ კი აფხაზეთში სათავეში ჩაუდგა პარტიზანულ მოძრაობას. 1919 წლიდან კი აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა აჭარაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნესტორ ლაკობა მუშაობდა აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარედ, სამხედრო-საზღვაო საქმეთა კომისრად, სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ, აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. მოგვიანებით ნესტორ ლაკობა იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრი, იყო საკავშირო კომპარტიის XIII, XV და XVII ყრილობების დელეგატი. დაჯილდოვდა ლენინის ორდენითა და შრომის წითელი დროშის ორდენით.

ვიქტორ ჰიუგოს ეკუთვნის სიტყვები: **"რევოლუცია იმ სფინქსს ჰგავს, რომელიც საკუთარ შვილებს სჭამს ხოლმე".** სწორედ ამგვარი სფინქსი აღმოჩნდა ნესტორ ლაკობასათვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ის გადამწყვეტი ეტაპი, რომელმაც დაუმსახურებლად შეიწირა ღირსეული ადამიანი და სამშობლოსათვის თავდადებული პატრიოტი.

ამიტომაც აღნიშნავდნენ საიუბილეო შეკრების მონაწილეები ხაზგასმით ნესტორ ლაკობას როლზე აფხაზი ხალხისა და აფხაზეთის ისტორიაში. ამ პიროვნებისადმი ხალხის უანგარო სიყვარულზე ისაუბრეს სოხუმის ლაკობას სახელობის მე-10 სკოლის დირექტორმა ლარისა ბარციცმა, აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარემ კონსტანტინე ოზგანმა და ოჩამჩირის საშუალო სკოლის პედაგოგმა დენის ქუჩუბერიამ.

პირველმა ვიცე-პრემიერმა ინდირა ვარდანიამ აღნიშნა ნესტორ ლაკობას მიერ ადამიანებთან საოცრად გულწრფელი და ობიექტური დამოკიდებულების თაობაზე, რაც მისი უკიდეგანო ავტორიტეტის ქვაკუთხედი გახლდათ. იგი ყოველნაირად ცდილობდა, რომ თავისი ხალხის ინტერესები დაეცვა კოლექტივიზაციის მძიმე წლებში, რაც შემდეგ მის საწინააღმდეგო ბრალდებად გამოიყენეს აფხაზი ხალხის ჭეშმარიტმა მტრებმა. ნესტორ ლაკობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა აფხაზეთის საზოგადოების სოციალურ-კულტურულ განვითარებას, განათლების სისტემას, ეროვნული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს, ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების განვითარების საქმეს.

მაგრამ, სამწუხაროდ, მას არ მიეცა დიდი გეგმების განხორციელების საშუალება. ნესტორ ლაკობას დაღუპვის შემდეგ (არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ იგი მოწამლეს) საბჭოთა კავშირს დიდი ტერორი დაატყდა თავს – დახვრიტეს და მოუსავლეთში გადაასახლეს როგორც დამნაშავეები, ასევე უდანაშაულოები. თავად ნესტორის დაღუპვას მიაწერენ იმ ფაქტს, რომ მან ერთხელ მკაცრად გააკრიტიკა ხელისუფლების პოლიტიკა, რომლის შედეგად სრულად გაღარიბდნენ მისი თანასოფლელები. მაშინ კი არავინ განიკითხავდა მტყუან-მართალს, სპეციალურად შექმნილ **ჩკ**-ს სამეულებს რამდენიმე საათში, ყოველგვარი წინასწარი გამოძიების გარეშე, გამოჰქონდათ ადამიანებისათვის საბედისწერო განაჩენი.

კონსტანტინე ოზგანმა აღნიშნა, თუ რაოდენ აუცილებელია ახალი თაობის აღზრდა წარსულის სახელმწიფო და პარტიული მოღვაწეების ხსოვნისადმი ღრმა პატივისცემის ნიშნით. ასევე დაისვა ნესტორ ლაკობას მეუღლის – სარია ლაკობას ხსოვნისადმი სათანადო პატივის მიგების საკითხი.

აღნიშნულ ღონისძიებას დაესწრნენ აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ალექსანდრე ანქვაბი, რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი მიხეილ ლოგუა, აფხაზეთის პარლამენტის სპიკერი ვალერი ბგანბა, რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა, პარლამენტის დეპუტატები, ლაკობათა საგვარეულოს წარმომადგენლები.

აფხაზეთის ხელისუფლება საერთაშორისო ორგანიზაციებს თანამშრომლობის ახალ ფორმატს სთავაზობს

რესპუბლიკის ხელისუფლებას მიაჩნია, რომ აფხაზეთში აკრედიტებულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა აუცილებლად უნდა გადახედონ საკუთარ სამუშაო ფორმატს და მაქსიმალურად უნდა მიუსადაგონ იგი დღეს არსებულ რეალიებს. საერთაშორისო არასამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან სოხუმში გამართულ შეხვედრაზე ეს იდეა გააჟღერა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ლეონიდ ლაკერბაიამ. უპირველესად ეს უნდა გაკეთდეს აფხაზეთის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან გამართული შეხვედრა ლეონიდ ლაკერბაიამ სტუმრების მიმართ სამადლობელო სიტყვებით დაიწყო. **"თქვენ ფასდაუდებელ დახმარებას გვიწევთ აფხაზეთის მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრაში"** – აღნიშნა პრემიერმა. თავის მხრივ, სტუმრებმაც მადლობა გადაუხადეს ლაკერბაიას აღნიშნული შეხვედრის მაღალ დონეზე მოწყობისათვის.

ჰუმანიტარულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა გააკეთეს ინფორმაცია მიმდინარე წელს ჩატარებული სამუშაოების თაობაზე. 12 არასამთავრობო ორგანიზაცია საქმეებს უძღვება სხვადასხვა სფეროებში – დაწყებული ჯანმრთელობის დაცვით და დამთავრებული სოფლის მეურნეობითა თუ კომუნალური სამსახურებით.

– აფხაზეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები ძალისხმევას არ აკლებენ საკმაოდ დიდი რაოდენობის პრობლემების აღმოსაფხვრელად დაგეგმილ სამუშაოთა განხორციელების საქმეს. ისინი ეხმარებიან ადამიანებს ჯანმრთელობის აღდგენის ხაზით, ზრუნავენ განათლების სისტემის დახვეწისა და სწავლების დონის ამაღლებაზე, მოსახლეობის საცხოვრებელ სახლებს უცვლიან ძველ სახურავებს, ატარებენ წყლის მიწოდების ინფრასტრუქტურის გაყვანის სამუშაოებს, რაც ესოდენ აუცილებელია მოსახლეობისათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად, – აღნიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ბატონმა ჯეიმს მაკგოლდრიკმა.

აფხაზეთში უკვე დიდი ხანია მუშაობენ სხვადასხვა უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციები. მაგალითად, **"წითელი ჯვრის"** ორგანიზაცია აქ უკვე ოცი წელიწადია აქტიურად მოქმედებს.

– ისინი მართლაც ფასდაუდებელ დახმარებას გვიწევენ, ომის დამთავრების შემდეგ. ახლა კი, როცა აფხაზეთის რესპუბლიკაში შეინიშნება სოციალურ-ეკონომიკური სფეროს ზრდის ტენდენციები, ზოგიერთ დარგში არასამთავროების დახმარება აზრს კარგავს. ამიტომ, აუცილებელია, არსებული რეალიების გათვალისწინებით, მოხდეს ძალების გადაჯგუფება, რათა დახმარება ბევრად ხარისხიანი, ქმედითი და ეფექტური გახდეს, – აღნიშნა ლეონიდე ლაკერბაიამ. მანვე სთხოვა არასამთავრობოებს, რომ მეტი ყურადღება დაუთმონ გალის რაიონს, რათა მოხდეს ამ რაიონის მოსახლეობის მაქსიმალურად ინტეგრირება აფხაზურ საზოგადოებასთან.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ გაეროს, იუნისეფის, ნორვეგიის დევნილთა საბჭოს, "**World Vision International**"-ის, **"ექიმების საზღვრის გარეშე", "მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ"** და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა განვითარების პროგრამების ხელმძღვანელები. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ ჩირიკბა, მინისტრის მოადგილეები ირაკლი ხინთბა და ოლეგ არშბა.

აფსნი პრესი.

ალექსანდრე ანქვაბმა მოუწოდა საგადასახადო სამსახურებს, რომ გააააქტიურონ მუშაობა გაგრის რაიონსა და სოხუმში

აფხაზეთის პრეზიდენტმა ბატონმა ალექსანდრე ანქვაბმა მიიღო რესპუბლიკის საგადასახადო შემოსავლების მინისტრი რაუფ ციმცბა. შეხვედრაზე განხილულ იქნა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, რითაც მიმდინარე წელს შეივსო ქვეყნის ხაზინა.

სამწუხაროდ, ეკონომიკა ჯერ კიდევ არ არის აფხაზეთში სათანადოდ აღორძინებული და, დასამალი არაა, რომ ქვეყნის ბიუჯეტის შევსება ძირითადად ხდება ფისკალური პოლიტიკის ხარჯზე. ამიტომაც ენიჭება ესოდენ დიდი მნიშვნელობა საგადასახადო სამსახურების გამართულ მუშაობას.

საგადასახადო დარგის მინისტრმა დაწვრილებითი ანგარიში წარუდგინა პრეზიდენტს და აღნიშნა, რომ გადასახადების ამოღების მიმდინარე წლის გეგმა ჯერჯერობით შესრულებულია გადაჭარბებით – 106 პროცენტით, რაც თავისთავად მიანიშნებს ქვეყნის გარკვეულ ეკონომიკურ წინსვლაზე.

2013 წლის ხუთი თვის განმავლობაში, 2012 წლის ხუთი თვის მონაცემებთან შედარებით ქვეყნის ბიუჯეტში შესულია 40 მილიონი რუბლით მეტი, მაგრამ ზოგიერთ აღმოსავლეთ რეგიონში მაინც შეინიშნება გარკვეული ჩამორჩენა. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ რაიონებს მხარში ამოდგომა და განსაკუთრებული დახმარება სჭირდება.

ალექსანდრე ანქვაბი დაინტერესდა სოხუმსა და გაგრაში არსებული მდგომარეობით.

მინისტრმა მოახსენა პრეზიდენტს, რომ, მის ხელთ არსებული მონაცემებით, არც ქალაქ გაგრაშია ურიგო მდგომარეობა. შემოსავალი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რაც ციმბამ ადგილობრივი საგადასახადო სამსახურის გამართულ და აქტიურ მუშაობას დაუკავშირა.

– ჩვენ შემუშავებული გვქონდა გაზაფხული-ზაფხულის სამოქმედო გეგმა, რამაც უკვე მოგვცა შედეგი, – აღნიშნა მინისტრმა.

რაც შეეხება სოხუმს, მინისტრმა აღნიშნა, რომ აქ მდგომარეობა უფრო რთულია. მთელ აფხაზეთში საგადასახადო დავალიანება 87 მილიონ რუბლს შეადგენს, საიდანაც 33 მილიონი რუბლი სოხუმზე მოდის, 27 მილიონი რუბლი კი – გაგრის რაიონზე.

ამიტომაც მოუწოდა ალექსანდრე ანქვაბმა საგადასადო სამინისტროს ქვედანაყოფებს, რომ გააააქტიურონ მუშაობა გაგრის რაიონსა და სოხუმში.

ამ შეხვედრის დაწვრილებითი ანგარიში გამოაქვეყნა პრეზიდენტის საინფორმაციო სამმართველომ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲭᲘᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲝᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘᲡᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ 2013 წლის მე-19, მე-20 და 21-ე ნომრებში გამოქვეყნდა მთავარი რედაქტორის, ბატონ ირაკლი თოდუას ინტერვიუ გამოჩენილ ქართველ პოლიტიკოსთან ალექსანდრე ჭაჭიასთან. მისასალმებელია, რომ ეს ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი, მიუხედავად „ახალგაზრდობისა“, დღეს ქართული პერიოდული პრესის ერთ-ერთ უდავო ლიდერად გვევლინება, რასაც ადასტურებს მის პუბლიკაციებზე უამრავი გამოხმაურება.

წარმოგიდგენთ ზოგიერთ მათგანს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამჯერადაც გაზეთმა არ უდალატა მის შემოქმედებაში მტკიცედ დამკვიდრებულ ტრადიციას და თავისი გვერდები „უხვად“ დაუთმო საუბარს გამოჩენილ ქართველ მეცნიერ-პოლიტიკოსთან, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიასთან, რომელიც თამამად შეიძლება ითქვას, რომ, განსხვავებით რიგი ქართველი ეგრეთ წოდებული პოლიტიკოსებისა თუ პოლიტოლოგებისგან, განსაკუთრებით კი პოლიტიკანებისგან, დიდი ერუდიციის ხარჯზე, **„ახერხებს“**, ღრმად ჩასწვდეს ქვეყანაში არსებული ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დეგრადაციისა და დეზორგანიზაციის არსს, ჩამოაყალიბოს არსებული უმძიმესი პრობლემების გადაჭრის კონსტრუქციული ხედვა, რომელიც ყველაფერთან ერთად იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ სრულად შეესაბამება, შეიძლება ითქვას, კიდეც ემთხვევა საქართველოში მცხოვრები, აგრეთვე, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების ფართო მასების მიერ დღეს უკვე გაცნობიერებულ ინტერესებსა და მოთხოვნებს, რაც, საბედნიეროდ, პრინციპულად ეწინააღმდეგება ყოფილი მმართველი **„ელიტის“** – ნაცმოძრაობელების ფარულ თუ აშკარა განზრახვებს...

ბატონ ალექსანდრე ჭაჭიასთან სამ ნაწილად გაყოფილი ინტერვიუ, რომელთა სათაურებია: ***„თუ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ „ღირებულებებს“, დავიღუპებით“, „ქართული მიწა ეკუთვნის ქართველებს, ხოლო ერი მხოლოდ დღევანდელი თაობა როდია“*** და ***„ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, ავაშენოთ ისეთი საქართველო, როგორზეც ოცნებობდი...“***, **არის მრავალპლანიანი პუბლიკაცია, რომელიც მოიცავს ჩვენი დღევანდელი განსაცდელითა და შფოთით აღსავსე რეალური ცხოვრების მრავალ მხარეს და, რაც პირადად ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია, თითქმის სინქრონულად ემთხვევა საკმაოდ მრავალრიცხოვან ჩემს თანამოაზრეთა შეხედულებებსა და მისწრაფებებს.**

ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ბატონ ირაკლი თოდუასთან, ანუ გაზეთ **„საქართველოსა და მსოფლიოს“** მრავალრიცხოვან მკითხველთა აუდიტორიასთან საკმაოდ ხანგრძლივი და შთამბეჭდავი, გულწრფელი გასაუბრების ტექსტიდან, აგრეთვე ამ ცნობილი ავტორის სხვა პუბლიკაციებიდან, აგრეთვე, მათი ქვეტექსტებიდან, რომელიც საკმაოდ კარგად იკითხება, ნათელი ხდება, რომ ***ამ ახალგაზრდა კაცმა აღმოაჩინა და გააცნობიერა ისეთი ძირითადი წინააღმდეგობები, რომელიც, თუ შეიძლება ითქვას, სიცოცხლესთან შეუთავსებელი ჭრილობების თუ სხვაგვარი დაზიანებების მსგავსად, შეუთავსებელია საქართველოსა და მისი ქართული თუ სხვა ეროვნების მოსახლეობის საარსებო ინტერესებთან და შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ, როგორც განწირულ ავადმყოფზე იტყვიან ხოლმე, რომ „ან დღე მოკვდება, ან ღამე“*** (მკითხველს ვთხოვ, მომიტევოს ასეთი შედარება), ***ისე საქართველოც, დღეს იქნება ეს თუ ხვალ, საბოლოოდ განადგურდება როგორც სახელმწიფო, ხოლო ქართველი ერი გადაშენდება და, თუ არა სასწაულებრივი გამოფხიზლება და აქტიური მოქმედება, საქართველო დარჩება როგორც ტერიტორია, რომელიც სხვადასხვა ომისთვის, მაგალითად ამერიკასა და ირანს ან სულაც ამერიკასა და რუსეთს შორის, კარგ პოლიგონად გადაიქცევა...***

საქმე ისაა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფოს – ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს რეალური ინტერესები ურთიერთსაწინააღმდეგოა. მიუხედავად აქტიური სამშვიდობო რიტორიკისა, აშშ-ის მმართველი წრეებისა და საქართველოს დამაქცევარი ეგრეთ წოდებული ნაციონალური მოძრაობის ლიდერებისა, რომლებიც ბევრი ქართველის და მათ შორის ჩემი წარმოდგენით, სინამდვილეში ქართული წარმოშობის ამერიკელ პატრიოტებს უფრო ჰგვანან, ვიდრე ქართველ ნაციონალებს და ამიტომაც სარგებლობენ აშშ-ის, აგრეთვე, გაერთიანებული ევროპის მმართველი წრეებისა და სპეცსამსახურების ისეთი განსაკუთრებული მხარდაჭერით, რომ, უკვე კარგახანია, მათი ეგრეთ წოდებული პოლიტიკური საქმიანობა უფრო უცხოელ პარტნიორებთან ერთად ცალ კარში თამაშს მოგვაგონებს (ვგონებ, ისედაც ნათელია, თუ რომელ კარზე არის აქ ლაპარაკი).

მკითხველი ისე ნუ გამიგებს, რომ მე ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუს კომენტირებას ვცდილობდე. ჩემი ამოცანაა, კიდევ ერთხელ მივაქციო მკითხველი საზოგადების ყურადღება ამ მეტად საგულისხმო მასალას.

მასში დასმულ მრავალ საჭირბოროტო პრობლემათაგან გავიხსენებ ერთ მეტად მნიშვნელოვანს – რუსეთის ფედერაციასთან, აფხაზეთთან და ოსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას, რასაც, უდავოა, რომ დიდი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს არამარტო საქართველოსა და მისი მოსახლეობის, არამედ მთელი კავკასიის რეგიონისთვის. ამასთან დაკავშირებით ვაყენებ ფართო განხილვისთვის იდეას, ***ხომ არ გვეფიქრა ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატად წამოყენებისა და არჩევის შესახებ, მითუმეტეს, რომ იგი თავისი თეორიული მომზადებით, პრაქტიკული უნარებით, აგრეთვე, რუსეთთან, აფხაზეთთან და ოსეთთან ურთიერთობების დიდი გამოცდილებით ამ თანამდებობისთვის მეტად შესაფერისი კანდიდატურა იქნება. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი წარმოშობით აფხაზეთიდანაა.***

დასასრულ უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ მასალის გაცნობამ ბევრ რამეზე დამაფიქრა და უფრო მწვავედ დამანახა რიგი პრობლემებისა, რომლებსაც ჩვენი ყური უკვე იმდენად შეეჩვია, ეგრეთ წოდებული ნაციონალების გაუთავებელი მტკიცების გამო, რომ საქართველოში ბევრმა მიამიტმა ადამიანმა დაიჯერა, თითქოს ხარი მამალი ძროხაა, ისევე, როგორც საქართველო – ევროპის განუყოფელი ნაწილი, რადგან მამა **„ნაციონალებს“**, სანამ ჩვენ გვეძინა, არამარტო ევროპის, არამედ კავკასიის რუკაც გადაუკეთებიათ და საქართველო გადაუტანიათ საფრანგეთ-იტალიის საზღვარზე.

დასასრულ, მინდა ვთხოვო ბატონ ალექსანდრე ჭაჭიასა და მასთან ერთად გაზეთ **„საქართველო და მსოფლიოს“** მთავარ რედაქტორს, ბატონ ირაკლი თოდუას, რომ ოპერატიულად გაუკეთონ ორგანიზაცია და გამოსცენ მასობრივი ტირაჟით გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ბატონ ალექსანდრეს წიგნი, რომელიც მიეძღვნება მის ხედვას საქართველოსა და მისი მოსახლეობის შემდგომი გაღატაკებისა და გაუბედურებისგან ხსნის გზებისა და რადიკალური საშუალებების შესახებ. **მწამს, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც დღეს არის ქართველი ხალხის მთავარი წარმმართველი ძალა, გაეცნობა ამ იდეას და, თუ გაიზიარებს ჩვენს პოზიციას, სიამოვნებით დაუჭერს მხარს ბატონი ალექსანდრეს კანდიდატურას მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე.**

ᲐᲜᲖᲝᲠ ᲒᲐᲑᲘᲐᲜᲘ,
საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სამართლისა და სოციოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ᲒᲕᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲙᲝᲜᲪᲔᲤᲪᲘᲐᲡ ᲨᲔᲡᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲡ

ეროვნული ფასეულობების ყოვლად გაუგონარი დისკრედიტაციის ფონზე, მოუთმენლად ველი ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ქართულ-ეროვნულ ფუნდამენტზე დაფუძნებულ მოსაზრებებს ქართულ პრესაში. მის ინტერვიუებში, რომლებიც "ილორში" და „საქართველო და მსოფლიოში“ დაიბეჭდა, ცალსახად იკვეთება დღევანდელი საქართველოსთვის ესოდენ მნიშვნელოვანი და სასიცოცხლოდ აუცილებელი პატრიოტული სულისკვეთება.

საქართველოს უახლესი ისტორიის ბოლო ოცწლეულის განმავლობაში მომხდარი მოვლენები უდიდეს ინტერესს იწვევს არამარტო ისტორიული ანალიზისთვის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ამ ანალიზიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესი პერიოდის შესახებ გამოსატანი დასკვნებისთვის. **დღეს საქართველოს ისტორიაში საბედისწერო მომენტი დგას – წყდება ერის** (როგორც ისტორიულ-კულტურულ ერთობის) **არსებობის საკითხი. იმაზე, თუ რას მოიმოქმედებს საქართველოს მოსახლეობა უახლოესი თვეების განმავლობაში, დამოკიდებულია ქვეყნის მომავალი. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ქართული საზოგადოების გაერთიანება, რათა წინ აღუდგეს ერის სულიერი ფასეულობების დეგრადირებისკენ მიმართულ მანქანას.**

დღეს ქართულ პოლიტიკაში დეფიციტია ისეთი პოლიტიკური პარტიის და პოლიტიკური ლიდერისა, რომელიც ხალხს, საზოგადოებას შესთავაზებს ერის განვითარების საკუთარ კონცეფციას. პოლიტიკა – ეს არის იდეების ბრძოლა და, შესაბამისად, პოლიტიკოსებიც უნდა იყვნენ იდეური ადამიანები, რომლებსაც გააჩნიათ ქვეყნის განვითარების საკუთარი გეგმა. დღეს საქართველოში **„მოღვაწე“** პოლიტიკოსებიდან ვერ დავასახელებთ თუნდაც ერთს, რომელსაც ექნება ქვეყნის განვითარების საკუთარი კონცეფცია.

საქართველოს დაშლის პროცესი რომ, დიდი ხანია, მიმდინარეობს, ამაში, ალბათ, აღარავის გვეპარება ეჭვი. ***სწორედ ქვეყნის წარსულის ღრმა ცოდნა, პოლიტიკური პროცესების რეალური აღქმა და, გამომდინარე აქედან, მომავლის განჭვრეტის უბადლო უნარი, რომელიც ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას გააჩნია, შეიძლება იქცეს ქვეყნის რღვევის შეჩერების მთავარ ფაქტორად. ბატონი ალექსანდრეს ინტელექტუალური სამყარო, იდეალები, პოლიტიკური ორიენტაცია აბსოლუტურად ესადაგება ქართული სახელმწიფოს განვითარების გზას.*** მისი შრომებიდან ნათლად ჩანს, რომ ენციკლოპედიურად განათლებული და ფილოსოფიურად მოაზროვნე პიროვნება გახლავთ. არ შეიძლება ასეთი ადამიანის დაკარგვა (ვგულისხმობ მის პოლიტიკაში არჩართვას), ამ ადამიანს ეპოქალური მნიშვნელობის როლის შესრულება შეუძლია ქართულ პოლიტიკაში.

ᲠᲐᲛᲐᲖ ᲑᲔᲭᲕᲐᲘᲐ,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, მაგისტრანტი

ᲘᲛᲔᲓᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ

ქართული პოლიტიკური ელიტა მთლიანად დაცლილია ინტელექტუალურ-იდეური პოტენციალისგან და, ძირითადად, შევსებულია მატერიალისტი, მედროვე პოლიტიკოსებისგან. ამიტომაც საქართველოს დღეს, როგორც არასდროს, ისე სჭირდება პოლიტიკურ სივრცეში ინტელექტუალი და ეროვნულად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც თავისი იდეების, მსოფლმხედველობის დამცველი და გამტარებელი იქნება ცხოვრებაში, და, უცხო ძალების მოქრთამვის მცდელობის მიუხედავად, იმოქმედებს საკუთარი ერისა და ქვეყნის ინტერესების შესაბამისად.

სწორედ ასეთ პოლიტიკოსად მივიჩნევ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას, რომელსაც, როგორც ჭეშმარიტ პატრიოტსა და ინტელექტუალს, მიუხედავად ბევრი შემოთავაზებისა (ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდიდან საკმაოდ სერიოზულ თანამდებობებს ჰპირდებოდნენ), არ უღალატია თავისი მრწამსისა და მსოფლმხედველობისთვის, საკუთარი ერის სასიცოცხლო ინტერესებისთვის. ***ალექსანდრე ჭაჭია არის ერთადერთი პოლიტიკოსი ქართულ პოლიტიკაში, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა ერის გახრწნასა და გაღატაკებაში, ქვეყნის დაქუცმაცებაში სამ ჯუჯა სახელმწიფოდ.*** იმედი მაქვს, რომ რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ იგი დაუბრუნდება ქართულ პოლიტიკას და თავის ინტელექტს, შემართებას და ენერგიას არ დაზოგავს საქართველოს გასაერთიანებლად და ასაღორძინებლად. მისი ბოლო ინტერვიუების წაკითხვის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ იგი აუცულებლად სჭირდება ქართულ პოლიტიკას!

ᲓᲘᲛᲐ ᲐᲠᲓᲐᲨᲔᲚᲘᲐ,
სასულიერო აკადემიის სტუდენტი

ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲐᲥᲪᲘᲝᲗ

დიდი სიამოვნებით ვეცნობი ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუებს. მათ ლაიტმოტივად გასდევს განუყოფელი, ერთიანი საქართველოს იდეა. სწორედ ამ პატრიოტული, ეროვნული ღირებულებების გამო გახდა ჩემთვის ეს პიროვნება სასურველი ქართულ პოლიტიკაში. ადამიანი, რომელიც არ არის გასვრილი არც ერთ ბინძურ საქმეში, სუფთა ფურცლიდან შეუძლია შემოსვლა ქართულ პოლიტიკაში, რომლის იდეები და ფასეულობები დღესაც მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოებისთვის, რომლისთვისაც უმთავრეს პრობლემას ეროვნული ფასეულობების დეგრადაცია წარმოადგენს.

სწორი პოლიტიკით, პრაგმატიზმზე გათვლილი ნაბიჯებით ყველაფერია შესაძლებელი. ***შესაძლებელია, საქართველოსთვის უმთავრესი პრობლემის მოგვარება – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დედასამშობლოსთან შემოერთება,*** ამისათვის **უმნიშვნელოვანესია ისეთი ადამიანის გამოჩენა ქართულ პოლიტიკაში, რომელსაც შესწევს ძალა, რეალობად აქციოს ტერიტორიული მთლიანობა.** ***ასეთად მე პირადად ბატონი ალექსანდრე ჭაჭია მესახება, რომლის ნიჭი, ცოდნა, ენერგია, შემართება გამოყენებული უნდა იქნას ქვეყნის საკეთილდღეოდ.***

ბატონო ალექსანდრე, მერწმუნეთ, ჩვენი ერის სულიერი სიძლიერე ამოუწურავია, შენარჩუნებულია ეროვნული მუხტი და სამშობლოს სიყვარული. გელით სამშობლოში.

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲚᲝᲛᲐᲜᲫᲔ,
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასლის“ სტუდენტი

ქართველური ენები და "ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ"

(ქართველი "ფუტ-ლინგვისტები" და „ერთობლივი საქართველოსთვის" მებრძოლი მათი ისტორიკოსი მიმდევრები)

მინცი თოფი გილუდ, მარა
იშენ ვარე მონადირე,
შხვაშ ნოტყელც გაზუმინუ,
მუჭოთ ჭანდი – მოლადირე,
თოლი არძას ალაბრსხუნა,
მარაზღვა-ქვინც აკაორწყე...
ჭიფელია ჭინიშ ღობერ
სქვამას ირკოც ვაწკიროწკე.
(ლაშა ბახარია, მეგრული პოეზია)

ავტორების რაოდენობისა და რიგითობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მგონი ფრთხილობს ტ. ფუტკარაძე: მისგან დაწუნებულ **"ქართიზაციაში"** რომ არ ჩაუთვალოს ვინმემ სვანურ/მეგრულის **"გადიალექტება"**, იმიტომ მოექცა შუაში: ოღონდ დადიანი რა შუაშია ვერ ვხედავ? მგონი სვანების ნათქვამი **"ჩვენებურია თქვენი თავადიო"**, რომ გვეხუმრებიან ხოლმე მეგრელებს, სერიოზულად აღიქვა – გ.ო.

ამ წიგნით უკვე ევროპას მიადგა: ჯერ ლინგვისტურად გაშიფრა **„ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ"**, შემდეგ კი მისი გამოყენების რჩევები მისცა ქართულ თუ ევროპულ საზოგადოებას.

სანამ გადავიდოდეთ **„ენების ქარტიის" „ფუტ-ლინგვისტურ"** რჩევებზე, მოკლედ თვითონ ამ **„ქარტიის"** შესახებ.

ქარტიის მიზანი ნათლადაა ჩამოყალიბებული პრეამბულაშივე: **„ითვალისწინებს რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა, კერძოდ, იმ იდეალებისა და პრინციპებისა დაცვისა და რეალიზაციის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ მათ მემკვიდრეობას... რომ ევროპის ისტორიული რეგიონალური თუ უმცირესობათა ენების დაცვა, რომელთაგანაც ზოგიერთს საბოლოო გაქრობა ემუქრება, ხელს უწყობს ევროპის კულტურული სიმდიდრისა და ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებას"** (პრეამბულა, აბზაცი 2).

ექსპერტთა უმრავლესობა თანხმდება იმაში, რომ **„ენობრივი ქარტიის ძირითადი კონცეპტუალური პრინციპი არის „რეგიონალური ან უმცირესობათა ენების აღიარება კულტურული სიმდიდრის გამოხატულება"** (მუხლი 7, 1ა) **"... აქედან გამომდინარე, ენობრივი მრავალფეროვნება განიხილება, როგორც ფასეულობა, რომელიც დაცვას საჭიროებს"** (ჯონათან უითლი – 2009, გვ. 8).

გარდა ამისა **„ენების ქარტიაში"** ხაზგასმულია, რომ ამ **"ქარტიის დებულებები ზეგავლენას არ მოახდენენ უფრო ხელსაყრელ დებულებებზე, რომლებიც ეხებიან რეგიონალური ან უმცირესობათა ენების სტატუსს. ...სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც შეიძლება არსებობდეს ხელშემკვრელ სახელმწიფოში ან უზრუნველყოფილ იყოს შესაბამისი ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებებით"** (**"ენების ქარტია"**, მე-2 მუხლი 1, 4).

ქარტიის მე-2 მუხლის მე-5 აბზაცში კი კიდევ ერთხელ არის მითითებული **„რომ არაფერი, გათვალისწინებული ამ ქარტიით, შეიძლება ახსნა-განმარტებული იქნას იმგვარად, რომ იძლეოდეს რაიმე საქმიანობაში ჩართვის ან რაიმე საქმიანობის განხორციელების უფლებას, რაც წინააღმდეგობაში იქნება გაერთიანებული ერების ქარტიის მიზნებთან ან საერთაშორისო სამართლით დადგენილ სხვა ვალდებულებებთან, სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და ტერიტორიულ მთლიანობის პრინციპის ჩათვლით."**

უცნაურია ერთი რამ, პირველივე გვერდზე ავტორები მადლობას უხდიან წიგნის ინგლისურად მთარგმნელს ქალბატონ ნათია ამირიძეს. ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება უცნობი ქალბატონის პროფესიონალიზმში, ერთი რამ ვერ გავიგეთ მხოლოდ: ამ წიგნის ავტორები ინგლისური ენის ისეთ ღრმა ნიუანსებზე მსჯელობენ თავისუფლად, რომ ან თარჯიმანი არ უნდა დასჭირვებოდათ წიგნის სათარგმნელად, ანდა თუ ქალბატონმა ნ. ამირიძემ გასწია ამდენი თეორიული შრომა, ბარემ ავტორების სიაშიც ჩაესვათ მისი გვარი.

ის რომ ბატონი ფუტკარაძე და მისი მიმდევრები, რბილად რომ ვთქვათ, მანიპულირებას უკეთებდნენ ქართველი თუ უცხოელი ლინგვისტების ნაშრომებს, დიდი ხნის ცნობილი ამბავია, მაგრამ ევროსაბჭოს ოფიციალურ დოკუმენტებსაც თუ მიადგებოდნენ და სახელწოდებასაც კი შეუცვლიდნენ...

ტ. ფუტკარაძე და მისი თანაავტორები ხშირად იშველიებენ ქვეყნის კონსტიტუციასა თუ სხვადასხვა საერთაშორისო აქტებს და ამ მოტივით აცხადებენ – **„რა საჭიროა „ენების ქარტიაში" ამ საკითხების დაფიქსირება, თუკი ისინი ამ აქტებით უკვე მოგვარებულია"**-ო.

სამეულმა **"ქარტიის"** სათაურში ვერ იპოვა უზუსტობა და ბრძანებს: **"რუსულ თუ ქართულ ენობრივ არეალში "ქარტიის" დებულებების სათუო ინტერპრეტაციების ერთ-ერთი მიზეზი "ქარტიის" ძირითადი ტერმინის ბუნდოვანი თარგმანია: მიმოქცევაში არსებული თარგმანების სახელწოდებაშიც კი მთავარი ტერმინი "regional or minori ty language" ქართულში გადმოტანილია არასწორად: რეგიონალური და (ან) უმცირესობათა ენები; შესაბამისად, ბევრს ჰგონია, რომ ამ ევროპულ ქარტიაში ლაპარაკია, ზოგადად, რეგიონულ ენებსა და უმცირესობათა ენებზე. სინამდვილეში სამკომპონენტიანი ტერმინი "regional or minori ty language" ერთიანი ცნებაა და ნიშნავს მოცემული სახელმწიფოს ავტოქთონი მოსახლეობის იმ ისტორიულ ენას, რომელიც ამ ქვეყანაში სახელმწიფო ენა არ არის."** (ე.დადიანი, თ.ფუტკარაძე, რ.შეროზია, 2010, გვ.109).

ენების დიდ ცოდნას არ მოითხოვს იმის გაშიფრვა, რომ ტერმინი ***„regi onal or minori t y languages"*** სწორედაც რომ გულისხმობს – რეგიონალურ ენებს და/ან უმცირესობათა ენებს, შდრ. გერმანული ვარიანტ „Regi onal-oder Minderhei t ssprachen", სადაც დეფისი ეკონომიის მიზნით გამოიყენება და შეიძლება ასე განვავრცოთ: ***"Regi onlasprachen oder Minderhei t ssprachen".*** გაათავისუფლეს რა **„ქართული და რუსული ენობრივი არეალი" „არასწორი ინტერპრეტაციისგან"**, ავტორები უკვე **„ენების ქარტიის"** დებულებების **„სწორ"** ინტერპრეტაციაზე გადავიდნენ: ქარტიის მიზნიდან გამომდინარე, ტერმინი: რეგიონული ან უმცირესობის ენა გულისხმობს ერთი კატეგორიის, მაგრამ სამი ვარიანტით გამოვლენილ ენას:

1. რეგიონული ენა – სახელმწიფოს მოცემული რეგიონის ავტოქთონი მოსახლეობის ენა, თუკი ამ ენაზე მეტყველი საზოგადოება უმრავლესობაა მოცემულ რეგიონში (ქარტიის მე-18 განმარტება);

2. უმცირესობის ენა – სახელმწიფოს მოცემული რეგიონის ავტოქთონი მოსახლეობის ენა, თუკი ამ ენაზე მეტყველი საზოგადოება უმცირესობაა მოცემულ რეგიონშიც (ქარტიის მე-18 განმარტება);

3. ტერიტორიის არმქონე ენა – მოცემულ სახელმწიფოში მცხოვრები ისეთი ისტორიული მოსახლეობის ენა, რომელსაც არ გააჩნია **"განსაზღვრული გეოგრაფიული არეალი"** (ე.დადიანი/ ტ. ფუტკარაძე/რ.შეროზია-2010, გვ.113).

ავტორების მიერ დამოწმებულ მე-18, 20 ან 30, 37-ე დანართებში არსად ჩანს, რომ **„ტერმინი „რეგიონული ან უმცირესობის ენა" ერთიანი ცნებაა"**, არსად ქარტიის მე-18 განმარტებაში, როგორც ამას ავტორები იმოწმებენ, არ არის მოხსენიებული სიტყვა **„ავტოქთონი"** ზემოთ მოცემული სამი ვარიანტი, რომელსაც **„ქარტიის მიზნებიდან გამომდინარე"**-დ ასაღებენ ავტორები, სინამდვილეში ამ ტანდემის ჩამოყალიბებულია. თუ გავშიფრავთ 1,2 და მე-3 პუნქტებს, მივიღებთ შემდეგს:

1. რეგიონალური ენა – ენა „X" ვერ იქნება რეგიონალური ენა, თუნდაც ის იყოს უმრავლესობის ენა „***Y***" რეგიონში, თუკი ამ ენის მატარებლები ავტოქთონ მოსახლეობას არ წარმოადგენენ არსად ქარტიაში ასეთ კონტექსტში არ გამოიყენება ***language*** /მხ. რიცხვში/-არამედ გამოიყენება ***regional or minority languages*** – გ.ო.

მაგას ვინ იფიქრებდა ბატონი ფუტკარაძე რუსებზეც თუ იზრუნებდა ოდესმე? – გ.ო.

ავტორები თითქმის ყველგან ჩრიან უმიზეზოდ ისეთ კომპოზიციებს როგორიცაა: **„რეგიონის ძირძველი, არაძირითადი მოსახლეობა"** ან **„მკვიდრი ისტორიული (ავტოქთონი) ეთნიკური ჯგუფის ენა"**, მაშინ როცა ქარტიასა და მის განმარტებებში ლაპარაკია ისტორიულ მოსახლეებზე – გ.ო.

2. უმცირესობათა ენა – იგივე ენა **„X"** ვერც უმცირესობის ენა გახდება, (ტანდემის **„ავტოქთონურობა"** რომც დააკმაყოფილოს – გ.ო.) თუკი ამ ენის მატარებლები უმცირესობას არ შეადგენენ იმავე „***Y***" რეგიონში.

3. ტერიტორიის არმქონე ენა – ენა **„X"** ვერ იქნება ტერიტორიის არმქონე ენა, თუკი ამ ენის მატარებლები **"ისტორიულები"** არ იქნებიან.

დამეთანხმდებით, საინტერესო ლოგიკა აქვთ ავტორებს, ოღონდაც თვითონაც გრძნობენ ამას და ამიტომ ნაცვლად იმისა, რომ აქ შეეწყვიტათ მსჯელობა (მათი ლოგიკით, ხომ ვერავინ ვერ ხედება „რეგიონალური და უმცირესობათა ენების ქარტიაში" – გ.ო.), მაინც აგრძელებენ განხილვებს:

"ენების ქარტია" ავტორების აზრით **„საშიშია საქართველოსთვის, მისი დებულებების არასწორი, საქართველოსთვის სახიფათო ინტერპრეტაციების გამო"**. რა თქმა უნდა, ამ დებულებების **„სწორი"** ინტერპრეტაცია, მხოლოდ მათ წიგნშია მოცემული! მივყვეთ ავტორების ნაზრევს:

„საქართველოს არცერთ რეგიონში არ ცხოვრობს არაქართული წარმომავლობის ავტოქთონი მოსახლეობა. შესაბამისად, თუკი მკაცრად დავიცავთ ქარტიის კრიტერიუმებს, საქართველოს ხელისუფლება ვალდებული არ არის, რომელიმე ეთნიკური ჯგუფის ენას მიანიჭოს რეგიონული ან უმცირესობის ენის სტატუსი. მით უმეტეს „ტერიტორიის მქონე ისტორიული უმცირესობის" ენის (რეგიონული/უმცირესობის) სტატუსი; კერძოდ, საქართველოში არ არის: ქვეყანაში ისტორიული უმცირესობის, მაგრამ მოცემულ რეგიონში უმრავლესობის ენა /რეგიონული ენა/ და არც ისეთი ისტორიული უმცირესობის ენა, რომელიც მოცემულ რეგიონშიც უმცირესობის ენაა." (ე. დადიანი, ტ. ფუტკარაძე, რ. შეროზია – 2010, გვ.140)

ასე მარტივად იპოვა დადიანი-ფუტკარაძე-შეროზიას სამეულმა იმ პრობლემის გადაწყვეტის გასაღები, რომელიც ამდენია წელია ვერ უპოვიათ სხვა ქართველ თუ უცხოელ ექსპერტებს.

წესით ავტორებს წიგნი აქ უნდა დაემთავრებინათ. ხომ დაალაგეს ყველაფერი თავის ადგილზე. ვერ ისვენებენ მაინც, იციან ასე ადვილი არ არის **"ევროპული დოკუმენტით"** მანიპულირება და ამიტომ აგრძელებენ:

"ჩვენი აზრით **"რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ ევროპული ქარტიის"** დებულებები საქართველოში უნდა გავრცელდეს არაქართველი ავტოქთონი ხალხების დედაენის მიმართ (თუკი ასეთნი არიან), გარდა ამისა, იმ არაავტოქთონი უმცირესობების ენების მიმართ რომელთაც ქვემოთ წარმოდგენილი ოთხივენიშანი ერთდროულად ახასიათებთ:

1. საქართველოში ცხოვრობდნენ რუსულ ოკუპაციამდე;

2. შეადგენენ საქართველოს მოსახლეობის 1% მაინც;

3. ემუქრებათ დედაენის დავიწყების საფრთხე;

4. მეზობლად არ არის სახელმწიფო, სადაც სახელმწიფო ენაა მათი დედაენა" (ე. დადიანი, ტ. ფუტკარაძე. რ.შეროზია – 2010, გვ.142).

გია ოკუჯავა,
(გაგრძელება იქნება)

ვერ დაგიჯერებთ, ბატონო მერაბ!

(წერილი გამოქვეყნდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა მერაბ ელიოზიშვილი ცოცხალი იყო)

"...თუ დამიჯერებთ, ქართული ენა ქართლში გაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ მეგრელმა შეისწავლა ქართული, ბოლომდე მაინც ვერ გაითავისა. მეგრელმა მწერალმა, რაც არ უნდა კარგად იცოდეს ქართული, ის მაინც ვერ ცქვავს სიტყვით. იგივე მდგომარეობაა ზემო იმერეთშიც..." – წერს მერაბ ელიოზიშვილი გაზეთ "ახალი თაობის" ფურცლებზე და არ შემიძლია ამ მცირე რეპლიკით არ შევუძახო: ვერ დაგიჯერებთ იმიტომ, რომ თავადვე მიგვანიშნებთ, თუ რამ გიკარნახათ ასეთი აბდა-უბდა.

ცხენიდან გადმოგდებული მწერლისა და მთავარანგელოზის ეკლესიის დიაკვნის საგაზეთო ინტერვიუდან

"ფილმ "თეთრ ქარავანს" რომ ვიღებდით, აეროპორტში ცხენმა გადმომაგდო, ისე დამახეთქა, რომ ორივე ყურიდან სისხლი მოსჩქეფდა..." – წერდა იმავე სტატიაში მერაბ ელიოზიშვილი.

ხალხში იტყვიან: რაებს როშავ, თუ ძმა ხარ, კარგად გაიხსენე, ბავშვობაში ხიდან ხომ არ ჩამოვარნილხარო (განსაკუთრებით, ლეღვის ხიდან ჩამოვარდნაზე ამახვილებენ ყურადღებას). **თქვენ, ბატონო მერაბ, ღმერთმა დაგიფარათ და ხიდან არ ჩამოვარდნილხართ, ამბობთ, ცხენმა გადმომაგდოო, თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, „მწარედ კი დაუხეთქებიხარ, თორემ "ბებერი მეზურნეების" ავტორი ასეთ აბდა-უბდას როგორ გაახალტურებდით?!** ან კი, როგორ წამოგცდებოდათ, ბატონო მერაბ, "მეგრელმა მწერალმა (ე.ი. კონსტანტინე გამსახურდიამ, დემნა შენგელაიამ, ტერენტი გრანელმა, ლეო ქიაჩელმა...) **ქართული ვერ გაითავისა"**. არაფერი რომ არა ვთქვათ ზემოიმერელ სულმნათზე (**"იგივე მდგომარეობაა ზემო იმერეთში..."**), იმ სულმნათზე, ვისაც მხოლოდ და მხოლოდ სახელით მოიხსენიებს მთელი საქართველო, და რომელმაც **"გაუთავისებელი"** ქართულით გვითხრა:

"ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
ერთი მათგანიც რომ გაწყდეს,
მაშინვე უნდა შველაო".

ან კი, ბატონო მერაბ, როგორ შეიძლება ასეთმა მოქართულემ – **"ჩემი პირველი გამოჩენა მოხდა ფილმში "თეთრი ქარავანი"** – **"ბათა ქექიას"** ავტორს ქართული დაუწუნოს? ან კი, რა საკადრისია, ბატონო მერაბ, ქართველი მწერლებისათვის ასეთი მსჯავრის გამოტანა:

ამბობთ, **"თეატრალური, ეკონომიკური და იურიდიული ფაკულტეტი ყველაზე ფარჩაკ ფაკულტეტებად ითვლებოდა. ამ სპეციალობებზე ვინც შედიოდა, გოიმებს ვუწოდებდით..."**

ისე კი, თუ დამიჯერებთ, ბატონო მერაბ, ჯერჯერობით ქართველი მეცნიერებიც არ არიან საბოლოოდ შეთანხმებულნი, ქართული ენა ქართლში გაჩნდა, მესხეთში თუ კოლხეთში... თუმცა, როგორ დამიჯერებთ, როცა თავად მოგვანიშნებთ: **"თეთრ ქარავანს" რომ ვიღებდით"**, ცხენმა გადმომაგდო და ისე დამახეთქა, ორივე ყურიდან სისხლი წამსკდაო!

პატივისცემით,

თქვენი შესანიშნავი მოთხრობების მეგრელი მკითხველი (**თუ შეიძლება, როგორც თქვენ ამბობთ, არსებობდეს "მეგრელი მწერალი", რატომ არ შეიძლება არსებობდეს მეგრელი მკითხველი?!**),

ოთარ ჭითანავა,
ზუგდიდი

გაზეთი "ილორი" – ცხონებული მერაბ ელიოზიშვილის – ამ აშკარად არასასიამოვნო სტრიქონების ავტორის დიდი მოქართულეობა ეჭვს იწვევს ინტერვიუს დასაწყისშივე, როცა იგი ამბობს: "ცხენმა გადმომაგდო, ისე დამახეთქა..." ფრაზა "ცხენმა დამახეთქა" ნიშნავს, რომ, ცხოველმა კბილები წაავლოს მხედარს ქეჩოში (რადგან სხვა "დასახეთქებელი" საშუალება მას არ გააჩნია), გადმოაგდოს და მიწაზე დაახეთქოს. ხოლო, როცა ჯირითს მიუჩვეველი (ბატონი მერაბის სიტყვებით რომ ვთქვათ – "გოიმი") მხედარი წონასწორობას დაჰკარგავს და თავად დაებეყვება მიწაზე, ამ შემთხვევაში დაზარალებულმა უნდა თქვას: "...ისე დავეხეთქე, რომ...".

ეს ისე, სიტყვისათვის, თორემ ცხონებული მერაბ ელიოზიშვილის ოპუსებში რომ ჩაიხედო, სხვა უამრავ შეუსაბამობასაც აღმოაჩენს მკითხველი.

ქართველები ამბობენ: "მიცვალებულზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერიო". ბატონი ოთარის ამ წერილის გამეორებით ჩვენ ცუდი არაფერი გვითქვამს სულგანათლებულ მერაბ ელიოზიშვილზე. უბრალოდ, გვინდა შევახსენოთ ყველას – სიცოცხლეში ისეთი რამ არ უნდა თქვა, რაც შენი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ არასასიამოვნო განცდას დაუტოვებს შენს თანამემამულეებს.

სამშობლო – ზრუნვის მთავარი ობიექტი

“ბედს უნდა უსმინო, რაც გიწერია
ის ზეცაშია დაგეგმილი”.
ნაპოლეონი

ისტორიის მოცემულ მონაკვეთზე, გამომდინარე იქიდან, თუ რა პრობლემების წინაშე იდგა ერი, ღვთის ნებით, ღირსეული მამულიშვილების, ან, განსაკუთრებული მოვლენების მეშვეობით, ხდებოდა ჩარევა მის ცხოვრებაში, აფხიზლებდნენ, ადუღაბებდნენ ერს და არ აძლევდნენ ისტორიული ყოფისა და განვითარების ჯაჭვის ჩაწყვეტის საშუალებას.

მამულიშვილთა არაერთმა თაობამ მოიყვანა დღემდე **“ბედნიერი ერი”,** ისტორიის მანძილზე არაერთხელ – **“გაგვიმდიდრებია”** ჩვენი ცხოვრება შემრცხვენელი მაგალითებით, რომლებიც შავ ლაქად დააჩნდა ერის მეხსიერებას. დასჭირდა და პირში მიახალა მოყვასს დიდმა ქართველმა: **“ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველო”,** ხოლო ჩვენს საამაყო, მსოფლიო ადამიანს სამარეში ჩააყოლა სინანულის ამოძახილი **“სიყრმე სიბერედ ვაქციე, ერი კი ვერა ერადა”.**

გამოვიარეთ ბაზალეთის და თბილისის ომები, მაგრამ დიდგორის და მარაბდის სულისკვეთების გამომზეურება იყო 2012 წლის 1 ოქტომბერი, რომლის ბრწყინვალება ათასწლეულების მანძილზე გაუნათებს ცხოვრების გზას ბედნიერ საქართველოს, რისი გარანტიაც ერის დღევანდელი ლიდერის და იმ ქართველ მამულიშვილთა ღვაწლი იქნება, რომლებიც ერთგულად დგანან ლიდერის გვერდით, საქართველოს სადარაჯოზე.

თანამედროვე საქართველოს, მის ხალხს ჯერ კიდევ სათანადოდ არ აქვს გაცნობიერებული, რაც ბოლო ათწლეულებში გამოვიარეთ, რას გავუძელით და გადავურჩით. ეს ეხება განსაკუთრებით რვა-ცხრა (უფრო სწორად, ოც-ოცდაორ – **“ილორი”**) წელიწადს, რომელსაც ქვეყანას საქართველოს ხელისუფლებაში მოკალათებული უცხო გენის მატარებელი მუტანტები და ზნეობადაკარგული ვაი-ქართველები მართავდნენ.

ქართველი ხალხის ცხოვრება, ბოლო ათწლეულებში, ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ღმერთთან და რწმენასთან დაშორებას. ჩვენ რამდენჯერმე მოვიყვანეთ ხელისუფლებაში ხალხი რომელთა **“მოღვაწეობაში”** ყოველთვის იყო საქართველოს მტრობა, უბუნურება ან ამპარტავნება და ცინიზმი. სამწუხაროდ, გვდალატობს მეხსიერება, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს დღევანდელობის აღქმასა და შეფასებაში, გვიჭირს მტერ-მოყვარის გარჩევა, ისევ ერისა და ქვეყნის საზიანოდ. იქმნება შთაბეჭდილება რომ საქართველოში **“ყველა ეძებს ძლიერ ხელს, მაგრამ არავინ ცდილობს იპოვოს ჭკვიანი თავი”** (არ. დავიდოვიჩი). ეს იყო ძირითადად მიზეზი საქართველოში ნაციონალების ბატონობისა, რომლებიც დღესაც აგრძელებენ საქართველოს ინტერესებისათვის მიუღებელ საქმიანობას, მათ შორის, პოლიტიკური პარტიები (ლეიბორისტები, ქრისტიან დემოკრატები, **“ედპ”,** ახალი მემარჯვენეები და ა.შ.), არასამთავრობო ორგანიზაციები (**“ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია”, “პატრიოტები”, “თავისუფლების ინსტიტუტი”** და სხვები), ასევე ცალკეული პირები, რომლებიც თვით დღევანდელ მმართველ კოალიციაში არიან მოკალათებული. ე.წ. **“ოპოზიციონერები”** პარლამენტში თუ მის გარეთ მხოლოდ ამპარტავნებით, უტიფრობით და ცინიზმით გამოირჩევიან. მათ ყოველ ქმედებაში და საუბრებში გამოსჭვივის გაუნათლებლობა და დაბალი ინტელექტუალი, რასაც თან ახლავს სიბრიყვე და თავხედობა, ისევე, როგორც მათ უზნეობას და უწიგნურობას ახლავს სიჯიუტე, რითაც კვლავ ახერხებენ თავ-გზა აუბნიონ დაბალი განათლების მქონე გულუბრყვილო ახალგაზრდებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ფსევდოოპოზიციის დიდი უმრავლესობა ზღვარგადასული სითამამით და არტისტულობითაც გამოირჩევა, მათ არ აინტერესებთ იცოდნენ, რომ ადამიანს ეთიკის ჩარჩოებში მოქცეული სითამამე შვენის, ზღვარგადასული სითამამე კი თავხედობაა და მეტი არაფერი. ყველაფერთან ერთად ამ ადამიანებს არ სურთ გაიგონ, რომ **“პოლიტიკა არ არის ბინძური საქმე, პოლიტიკა ზნეობრივად სუფთა ადამიანებმა უნდა აკეთონ”** (ვაცლავ ჰაველი).

ნამდვილად დიდი ბედნიერებაა, როდესაც ღვთისმშობლის წილხვედრილ ქვეყანაში არსებობენ ადამიანები, რომლებსაც უყვართ სამშობლო, უყვართ იმიტომ, რომ უყვართ! – მორჩა და გათავდა. ეს არის მათი მოწოდება და ცხოვრების არსი, ეს არის ძლიერების და საოცნებო მომავლის საფუძველი, რამდენადაც ასეთ ადამიანებზე და მათ მიერ გაკეთებულ ღვთიურ საქმეებზე უარყოფით გავლენას ვერ ახდენს უმადურობა და უღმერთობა, დრო და ჟამი.

1 ოქტომბრის ისტორიული გამარჯვება შეოქმედი ადამიანის ნაღვაწია, ხოლო შემოქმედებით უნარს ღვთივბოძებული ნიჭის და განათლების ურთიერთშერწყმა ამაღლებს. ასეთ ღვთივმომადლებულ ადამიანებს ხელეწიფებათ ერის ცხოვრების სათანადო მიმართულებით წარმართვა.

ვერ გავკადნიერდებით, ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს არა თუ შენიშვნით, რჩევითაც რომ მივმართოთ, მაგრამ ხალხში ნამდვილად იწვევს გაოცებას იმ პროფესიონალი და პატიოსანი კადრების გამოუყენებლობა, რომლებიც არც ისე მრავლად, მაგრამ მაინც არიან ჩვენს ირგვლივ.

სწორედ ასეთი ადამიანების დარჩენამ ხელისუფლების მიღმა და უზნეო, საქართველოს მტრად მოვლენილი ერთი ჯგუფის მავნებლურმა საქმიანობამ განაპირობა ის, რომ ქვეყანას, უახლოეს წარსულში, ახალი წესრიგის მესვეურები მართავდნენ, თავისი ეკონომიკური, ფინანსური და სამხედრო ცენტრების მეშვეობით. რომ არა მსოფლიოს თანამეგობრობის პროგრესული ძალების, ასევე, ერის ლიდერის გონივრული, გააზრებული პოლიტიკა, სავალალო შედეგები გარდუვალი იქნებოდა, შესაძლოა უფრო უარესიც, ვიდრე ჩვენი **“დინების საწინააღმდეგოდ”** სვლამ გამოიწვია 90-იანი წლების დასაწყისში, რის გამოც სწორედაც რომ ამერიკელებმა მოუსწრაფეს სიცოცხლე ზვიად გამსახურდიას, ქართველებისავე ხელით.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ჩვენი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის უკმაყოფილება, რომლებიც აჰყოლიან პროვოკატორების ან დაუფიქრებელი ადამიანების ლაპარაკს, ახალი ხელისუფლების თუ ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობაზე. ამ თვალსაზრისით 1 ოქტომბრამდე რა მოსამზადებელი სამუშაოც ჩატარდა, ეს იყო, ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ძლიერი ფსიქოლოგის და პოლიტიკოსის ნაბიჯები და კარგი იქნება, თუ დღეს, უფრო გონივრულად გააანალიზებენ მომხდარს, მხარში ამოუდგებიან, შესაბამისად გააკონტროლებენ კიდეც ახალ ხელისუფლებას, ისევ თავისი და მომავალი თაობის საკეთილდღეოდ. ბიძინა ივანიშვილმა ქართულ ყოფაში და პოლიტიკაში შემოიტანა მომავალი საუკუნის აზროვნება, ცდილობს მომავლის საზოგადოების აღზრდას და თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ავუბათ მხარი, შედეგებიც შესაბამისი იქნება. დღევანდელობიდან გამომდინარე, არ შემიძლია არ დავეთანხმო ე. კანტს, რომელიც საუკუნეების სიღრმიდან თითქოს ჩვენ მოგვმართავს **“მე მირჩევნია ნაკლები იცოდეთ და მეტი გწამდეთ”.** ქართველ კაცს ყოველთვის გამოარჩევ ძლიერი გენითა და ნიჭიერებით. ბევრი კეთილი და ღირსშესანიშნავი საქმე უკეთებია ქართველს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, თუ ის მარტო მოხვედრილა უცხოთა შორის, უცხო გარემოში, მაგრამ რა გვემართება ჩვენს სამშობლოში, ნუთუ ვერ უნდა ავმაღლდეთ იმდენად, რომ მოვეშვათ ერთმანეთის კორტნას? ნუთუ არარად გვიღირს ღირსება, ტრადიცია და კულტურა? კულტურას განათლება ავითარებს, ჩვენ კი ჩვენი გაუნათლებლობით და უაზრო ამბიციებით ვამუხრუჭებთ მას. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს კონ ფუ ცის სიტყვებიც.

როგორც კონ ფუ ცი ამბობს – **“ყველაფერი ამაზრზენი გაუნათლებლობის ბრალია”.** ჩვენ კი განათლებასთან ერთად მამა-პაპური სიბრძნეც გვჭირდება, რათა ვუშველოთ სამშობლოს. სიბრძნე იგივე განათლებაა გამყარებული, სიყვარულით მოსილი ცხოვრებისეული გამოცდილებით და ქმედებაში დაცული ზომიერებით, რაც ჩვენგან ესოდენ სჭირდება დღეს საქართველოს.

დღეს, როგორც არასდროს, გვჭირდება ერთსულოვნება სხვადასხვა ეროვნების დიასპორებს და ქართველ ხალხს შორის, ისევე როგორც სხვადასხვა რწმენის ადამიანებს, თვით ქართველ მაჰმადიანებს, ქართველ ებრაელებს და სხვებს შორისაც, რამდენადაც საქართველო ჩვენი საერთო სამშობლოა და ყველა ჩვენი საერთო ღმერთის შეცნობას ვცდილობთ, მისკენ ვისწრაფვით.

ერთობას და ერთსულოვნებას, რომელიც განსაკუთრებულად გვჭირდება ქართველ ხალხს საერთო მიზანი, საერთო ზრუნვის ობიექტი ჰქმნის. ჩვენი ზრუნვის ობიექტი დღეს სამშობლოა, მიზანიც – ეკონომიკურად და სამხედრო ძლიერებით, მსოფლიოში გამორჩეული ისეთი ნაციონალური ნიშანთვისებების, ტრადიციების და ა.შ. მატარებელი სახელმწიფოს შექმნაა, რომელთან მეგობრობა, ურთიერთობა და მოფრთხილება მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ინტერესებში იქნება. საქართველოში ცხოვრება მის ყოველ მოქალაქეს ბედნიერებას მიანიჭებს, მილიონობით აქედან წასული მოქალაქე მონატრებულ სამშობლოს და ოჯახს დაუბრუნდება.

სამშობლო მხოლოდ საკუთარი თავი, ოჯახი და კარმიდამო არ არის, სამშობლო ჩვენი შვილები, გვარ-ტომი, სოფელი, ქალაქი, ველ-მინდვრები, ტყე და წყარო, ცა და მიწა, წარსული და მომავალია თავისი კულტურით. ეს ჩვენი დიდი ოჯახია თანმდევი პრობლემებით. მას მხოლოდ ჩვენი ურთიერთსიყვარული, თანადგომა და ერთგულება სჭირდება.

ქართულ ენაში ერთი ძვირფასი სიტყვა გვაძვს, რომელიც ჯერ სახარებაში ფიქსირდება, შემდეგ კი ჩვენს უკვდავ **“ვეფხისტყაოსანში”** ვხვდებით. ეს არის სიტყვა – **“რომელმან”,** რაც ნიშნავს ღმერთს. **“რომელმან შეჰქმნა სამყარო...”** ანუ ღმერთმა შექმნა სამყარო, ხოლო ჩვენ ქართველები ერთმანეთს ასე მივმართავთ: **“რომელი ხარ შენ”,** ანუ, იმასთან ერთად, როდესაც გვინდა გავიგოთ ადამიანის ვინაობა, მას ღმერთადაც მოვიხსენიებთ. **“ვინ გითხრათ რომ თქვენ ღმერთები არა ხართ”**-ო, ბრძანებს უფალი. დიახ, ადამიანი ღმერთმა თავის სახედ შექმნა და ეს არ უნდა დავივიწყოთ, უნდა ვესწრაფვოთ მასთან დაახლოებას.

ქართველ ხალხს მრავალი საუკუნე გაიგივებული ჰყავდა მეფე და სამშობლო, ბელადი და სამშობლო, დროა გავაიგივოთ ღმერთი და სამშობლო.

ღმერთი სიყვარულია, სიკეთეა, იმედია, ხოლო რელიგია ჩვენს ზნეობას და რწმენას სიმტკიცეს ანიჭებს, ძალას მატებს. ღმერთის ერთგულებამ და რიდმა გადაგვარჩინა მრავალგზის. განგების და მისი ძალით მოხდა ოქტომბრის გამარჯვება რომელსაც ერის ლიდერად მოვლენილმა ადამიანმა ჩაუყარა საფუძველი, ხოლო ყველას გასაგონად ჩვენს დიდებულ მამულიშვილსა და პოეტს ლაშა ნადარეიშვილს ათქმევინა საამური სიტყვები:

“ერო – რომელმაც შობე ურმული,
ერო – რომელმაც შობე ილია,
არ დაგედება პირზე ურდული,
ქვეყნის ხსნა ღმერთის დაგეგმილია”.

ავთანდილ ციხისთავი

პოეზიის კუთხე

ღურაში ნება უღუ ხვალე

მის უჩქ მუ ჟამს თე ქიანაქ
გოდირთუ დო ქოდირთუნი,
კოსი შური ადგუმუ დო,
შურქ ბორიათ ქოდირქუნი;
მინი გვალო ირჩინუ დო,
ოთხი ფათი მოდირკუნი,
მინქი დაბადებაშ დღაშე
დიხას დუდი ქოდირგუნი?!
ღორონთქ კოსი სვენა მეჩუ,
ორენჯს კიბირ დო ბირგული,
ოგვერდალოთ შკირენულო
ორე მარა ქოთ ქირგუნი?..
ქო ოფენო ვარა დიხაქ
კოჩიში ცოდათ გოდირკუნი?!
მუში ნარდიქ ართ მაჟია
აკოჭკომეს სოთ ქირდუნი.
მინშო ა თე ქიანა რე:
ოლონტყეში, ოთიფური;
ართი მანგო მიოჩქუნა: ქოთ
ჯგირი დო ქოთი ფური.
ართ მაჟიას მუშენი ჭკუნა, გ
ეშაჭყვიდეს ქოთი თური...
ადამ-სკუაში გორჩქინაშე
ღორონთქ ხოლო გოჩირთუნი.
კოს მიარო ბორჯი ოკო
ონდო შური ადგუმუნი;
ერჩქინაში უკულნეშე
დიხას ორე თაქ დგუმური.
წაწამიე გორჩქინაშე
ონდო ღურუ ანდგუმუნი,
წკვერეტიშე გიშნაულას
ღორონთქ რინი თაქ დუ მუნინ.
ღორონთი ვამიჩქ სოდე რენ დო
სვენა ორე კოჩიში მინჯე,
ითამუ დო: „თე დიხა რე
შურ დო ხორციში გასასინჯე“;
ღორონთს ირო იშინუანთ,
ორდოსი დო ქოთ მაინჯეთ.
კოჩიში მონძე ვარწანა დო
ღორონთ რწანანი ვადაიჯერთ.
კოჩიში ჭკუა-ჰორიზონტი თე
კოსმოსიშე ვარე გალე;
თე გორჩქინა მიქი რკითხუ,
ვაგოკოდას მუ გუგალე?!
ანდაღებული ქო ოფენო
დიხას ჟიდო უღურალე?
შურდგუმილი ერჩქინელსი
ღურაშ ნება უღუ ხვალე.

ტერენტი გრანელს

ოთხ კედელში გამოკეტილს
ეულს, მარტოს,
ყოფნამ გიშრის ფერი მისცა
ღამის წკვარამს;
მუზა სტუმრობს, მეტი მწირმა რა
ინატროს,
სევდანარევ გულის დარდებს ან-
დობს კალამს.
ჭირ და ლხინში ერთგული და
თანამდგომი
ძმადნაფიცი, მას რომელიც
მხარს უჭერდა;
გაუმართავთ პაექრობა, ვითარც
ომი,
მუზა მარტო სულის ღალას თუ
დასჯერდა.
კედლებს მიღმა იქ სამყარო
იკარგება,
ლექსთა ბწკარი ეს სიცოცხლით
არის ბაჟი;
რადგან სულის წვით და დაგვით
იქარგება,
როგორც ღამის კუნაპეტზე გარ-
იჟრაჟი.
ვით დღე-ღამეს გადაჯაჭვული
შავად-თეთრად,
იქ, მუზასთან სულს იხილავთ,
ცის ქვეშ ერთვის;
რაც ანსხვავებს მომაკვთაგან
მგოსანს მკვეთრად,
ეს პოეტის სამყაროა მზის
ქვეშეთის.

გურამ ჯიქია.
ჩხოროწყუ, ს. ლესიჭინე.

გახარიების გვარის დალოცვა

2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II დალოცავს გახარიების გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალით დაწერა (დახატვა), რისთვისაც “ლიბერთი ბანკში” გახსნილია ანგარიში. GE36LBO111199431911000 (პ.ა. ლიანა გახარიას სახელზე) მნიშვნელოვანია, ყველა გახარიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ: 599728591 – ზაურ გახარია.

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-224

ძვ. წ. VIII-VII სს-დან კოლხეთში, – წერს მერი ინაძე, – დგება რკინის ფართოდ ათვისების ხანა. რკინის მეტალურგია, მჭედლობა ხელოსნური წარმოების ერთ-ერთი წამყვან დარგად იქცევა. რკინის ნაწარმი ყოველდღიური მოხმარების საგანი ხდება.

კოლხეთიდან ცოდნა მეტალურგიისა და მისი დამუშავების შესახებ ვრცელდება მსოფლიოს ყველა ნაწილში – ევროპასა, აზიასა და აფრიკაში.

რკინის, ფოლადის და სხვა ლითონთა დნობა-დამუშავება საფუძველს აძლევს ქიმიას. კოლხები – ხალიბები მეტალურგიისა და ფაქტობრივად ქიმიის ფუძემდებლები არიან.

ვიმეორებ: კოლხები არიან მედიცინის ფუძემდებლები. მედეას სამკურნალო **„მოლი", „ასფოდოლი" – „ასფოთოლა"** მსოფლიო მედიცინის ისტორიაში კოლხეთიდან არის შესული (ჯერ შევიდა საბერძნეთში, შემდეგ ევროპის სხვა ქვეყნებში).

მაშასადამე, როგორც აღინიშნა, კოლხები არიან მსოფლიო ზღვაოსნობის, კარტოგრაფიის – ამ თვალსაზრისით, გარკვეულწილად გეოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებლები.

ზემო ნათქვამიდან გარკვევით ჩანს, რომ ასეთი განვითარების, ცივილიზაციის ხალხს ნამდვილად შეეძლო – აკადემიის შექმნა და კიდეც შექმნა ფაზისის (კოლხეთის) აკადემია, უმაღლესი რიტორიკული სკოლა – საქართველოში ყველა აკადემიის – უმაღლესი სასწავლებლის ფუძე და დედა. სწორედ წერს ცნობილი მეცნიერ-ისტორიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლევან სანიკიძე – იბერიადა იწყება კოლხეთით, რომ კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე.

ირკვევა, რომ კოლხეთის აკადემიაში სასწავლო **„საგანი"** იყო ცნობილი პიროვნებები: ჰომეროსი, ჰეროდოტე, ტაციტუსი, ჰესიოდე, პლატონი, არისტოტელე, ციცერონი, კვინტილიანე, სტრაბონი, აპ. როდოსელი, თალეს მილეთელი, ვირგილიუსი და სხვები – ისინი, ვინც წერდნენ კოლხეთზე, კოლხეთის ისტორიის შესახებ (**ვლ. ალფენიძე**, ფაზისის (კოლხეთის) აკადემიის ისტორია და ფაზისი უმაღლესი რიტორიკული სკოლის აღორძინების პროგრამა, გაზ. **„ერი და საზოგადოება"**, 1997, თებერვალი, №4, გვ. 11-12. იხ. მისივე – ეგვიპტური ენისა და იეროგლიფების კოლხური საიდუმლოებანი. იმავე გაზ., გვ. 6-10.).

ჩანს, რომ კოლხეთის აკადემია უნივერსალური რიტორიკული სკოლა იყო. ეს გარკვევით დასტურდება ისეთი გამოჩენილი ორატორების შრომებიდან (გამოსვლებიდან), როგორებიც იყვნენ ლაზი ციცერონები – იოანე, აიეტი და ფარტაზი. გავიხსენოთ კოლხეთის დიდი მეფის გუბაზ II-ის მიმართვა სპარსელების პირისპირ მდგომი მებრძოლებისადმი, რომელიც თოთხმეტ საუკუნეზე დიდი ხნის შემდეგაც ორატორული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია. მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ საუკუნეების შემდეგ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაზე (მენშევიკური ხელისუფლება), განსაკუთრებით, პოლიტიკური ორიენტაციის საკითხებზე (მაზდეანური სპარსეთის თუ ქრისტიანული ბიზანტიის მხარეზე) აიეტისა და ფარტაზის სიტყვებმა, გუბაზ II-ის ვერაგულად მკვლელთა სასამართლო განხილვაზე.

პროფესორმა ზურაბ ავალიშვილმა თავის ცნობილ წიგნს **„საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში"**, წაუძღვარა კოლხი ორატორის, აიეტის გამონათქვამი, ციტატა, საგარეო პოლიტიკური ორიენტაციისა და სახელმწიფო დამოუკიდებლობის საკითხებზე. ზურაბ ავალიშვილს „POST-SCRIPTUM-ი წინასიტყვაობის მაგიერში მოტანილი აიეტის სიტყვების შემდეგ, აგრძელებს: **„წარმოთქვა ეს სიტყვები, სადაც საქართველო ჩასმულია ლაზიკა-კოლხეთის, უფრო ზუსტად, კოლხეთის სახელმწიფოს, ანუ რესპუბლიკის ნაცვლად, 554 წელს ქრისტეს აქეთ, სახალხო კრებაზე, რომელიც სადღაც მთის ორწოხებში საიდუმლოდ განსჯიდა იმა დღეთა პოლიტიკურ სატკივარს"** (**ზურაბ ავალიშვილი**, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, პარიზი, 1924, წინასიტყვაობის მაგიერ. (ციტატი უცვლელადაა გადმოწერილი).

ნოე ჟორდანიას მთავრობა დაინტერესებული იყო შეესწავლა კოლხეთის მეფის გუბაზ II-ის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხები – მოძღვრება ქართული პოლიტიკური მიმართულების გადაწყვეტის ისტორიის, თეორიისა და პრაქტიკის შესახებ.

ბიზანტიელმა (ბერძენი) მემატიანემ აგათია სქოლასტიკოსმა (536-582) ჩაიწერა და ისტორიას შემოუნახა **„ორი კოლხი ციცერონის"**, რიტორიკული ხელოვნების უკვდავი ნიმუში – აიეტისა და ფარტაზის სიტყვები კოლხეთის მეფის გუბაზ II-ის მკვლელობის გამო, კოლხეთის **„პარლამენტში"** – ეს იყო მსოფლიოს პირველი **„პარლამენტის"** საწყისი ფორმა – კოლხეთის პირველი პარლამენტი, რომელშიც მამაკაცების თანაბარი ხმის უფლებით სარგებლობდნენ ქალებიც; 930 წლის 23 ივნისს დაარსდა მსოფლიოს უძველესი პარლამენტი – ისლანდიის ალტინგი; 1265 წლის 20 იანვარს ვესტმინსტერის სასახლეში გრაფ ლესტერის თაოსნობით შეიკრიბა ინგლისის პირველი პარლამენტი (ზოგიერთი წერს, რომ ეს იყო 1256 წლის 23 იანვარს).

თამარ მეფის დროს ყუთლუ-არსლანი (ვაზირი) ინგლისის პარლამენტზე ადრე, იბრძოდა საქართველოში პარლამენტის შექმნისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი შეიქმნა 1800 წელს (საუკუნეზე ცოტა ხნის შემდეგ – 1912 წლის 18 დეკემბერს ამერიკის კონგრესმა ქვეყანაში გაუნათლებელ პირთა იმიგრაცია აკრძალა, ამით გამოჩნდა ამ ქვეყნის ნამდვილი სახე).

ისე როგორც კოლხეთის საერთო სახალხო კრებაზე, სახალხო საბჭოში გამოსვლები, ასევე ორატორული ხელოვნების ნიმუშია ლაზი ელჩის სიტყვები სპარსეთის შაჰის (ხოსროს 531-579) კარზე, გუბაზ მეფის მკვლელობასთან დაკავშირებით.

კოლხეთში უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საკითხები სახალხო კრებაზე წყდებოდა. აღნიშნულ კრებაზე მრავალი ორატორი გამოვიდა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კოლხი დიდებულების აიეტისა და ფარტაზის სიტყვები. აიეტი, რომელიც სპარსეთთან მოკავშირეობას უჭერდა მხარს, ამბობდა: **„მე ვინატრებდი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს მისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირდეს უცხო და გარეშე დახმარება და რომ ყოველთვის, საქმიანობაში როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს, საკუთარ თავს ეკუთვნოდეს, მაგრამ რასაც დროთა მდინარეობით, ანდა ბედის ტრიალით, ეგებ ორივეს გამოც, ისე დავუძლურდით, რომ სხვებს უნდა დავემორჩილოთ, მე ყველაზე გონივრულად მიმაჩნია, იმათ ნებას დავყვეთ, ვინც უფრო ზომიერია და სამართლიანი, და ვინც არასდროს ღალატობს თავისი მოკავშირეების მეგობრობას"**. ფაქტობრივად ამ ჭეშმარიტების გაგრძელებაა ბრძენმა ილია ჭავჭავაძემ რომ ათქმევინა ლელთ ღუნიას ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნდესო. ეს აზრი უძველესი დროიდან ცოცხლობს ყველა ქართველის გულში. ქართველ კაცს არავინ უცხო არ სჭირდება სახლში უფროსად და მბრძანებლად, მეგობრებად კი ყველა, ვინც ამის თანახმაა, ვისაც ამის სურვილი აქვს.

მეორე დიდი კოლხი ორატორს ფარტაზს, რომელიც რომაელ-ბიზანტიელთა მოკავშირეობას უჭერდა მხარს, არ სჯეროდა სპარსელების, ამიტომ ამბობს: **„სპარსელები თავისი ხასიათით მტკიცენი და სანდონი იყვნენ და ჩვენთან დადებულ პირობებს რომ შეასრულებდნენ, კარგი, მაგრამ ამისთანა არ ხდება"**.

შემორჩენილია აიეტის სიტყვები იმის შესახებ, რომ ჩვენი ხალხი უკვდავია: **„ჩვენი ხალხი არასოდეს მოკვდება... ყოველი გზის პირად ციხეს ნახავთ ძველს, ყოველი გზის ასაქცევთან ვაჟკაცს შეხვდებით, მტრის ტყვიებით დაცხრილულს. შრომის, ბრძოლის და სიმტკიცის ემბლემაა ეს ციხეები... ეს მათ გადაარჩინეს ქართველი ხალხი მოზღვავებული მტრების იერიშებს"** (გეორგიკა, VII, გვ. 63-81; აგრეთვე, იაკობ ახუაშვილის, საერისთაო და სამთავრო, საუფლისწულოები ოდიშის სამთავროში, გაზ. **„დიოსკურია"**, 2005, ნოემბერი, №28.).

ნიკოლოზ კანდელაკი ნაშრომში **„ქართული მჭევრმეტყველება"** წერს: **„გუბაზ მეფის სიტყვა თქმული მხედრობის მიმართ მიხირისთან ბრძოლის წინ, ქართული სამხედრო მჭევრმეტყველების საყურადღებო ძეგლია, რომელიც საკმაო სიცხადით წარმოგვიდგენს შორეული წარსულის ცოცხალ ენამჭევრობას"** ... გუბაზ მეფე თავისი დროის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი და ორატორია. ის ხანგრძლივად აწარმოებდა ისტორიული ვითარებით შეპირებულ გონივრულ პოლიტიკას – ბიზანტია-სპარსეთის ჭიდილის პირობებში და ამა თუ იმ შესაძლებლობიდან თითქმის ყოველთვის გამარჯვებულს მხარეზე იდგა. **„კოლხური კულტურის აყვავების ხანა IV საუკუნეა, ხოლო III-VI საუკუნეებში იგი უმაღლეს წერტილს აღწევს. შემდეგ აგრძელებს: ჩვენი ანტიკური კულტურის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი სამეცნიერო-პედაგოგიური კერა გაჩაღებულია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კოლხების ქვეყანაში, სადაც მდინარე ფასისი ერთვის პონტოს ნაპირებს. ამ მიდამოებს თემისტიოსი უწოდებს მუზების ტაძარს. კოლხეთის აკადემია უწინარეს ყოვლისა, მჭევრმეტყველების კერა იყო. შემდეგ ამბობს: „აიეტისა და ფარტაზის ორატორული ხელოვნება კოლხეთის რიტორიკული სკოლის შორეული გამონაშუქია, რომელიც ამშვენებს ჩვენი ზეპირი სიტყვის საგანძურს... კაცობრიობის სულიერი შემოქმედების სარბიელზე იშვიათად მოიპოვება მსმენელებისადმი მიმართული ისეთი შედევრები, როგორიცაა აიეტისა და ფარტაზის სიტყვები".**

„აიეტისა და ფარტაზის ორატორული მემკვიდრეობის შესასწავლად, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა VI საუკუნის ლაზიკის (კოლხეთის) პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინება."

ვაგრძელებთ ნ. კადელოვის ნაშრომის ციტირებას: **„როგორც საისტორიო პირველწყაროს მიხედვით დავინახეთ, აიეტი ოსტატურად ფლობდა და იყენებდა მეტყველების მაღალ ხელოვნებას. „ის მშვენივრად ლაპარაკობდა" – ამბობს აგათია და დასძენს: „მის აზრებს შველოდა მისი ბუნებრივი მოქნილობაც."**

აიეტის სიტყვა, თქმული სახალხო კრებაზე კოლხეთის პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ქართული მჭევრმეტყველების უჭკნობი მშვენებაა. ის მტკიცედ შეკრული, მწყობრად აგებული და ლოგიკურად გამართული ორატორული ძეგლია... აიეტის მჭევრმეტყველება უხვად შეიცავს აფორიზმულ გამონათქვამებს, და ნ. კანდელაკს მოაქვს აიეტის მრავალი დიდმნიშვნელოვანი საყურადღებო აფორიზმები.

შემდეგ ნ. კანდელაკი ამბობს: **„ფარტაზის სიტყვა სახალხო კრებაზე ქართული მჭევრმეტყველების უკვდავი ძეგლია. ის ჩვენი ზეპირი სიტყვის ოქროს ფონდის კუთვნილებაა და მსოფლიო მჭევრმეტყველების ღირსეულ ქმნილებას წარმოადგენს. საკაცობრიო ზეპირი მეტყველების ისტორიაში ფარტაზის ორატორული ნაწარმოები შეიძლება გვერდით ამოუდგეს ისეთ შესანიშნავ ძეგლებს, როგორიცაა დემოსთენესა და ციცერონის ფილიპიკები".**

ლაზიკის სამეფოს სახელოვანი შვილები, – აგრძელებს ნ. კანდელაკი, – აიეტი და ფარტაზი ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ რთულ და მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში – რომაელთა და სპარსელთა აგრესიული შემოტევის დროს. მათი ორატორული შემოქმედება ნათლად ასახავს ჩვენი ისტორიის ერთ საყურადღებო პერიოდს, როცა ორმხრივი შემოსევით გარემოცული საქართველოს სამეფოები ენერგიული ბრძოლითა და მოქნილი დიპლომატიით ცდილობდნენ არსებული პირობების შეცვლას უკეთესი მდგომარეობით.

აიეტისა და ფარტაზის სიტყვები წარმოთქმული ლაზიკაში, კერძოდ **„კავკასიის ერთ ხეობაში"**, სადაც **„შეყარეს დიდძალი ხალხი"**, ცხადია, კოლხები, და მაშასადამე ორატორების ენა მშობლიური უნდა ყოფილიყო კოლხებისათვის". გუბაზ ლაზიკის მეფის მკვლელთა გასამართლების აღწერისას აგათია (აგათია სქოლასტიკოსი აღნიშნული ისტორიული მოვლენების თანმხვედურია) შენიშნავს: **„...იყვნენ კაცნი, რომელთაც იცოდნენ სწრაფი წერა და დაწერილის წაკითხვა სხაპა-სხუპით". კოლხეთის სახალხო კრება, კოლხეთის „პარლამენტი" „გუბაზის მკვლელობის გამო კოლხურად (კოლხურ ენაზე) იმართებოდა. ხოლო ბიზანტიის იმპერატორ იუსტიანეს (რომელიც კოლხეთთან ნორმალურ ურთიერთობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აქცევდა) მიერ არქეოპოლისში დანიშნულ სასამართლო პროცესზე გამოსული ორატორები მშობლიურ კოლხურ და ბერძნულ ენაზე მეტყველებდნენ** (თუმცა, ყველა გამოსულმა ორატორმა ბერძნული ენა კარგად იცოდა: **„წერა და წერილის წაკითხვა სხაპასხუპით იცოდნენ"** (აგათია).

ბერძნული და ლათინური საისტორიო წყაროები, – წერს მემატიანე, – მრავალჯერ მოიხსენიებენ IV საუკუნის ქართული **„იბერიის სამეფოს წარჩინებულ მემკვიდრეს ბაკურს, რომელსაც უწოდებენ მეფეს, მეფის შთამომავალს, მხნე სარდალს, იბერთა შორის სახელოვანს, დიდ ბაკურს"** და ა. შ. ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი ამარტოლი თავის **„ქრონოგრაფში"** ასე ახასიათებს მას: **„კაცი ყოვლად ღირსეული, როგორც რწმენისა და სათნოებით, ისე თავისი სულიერი და ხორციელი სალამაზით".**

ბაკური, უცნობი მიზეზების გამო წასულა სამშობლოდან, ცხოვრობს ბიზანტიაში, სადაც უჭირავს სარდლის თანამდებობა, მონაწილეობს ბრძოლებში და ერთ-ერთი პროვინციის უფროსია. **„ბაკური თავისი დროის ცნობილი მოაზროვნე და სახელოვანი ორატორია. მისი მოღვაწეობის ამ მხარეს ნათელს ჰფენს გამოჩენილი ბერძენი ორატორის ლიბანიოსის სამი წერილი ბაკურისადმი".**

ანტონ ჭყონდიდელს (დადიანს), XVIII საუკუნის მწერალს და საეკლესიო მოღვაწეს, ნ. კანდელაკი **„შესანიშნავ მჭევრმეტყველს და ორატორს" უწოდებს. „ფართოდ ცნობილ და ღირსეულად დაფასებული მოძღვარი არ იფარგლებოდა სამწყსოს საერთო ხელმძღვანელობით და მრევლის ზნეობრივ აღზრდასაც აწარმოებდა. ასეთი ღვაწლით ვალმოხდილი მქადაგებელი ქართული ზეპირსიტყვის თვალსაჩინო ხელოვანია."**

1761 წლიდან ანტონ ჭყონდიდელი-დადიანი მეთაურობს ცაგერის სამწყოს, ხოლო 1777 წელს ინიშნება ჭყონდიდის კათედრის წინამძღოლად და ამის მიხედვით ანტონს ხშირად ცაგარელ-ჭყონდიდელად იხსენებენ ჩვენს კულტურის ისტორიაში – წერს ნ. კანდელაკი

ნ. კანდელაკი, ნიკო (ნიკოლოზ) დადიანის შესახებ წერს: **„ის, ჩვენი ახალი კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაჩინო წარმომადგენელია. ის გასული საუკუნის (მე-19) მეორე ნახევრის საზოგადო მოღვაწე, მწიგნობარი, მწერალი და ორატორია. ნ. დადიანი თანამედროვეთა შორის გამოირჩეოდა თავის ფართო განათლებით, მაღალი კულტურით, მდიდარი ბუნებით. მტკიცე ხასიათით. ქართული ენის დიდი მცოდნე და მრავალმხრივი განსწავლული მოაზროვნე, ნ. დადიანი უწინარეს ყოვლისა, შესანიშნავი მჭევრმეტყველია."**

ნიკო დადიანის სხვა შესანიშნავი მჭევრმეტყველება-ორატორული ხელოვნების ნიმუშზე, რომ არაფერი ვთქვათ, ქართველმა ინტელიგენციამ აიტაცა მისი ორი დიდი პატრიოტული გამოსვლა – სამგლოვიარო სიტყვა, ორი დიდი ქართველი მოღვაწის დაკრძალვაზე: ერთი დიმიტრი ბაქრაძის დაკრძალვაზე 1890 წლის 13 თებერვალს დიდუბის პანთეონში და მეორე გაბრიელ ეპისკოპოსისა (ქიქოძის) 1896 წლის 10 მარტს გელათის ტაძარში. ფაქტობრივად ეს იყო სახელოვანი ქართველი მოჰიკანის, დიდი ნიკო დადიანის, კოლხი ციცერონელის უკანასკნელი გამოსვლა.

ცნობილია, რომ კომუნისტური რეჟიმის დროს ორატორულ ხელოვნებას ყურადღება არ ექცეოდა.

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში

შსს-მ სამეგრელოში იარაღისა და საბრძოლო მასალების სამალავი აღმოაჩინა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ცნობით, **შსს** სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს მიერ ჩატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, სამეგრელოში აღმოჩენილია ყოფილი ხელისუფლების შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების უშუალო ორგანიზებითა და ხელმძღვანელობით მიწის ქვეშ შენიღბულად მოწყობილი, სპეციალური კამუფლაჟით დაფარული სამალავები, რომლებშიც ნაპოვნია ფართომასშტაბიანი საბრძოლო ოპერაციების, მათ შორის, დივერსიული საქმიანობის წარმოებისათვის გათვალისწინებული დიდი ოდენობით ფეთქებადი ნივთიერებები და ასაფეთქებელი მოწყობილობები, ხელყუმბარები, ავტომატური და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი, კავშირგაბმულობის საშუალებები, სამხედრო ამუნიცია, აგრეთვე დიდი ოდენობით ნარკოტიკული და ძლიერმოქმედი ფსიქოტროპული ნივთიერებები, კერძოდ, ჰეროინი, კოკაინი, ოპიუმი, სუბუტექსი და სხვა.

ჩხრეკისას ამოღებულია წინა ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი იმ პირების ფოტოსურათებისა და პირადი მონაცემების შემცველი არქივი, რომელთა დაპატიმრება, სხვადასხვა გაყალბებული და ფალსიფიცირებული ბრალდებით, იგეგმებოდა 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** გამარჯვების შემთხვევაში.

გარდა ამისა, სამალავებში ნანახი იქნა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ადამიანების სასტიკი წამების, მათზე სექსუალური ძალადობის განხორციელების, ცემის, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მოპყრობის ამსახველი არაერთი ვიდეოფირი, რომელთა შესწავლისათვის ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, – ნათქვამია **შსს**-ს განცხადებაში.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი გიგი წერეთელი გამოეხმაურა შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებას სამეგრელოში იარაღის საიდუმლო საცავის აღმოჩენის თაობაზე და განაცხადა, რომ ეს ხელისუფლების უსუსური მცდელობაა ვიღაცისთვის ბრალის დამძიმების ან ახალი დაკავებისათვის.

„ჩემთვის შსს-ს განცხადება დამაკმაყოფილებელი არ არის... მე გზაში მოვისმინე შსს-ს განცხადება და ვერ გეტყვით, რამდენად რეალურია ეს ყველაფერი. ეს ალბათ, ხელისუფლების მორიგი უსუსური მცდელობაა ახალი დაკავების ან ვიღაცისთვის ბრალის დამძიმების. სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციისკენ არის მიმართული. მით უფრო, რომ არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია და თავისი განწყობა ცოტა მაინც უნდა დამალონ და წინა პლანზე არ უნდა წამოიწიოს ოპონენტების განადგურების კიდევ ერთი გამოხატულება“, – განაცხადა გიგი წერეთელმა.

საქინფორმი

გაზეთ “ილორის” კომენტარი: გიგი წერეთელი რომ თავხედი ნაციონალია და იგიც დამნაშავეთა ქსელის ერთ-ერთი აქტიური წევრია, იქიდანაც ჩანს, თუ როგორ დაუსჯელად მოქმედებს საქართველოში ფარმაკომაფია, რომელიც სისხლს სწოვს ისედაც გაღატაკებულ და სოციალურად დაუცველ მოსახლეობას. იმედია, სამართალდამცავი ორგანოები მალე გამოიკვლევენ წერეთლის დანაშაულებრივ ქმედებებს და სათანადო ადგილს მიუჩენენ მას ნაცების მიერვე აგებულ საპატიმროში.

ნაცების დანაშაული იმითაც იკვეთება, რომ, შემდეგ, უტიფრობით გამორჩეულმა მეორე ნაცმა ნუგზარ წიკლაურმაც განაცხადა, რომ ეს სამალავი თავდაცვის სამინისტროს მიერაა მოწყობილი სტრატეგიული დანიშნულებითო.

ამ ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ კი აღმოჩენილი იქნა კიდევ ერთი სამალავი, საიდანაც დამატებით ამოიღეს იარაღითა და საბუთებით სავსე კიდევ ოთხი კასრი.

ახლა უკვე საკაშვილმა გამოიდო თავი და ჩვეული უტიფრობით განაცხადა, რომ ეს იარაღი ჩემი განკარგულებით იქნა გადამალული, რადგან რუსების მიერ სამხედრო აგრესიის განხორციელების შემთხვევაში ქვეყანაში ფართოდ გაგვჩაღებინა პარტიზანული მოძრაობაო. რაც შეეხება წამების ამსახველ მასალებს და ნარკოტიკებს, ეს ჩვენი გადანახული არ არის, რადგან ამის აზრს ვერ ვხედავო. დააკვირდით: იმას კი არ ამტკიცებს, რომ ადამიანების წამების ფაქტებს ადგილი არ ჰქონდაო, არამედ, თვალში ნაცრის შეყრით გვიმტკიცებს, რომ ამ მასალებს ჩვენ არ შევინახავდით, როგორც ჩვენს საწინააღმდეგო ნივთმტკიცებასო!

მოკლედ, როგორც მეგრელები ამბობენ, “აიბორჯენ” ნაციონალები!

თუ ეს იარაღი “ქვეყნის სასიკეთოდ” გადამალეს, მაშინ ხომ უნდა ეცნობებინათ ამის თაობაზე ახალი ხელისუფლებისათვის, რომელსაც კანონით ევალება ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა? განა სამალავების ადგილების გასაიდუმლოებით არ დასტურდება სააკაშვილისა და მისი ხროვის ვერაგული განზრახვა?

რაც შეეხება ნაციონალებს, “ილორი” ხშირად ამტკიცებდა, რომ ეს არის დანაშაულებრივი და საკმაოდ საშიში ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს არა ჭკუანაკლული მექალთანე მიხეილ სააკაშვილის “რეცეპტურით”, არამედ “დაშნაკცუტიუნის” ამერიკული ლობის მიერ შედგენილი კონსპექტებით, რაც აღმოსავლეთ საქართველოს ქვეყნიდან ჩამოშორებას გულისხმობს.

ამიტომ, ნურავინ იფიქრებს, რომ ამერიკელი მდიდარი სომხები იოლად დათმობენ იმ დიდ ფულს, რაც მათ აშკარად შეურაცხადი ავანტიურისტის მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტებას და საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების ვერაგული გეგმის განხორციელებას დაახარჯეს. ამიტომ, გამორიცხული არ არის, რომ სამეგრელოში აღმოჩენილი იარაღის სამალავის გარდა ნაციონალებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიც ბლომად ჰქონდეთ მოწყობილი არალეგალური “არსენალები”, რომელსაც, შესაბამის დროს, გამოიყენებენ სიტუაციის ასარევად და კვლავ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად.

ისიც გაიხსენეთ, როგორი თავგამოდებით იცავს ამერიკის კონგრესი პირწავარდნილ დამნაშავე სააკაშვილსა და მის ნაციონალებს და მოუწოდებს საქართველოს ახალ ხელისუფლებას, რომ ხელი არ ახლონ წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს.

ამერიკელებს რომ საქართველოსა და ქართველი ერის ბედი ფეხებზე ჰკიდიათ, აქედანაც კარგად ჩანს! მათთვის მთავარია, რომ საქართველოს ჰყავდეს ავადსახსენებელი “ნაციონალებისთანა” მორჩილი ხელისუფლება, რომელიც უსიტყვოდ აასრულებს ოკეანისგაღმელთა ხუშტურებს, დაუნანებლად გააგზავნის ავღანეთის სასაკლაოზე ქართველ ვაჟკაცებს, უსიტყვოდ დაუბრუნებს მათ, “ატკატის” სახით, შემოსული ფინანსური დახმარებებისა თუ ინვესტიციების დიდ ნაწილს!

ამის მკაფიო დასტურად შეიძლება საერთაშორისო თაღლითისა და სააკაშვილის “დიდი მეგობრის” დონალდ ტრამპის მაგალითი მოვიყვანოთ, რომელმაც ჩვენი ოფლითა და სისხლით მოპოვებული სამასი მილიონი ლარი მხოლოდ იმაში აიღო, რომ სააკაშვილს ყინჩად მოეხსენებინა მისი სახელი ამერიკელ ინვესტორებს შორის. არა და, ტრამპს კაპიკი არ დაუხარჯავს საქართველოს საკეთილდღეოდ და არც არაფერს აპირებს ამ მიმართულებით!

მოკლედ, მუდამ საშოვარს გადაგებული ამერიკელები ახლა მხოლოდ სააკაშვილისა და ნაციონალების ინტერესებს იცავენ და არა საქართველოსი!

როგორც იტყვიან, ღმერთმა დაგვიფაროს ამერიკისნაირი “მეგობრებისაგან”!

მაგრამ ღმერთი იმასაც გვეუბნება, რომ ხელი გაანძრიე და გეშველებაო. ამიტომ არის აუცილებელი, რომ ნაციონალური მოძრაობა გამოცხადდეს დანაშაულებრივ ორგანიზაციად, ქვეყნის პარლამენტში არჩევნების გაყალბების გზით მოსული ნაცი პარლამენტარები გამორეკილ იქნან საკანონმდებლო ორგანოდან, მიხეილ სააკაშვილს კი უნდა გამოეცხადოს იმპიჩმენტი და მიცემულ იქნას სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ამავე დროს, ყველა ქართველი პატრიოტი, რომელსაც სახლში რაიმე იარაღი გააჩნია, მუდმივ მზადყოფნაში უნდა ჰქონდეს იგი, რათა საჭიროების შემთხვევაში მხარში ამოვუდგეთ ახალ ხელისუფლებას და ერთად გავანადგუროთ ჭირად ქცეული ნაცმოძრაობა.

ნაცები დავამარცხეთ, მაგრამ მათი, როგორც პოლიტიკურ-კრიმინალური ძალის, საბოლოოდ განადგურებაა საჭირო. გველი მკვდარიც კი საშიშია, რადგან თავზე რომ ფეხს დააბიჯებ, შეიძლება დაიგესლო.

გაიხსენეთ – გერმანელი ფაშისტები ყველაზე თავგანწირვით დიდი სამამულო ომის დასასრულს იბრძოდნენ, რადგან აღსასრულს გრძნობდნენ. ნაცების აღსასრულამდეც რამდენიმე თვე დარჩა და ამიტომ არიან ისინი სახიფათონი.

ამიტომ, ფრთხილად ვიყოთ, ქართველებო, ძალიან ფრთხილად!!!



რა კავშირი აქვს ვანო მერაბიშვილის ყოფილ მრჩეველს მინსკში მომხდარ მკვლელობასთან?

შპს ტელეკომპანია **“პიკს”**, რომელიც **“საზოგადოებრივი მაუწყებლის”** მესამე არხ **“პიკს”** მართავდა, ახალი მფლობელი ჰყავს. კომპანიის 60 პროცენტი შპს **“შვისეას”** გადაეცა.

სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით, პარტნიორთა კრებაზე გადაწყდა, რომ კომპანიის 60 პროცენტის გადაცემის სანაცვლოდ, **“შვისეა”** ვალდებულია, ოქმზე ხელმოწერიდან 5 წლის განმავლობაში შპს **“ტელეკომპანია პიკის”** კაპიტალში მილიონ ხუთასი ათასი ლარის ინვესტიცია განახორციელოს.

“შვისეას” 30 პროცენტი ტელეკომპანია **“პიკის”** 55 პროცენტის მფლობელმა მამუკა თათოშვილმა დაუთმო, 10-10 პროცენტი კი გიორგი აღდგომელაძემ, თამაზ გუდაძემ და ნიკოლოზ ტაბიძემ, რომელთაც მანამდე 15-15 პროცენტი ეკუთვნოდათ.

“შვისეას” დამფუძნებელი და დირექტორი ლიტველი დარიუს იურგელავიჩუსია.

ვინ არის **იგი**?

იურგელავიჩუსი განათლებით ჟურნალისტია. 80-იან წლებში ლიტვაში იყო რადიოს წამყვანი, ცნობილი გახლდათ პროსაბჭოთა შეხედულებებით და ღიად გამოდიოდა ლიტვის განმათავისუფლებელი ორგანიზაცია **“საიუდისის”** წინააღმდეგ. 2000 წლის დასაწყისში მუშაობა დაიწყო ლიტვის სპეცსამსახურებში. თანამდებობრივი კარიერა სწრაფად გაიკეთა და ლიტვის უსაფრთხოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეობამდე მიაღწია. 2004 წელს იყო ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. 2004 წელს შეხვდა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ რანგით მას პრეზიდენტთან შეხვედრა არ ეკუთვნოდა, მაგრამ საუბრის თემა იყო ძალიან მნიშვნელოვანი, საქმე ეხებოდა აზერბაიჯანის ნატოსთან ინტეგრაციის დაჩქარების საკითხს.

ამავე პერიოდში იურგელავიჩუსი ხშირად სტუმრობდა საქართველოს, ხან ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის რანგში, ხანაც ევროსაბჭოს დელეგაციის შემადგენლობაში, როგორც უსაფრთხოებისა და თავდაცვის ექსპერტი.

2006 წლის აგვისტოში ბელარუსში, კერძოდ მინსკში ტრაგიკულად დაიღუპა ლიტვის უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ვიტაუტას პოციუნასი. იგი სასტუმროს მეცხრე სართულიდან გადმოაგდეს. განიხილებოდა თვითმკვლელობის ვერსიაც, მაგრამ ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ ის თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმით მოკლეს და მერე გადააგდეს. პოციუნასი ბელარუსში სპეცდავალებით იმყოფებოდა, რადგან ამერიკელები ლუკაშენკოს რეჟიმის დამხობას და იქ ფერადი რევოლუციის მოწყობას აპირებდნენ. ამ პროექტში საქართველოდან ჩართული იყო ფერადი რევოლუციების **“მამა”,** საქართველოს პარლამენტის დეპუტატი გივი თარგამაძეც, რომელიც თვეების განმავლობაში პარლამენტში არ ჩნდებოდა და ფაქტობრივად, ბელარუსში ცხოვრობდა. ფერადი რევოლუციის პროექტი ჩავარდა და რამდენადაც მას ლიტვის უსაფრთხოების სამსახური კურირებდა, ვიტაუტას პოციუნასი ბელარუსში ჩავიდა, სადაც დახურულ ფორმატში შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ჯორჯ კროლს. მისი ამოცანა იყო გაერკვია, სად გაქრა ის 420 მილიონი დოლარი, რომელიც ბელარუსში ლუკაშენკოს რეჟიმის დასამხობად იყო მობილიზებული ჩანს. პოციუნასი კვალს დაადგა და სწორედ ამიტომ **“დაეხმარნენ”** მას სასტუმრო **“ინტურისტის”** მეცხრე სართულიდან გადმოხტომაში. ამის შემდეგ ბელარუსში ჩავიდა ვიტაუტას პოციუნასის მოადგილე დარიუს იურგელავიჩუსი, რომელსაც საკუთარი შეფის იდუმალებით მოცული მკვლელობის დეტალების გარკვევა ევალებოდა. არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რა გაარკვია ბატონმა დარიუსმა ბელარუსში და იყო თუ არა ლიტვის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მკვლელობაში ქართული კვალი, სამაგიეროდ, 2009 წლიდან მან მოუხშირა საქართველოში ვიზიტებს და 2009 წლის ნოემბერში ოფიციალურად დაინიშნა ვანო მერაბიშვილის მრჩევლად. იმავე წლის აგვისტოში დანიშვნას წინ უძღოდა ლიტვის პრეზიდენტის პროტესტი, რომელიც ითხოვდა, რომ დარიუს იურგელავიჩუსს დაეტოვებინა ლიტვის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის პოსტი, რადგან ის, ფაქტობრივად, საქართველოში ცხოვრობდა.

2012 წლის ნოემბრიდან, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში **“ქართული ოცნება”** მოვიდა, ტელეკომპანია **“პიკი”** მაუწყებლობას წყვეტს და მისი 60%-ის მფლობელ დარიუს იურგელავიჩუსის კვალი იკარგება. ის აღარ ჩანდა საქართველოში. უცნობია, ოფიციალურად დატოვა თუ არა მან ქვეყნის საზღვრები. კომუნიკაციების კომისია მას დღემდე არ სთხოვს იმ ვალდებულების შესრულებას, რომელიც ტელეკომპანია **“პიკის”** 60%-ის შეძენისას აიღო. ეს ეხება, დაახლოებით, მილიონ 500 ათასი ლარის ინვესტიციას.

P. S. არაოფიციალური ინფორმაციით, დარიუს იურგელავიჩუსი დეპუტატ გივი თარგამაძის ახლო მეგობარიც არის და სწორედ ის იფარავდა თარგამაძეს ვილნიუსში.

ელიზო კილაძე

სოდომ-გომორის დაქცევა – უფლის მკაცრი მსაჯულების მაგალითი

ბიბლიაში აღწერილ კატასტროფათაგან მსოფლიო წარღვნის შემდეგ მეორე ადგილს სოდომისა და გომორის დასჯა იკავებს. მოსეს ხუთწიგნეულის პირველი წიგნის, **"დაბადების"**, მეცხრამეტე თავში გარკვევით წერია, რომ სწორედ მამათმავლობის გამო დასაჯა ეს ორი მატერიალურად აყვავებული ქალაქი უფალმა. და დასაჯა არა წარღვნით ან მიწისძვრით, არამედ გოგირდისა და წუნწუის წვიმით, რომლის საშინელი სიმყრალე სწორედ ამ ცოდვის სიმყრალის შესატყვისი იყო – რათა უფრო საცნაური გაეხადა ადამიანთათვის ამ ცოდვის სიბილწე, და ეჩვენებინა, რამდენად სძაგს იგი შემოქმედს ჩვენსას. ეს აბრაამისა და ლოტის დროს მოხდა, მაგრამ ამ საშინელი სასჯელის უტყე მღადადებლად დღემდე მკვდარი ზღვა გვევლინება – ერთადერთი ზღვა დედამიწის ზურგზე, რომელშიც არაა სიცოცხლე; და ეს ზღვა სწორედ სოდომისა და გომორის ადგილას გაჩნდა ამ ცეცხლოვან-გოგირდოვანი წვიმის მერე, რათა ადამიანებს არასოდეს დავიწყებოდათ უფლის განაჩენი. ისევე, როგორც წარღვნამ, სოდომ-გომორის შემთხვევამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ღმერთი არა მარტო მიუწვდომელი სიყვარულია, არამედ მკაცრი და მიუდგომელი მსაჯულიც.

მთელ ძველ აღთქმას ლაიტმოტივად გასდევს ის, რომ რჩეული ერი ვალდებულია, დაიცვას თავისი რჩეულობა სწორედ ცოდვის უარყოფითა და ღვთის მცნებებისათვის ბრძოლით. ძველი აღთქმა ახალი აღთქმის წინასახეა. იესო ქრისტეს განკაცებამ ბევრი რამ ასწავლა კაცობრიობას და ბრძოლის ძირითადი სარბიელი კონკრეტული გეოგრაფიული სივრციდან თითოეული ადამიანის გულში გადაიტანა. თუმცა არა მხოლოდ ეს ქმნა უფალმა.

მათ, ვინც დღეს ამტკიცებენ, რომ ქრისტიანისა და, ზოგადად, ეკლესიის, ერთადერთი მოვალეობა ლოცვა და სიყვარულის ქადაგებაა, ან არ იციან ქრისტიანობა და ეკლესიის ისტორია, ან შეგნებულად აყალბებენ ფაქტებს.

არის ეკლესია ზეციური და ეკლესია – მიწიერი. ზეციურ ეკლესიას მოზეიმე ეკლესიას უწოდებენ წმინდა მამები, ხოლო მიწიერს – მებრძოლს. და ეკლესიის თითოეული წევრი ქრისტეს მხედრად იწოდება. რადგანაც ქრისტეს ნათლით შემოსვის შემდეგ თითოეული ქრისტიანი ვალდებულია, საკუთარ თავსა და თავის წილ სამყაროში ებრძოლოს ცოდვას. რადგანაც არავინ ანთებს სანთელს იმისათვის, რომ იგი ხვიმირის ქვეშ შედგას, არამედ იმისათვის, რომ გაანათოს. ეს უფლის სიტყვებია.

როგორც წმინდა მამები ამბობენ, ადამიანს ორი რამ სჭირდება სულიწმინდის მადლის მოსაპოვებლად: ლოცვა და საქმე. მხოლოდ ერთი მათგანით ისევე შეუძლებელია სულიერი ამაღლება, როგორც ცალი ნიჩბით მეორე ნაპირზე გასვლა ან ცალი ფრთით ზეცაში აჭრა. ქრისტიანობა, პირველ რიგში, ცხოვრების წესია, რომელიც მარტო ლოცვას კი არა, უფლის მცნებებისათვის ბრძოლასაც გულისხმობს. მართალია, ღმერთს არ სჭირდება ჩვენი დაცვა, მაგრამ მის მოცემულ მცნებებს სჭირდება დაცვა, და თითოეული სწორედ იმის მიხედვით განვმართლდებით ღვთის წინაშე, ვიცავდით თუ არა მათ.

ღმერთი სიყვარულისა და მოწყალების ზღვაა, მაგრამ მხოლოდ მათთვის, ვინც ითხოვს მისგან ამ მოწყალებას – ანუ მონანულთათვის, ვინც მოიძაგებენ ცოდვას და ებრძვიან მას საკუთარ თავში. მაგრამ მათთვის, ვისაც უყვარს ცოდვა და ქადაგებს კიდეც მას, უფალი მსაჯულია – მკაცრი მსაჯული. და ამისი ნათელი მაგალითი თავად ბიბლიაა. თუ მხოლოდ სიყვარულია, მაშინ რით ახსნით წარღვნას, სოდომ-გომორის აღსასრულს, იერუსალიმის დაცემას და ათასობით ებრაელის საშინელ აღსასრულს ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ?!

ქრისტე ჯვარს სიყვარულისათვის ეცვა – თავისი ქმნილების სიყვარულისათვის. და ეს სიმდაბლისა და სიყვარულის გამოვლინების ყველაზე აღმატებული მაგალითია კაცობრიობის არსებობის ისტორიაში. მან მაგდალინელს შეუნდო და ქვით ჩაქოლვას გადაარჩინა, ხოლო მათ, ვინც მის ჩაქოლვას მოითხოვდნენ, უთხრა, საკუთარ თავში ეძიათ დირე, სხვის თვალში ბეწვის ძიების ნაცვლად. მაგრამ ეს იმიტომ, რომ საოცარი იყო სინანული მაგდალინელისა. მარიამი არ ამაყობდა იმ ცოდვით, რომლითაც ცხოვრობდა, არამედ ცრემლებით დაულტო ფეხები ქრისტეს და საკუთარი თმებით შეუმშრალა შემდეგ მას. უფალს უყვარს ქმნილება, მაგრამ სძულს ცოდვა. ამიტომაც ქრისტიანული სიყვარული სწორედ ამას გულისხმობს: გიყვარდეს მოყვასი შენი, როგორც თავი შენი, მაგრამ უწოდე ცოდვას ცოდვა, შეიძულე იგი და ებრძოლე და განეშორე მას. ამხილე საკუთარი თავიცა და სხვაც, თუკი გიყვარს და არ გინდა, დაიღუპოს. მაგრამ, თუკი სხვასაც ითრევს ამ გარყვნილების ჭაობში, მაშინ შენ, როგორც ქრისტიანს, მით უფრო არ გაქვს გაჩუმების უფლება – მაშინ შენც მცოდველთა მსგავსად მოგეთხოვება.

ამიტომაც გააწნა სილა წმინდა ნიკოლოზმა არიოზს, რომელიც, უამრავი შეგონების მიუხედავად, მაინც აგრძელებდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის გმობას და უამრავ სულს ითრევდა თან ამ დამღუპველი სწავლების გავრცელებით. ადამიანური სამართალი მაშინაც იგივე იყო, რაც დღეს: ეგ რა ქრისტიანობაა, და ეპისკოპოსის ხარისხი აჰყარეს წმინდანს. მაგრამ იმავე ღამეს ყველამ იხილა, თავად ღვთისმშობელმა და მაცხოვარმა როგორ აღადგინეს ამ ხარისხში წმინდა ნიკოლოზი. რადგანაც როდესაც სიწმინდეს გმობენ და შენ ხმას არ იღებ, თავადაც ამ გმობის თანამონაწილე ხდები. ცოდვასთან შეურიგებელი ბრძოლის ამგვარი მაგალითებით სავსეა ქრისტიანობის ისტორია.

ქართულ ეკლესიასა და ბერ-მონაზვნებს არასოდეს ჰქონიათ იმის **"ფუფუნება"**, საკუთარი სამშობლოსაგან განდგომით მოეპოვებინათ საკუთარ სულში ჩაღრმავებისა და ლოცვის უფლება: როცა ქვეყანას სჭირდებოდა, ერთი მუჭა ერის შვილებად გრძნობდა ყველა თავს – ერიცა და ბერიც. ამიტომაც იყო ბერთა რაზმები ქართველთა ლაშქარში გადამწყვეტი ბრძოლების დროს. ამიტომაც, ლოცვა კი არ იკმარა არამედ უფალს შეწევნა სთხოვა და მცდარი გზით წარუძღვა მტერს მდვდელი თევდორე.... ამიტომაც დაუცხრომლად იღვწოდნენა ქართული ენის უფლების აღდგენისათვის სწორედ სასულიერო პირები: გაბრიელ ქიქოძე, ამბროსი ხელაია, კალისტრატე ცინცაძე... ამიტომაც გადავიდნენ საკუთარი ხელისუფლების მიერ განწირული და მიტოვებული მეომრების ცხედრების გადმოსასვენებლად 2008 წლის აგვისტოში პატრიარქის ხელმძღვანელობით ქართველი მღვდლები და ბერები... რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ, რომელი მაგალითი გავიხსენოთ...

არქიმანდრიტი რაფაელ კარელინი თავის ერთ-ერთ სტატიაში წერდა, რომ თანამედროვე ადამიანებმა სხვადასხვა სიტყვებით ისწავლეს ცოდვის შენიღბვა და დამალვა. სწორედ ასე ეწოდა **"აბორტი"** უმწეო ჩვილის მკვლელობას, ჰომოფობია მხოლოდ ერთსქესიანთა ურთიერთობის მიუღებლობას, ხოლო თავად ამ **"გადახრას"** – ავადმყოფობა. როგორც სტატისტიკიდან ირკვევა, ბუნებითად ასეთები დღევანდელ გეებს შორის მხოლოდ 1,5-3%-ია, დანარჩენთა არსებობა კი გარყვნილი ცხოვრების წესის, მორალური და ფიზიკური ძალადობის შედეგია.

უფალმა თავისი მიმდევრები გააფრთხილა, რომ ბრძოლა გარდაუვალია, რადგანაც, ვისაც უყვარს ღმერთი, იგი სძულს წუთისოფელს. მაგრამ ისიც უთხრა, რომ ამ ბრძოლის დროს უნდა ყოფილიყვნენ უმანკონი, ვითარცა მტრედნი, და ბრძენნი, ვითარცა გველნი. სწორედ ეს სულიერი სიბრძნე გვაქვს დღეს მოსაპოვებელი ქართველებს, რადგანაც სხვაგვარად შეუძლებელია ბოროტებასთან ბრძოლა. და თუ მთელი ქართული საზოგადოებისათვის მართლაც უმძიმეს დღეს, 17 მაისს, რამე გვაკლდა, ეს წმინდა მამათა ნაწერებში ასე ხშირად ნახსენები გული გონიერი იყო – ღვთის სიბრძნით განბრძნობილი გულის მოზომილი ქმედება. როდესაც იმხელა სიყვარულის სახელით მოქმედებ, რასაც ქრისტე ქვია, უზარმაზარი პასუხისმგებლობაც გეკისრება. ქართველებს ისეთი მხურვალე გული გვაქვს, ნოდარ დუმბაძის თქმისა არ იყოს, კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები რომ არ აგრილებდეს, ქვეყნიერებას გადასწვავდა. მაგრამ ამ გულს თუ გონიერებაც არ მივუსადაგეთ, სიყვარული – ვნებად იქცევა, ხოლო ხალხი – ბრბოდ. ქრისტეს სახელით მოქმედებას ღვთის შიშით აღსავსე სიფრთხილე სჭირდება. და ეს სულიერება, სიბრძნე და სიფრთხილეა საჭირო დღეს, რომ ცოდვის ნიაღვრის შეჩერება შევძლოთ, რომ ბოროტებას ისე დავუპირისპირდეთ, როგორც საჭიროა.

მ. ბურჯანაძე

"კოჰაბიტაციას" – "ჯუჯალარის" ჰანგებზე!

ბოლო პერიოდში სიტყვა **"კოჰაბიტაციამ"** სულ უფრო მეტი ჟღერადობა შეიძინა და დღე ისე არ გავა, საქართველოში ჩამოსულმა ოკეანისგაღმელი და გამოღმელი დელეგაციის წევრებმა არ შეგვახსენონ და არ მოჰყვნენ იმის მტკიცებას, თუ როგორ შესტკივათ გული ჩვენზე. მიუხედავად ასეთი **"გულშემატკივართა"** რჩევისა კოჰაბიტაციაზე წასვლა ძველ ხელისუფლებასთან, რომელმაც ამდენი წლების მანძილზე იმდენი უბედურება დაგვატეხა თავს, რომ ამის პატიება და მიტევება, მიუხედავად ჩვენი მართლმადიდებლობისა, ძალიან ძნელია, – თითქმის **"ტანტალეს ტანჯვის"** ტოლფასია. რა ვქნათ ჩვენ, რამოდენიმე წელიწადი **"ლაგამამოდებულებმა"** არ უნდა გამოვხატოთ ჩვენი აზრი? კარგია და შესაფერი, რომ აგვიხდა ოცნება და მივადწიეთ ხელისუფლების შეცვლას, მაგრამ, როგორც იტყვიან: **"წუმპე თუ არ დააშრე, ჭაობად გადაიქცევა"**, რაც ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ყოფილმა ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს ყველა იმ ბოროტმოქმედებაზე, რაც თავისი საკუთარი ხალხის წინაშე ჩაიდინა. თუ ხალხის მიერ არჩეული ახალი ხელისუფლება, ხალხისავე მიერ უარყოფილ ხელისუფლებასთან რაიმე გარიგებაში შევა, ეს კატასტროფის პროლოგი იქნება. მართალია, არც თუ ისე **"ახალგაზრდა ამერიკა"** და **"ბებერი ევროპა"** გამუდმებით გვთავაზობენ შერიგებას, მაგრამ ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ მათმა პროექტმა საქართველოში სრული ფიასკო განიცადა და არ უნდათ პროექტის ჩავარდნის საკითხი ფართო სპექტრის განხილვის საგანი გახდეს. ისე კი მათ ბევრი ისეთი **"ფასეულობები"** გააჩნიათ, როგორიცაა გეიაღლუმები, ერთსქესიანთა ქორწინება, ინცესტი და სხვა. ასეთი დემოკრატია და კავშირები მათ ღმერთმა შეარგოს, ჩვენ კი ნამდვილად არ გვჭირდება. გვიკიჟინებენ და ცხოვრების წესებს გვთავაზობენ ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც **"საწოვარაზე"** გაიზარდნენ და თავიანთი წარმოშობა არც კი იციან.

იბადება კითხვა – რატომ უნდა ვიცეკვოთ სხვის დაკრულზე?

რატომ მაინც და მაინც **ნატო**, რომლის კარები ჩვენთვის მუდამ **"ღიაა"**, მაგრამ რატომღაც ვერ გავეტიეთ ამ კარებში?

რატომ არ ვუსვამთ ხაზს რუსეთის ფაქტორს?

კი ბატონო, რუსი – ოკუპანტია, შოვინისტია, მაგრამ ყველაფერი ეს ხომ არ ახალია?

მაგრამ ერთი ცხოვრებისეული საკითხია – შენს გვერდით მცხოვრებ მეზობელთან, რომელიც, ამავდროულად, შენი ერთმორწმუნეც არის, მრავალწლიანი ურთიერთობა გაკავშირებდა, ან კარგ ურთიერთობაში უნდა იყო, ან უნდა გაეცალო. მაგრამ ჩვენ გასაცლელი, გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, არ გვაქვს. არც რუსეთი აპირებს გაცლას. ასეთ პირობებში ხომ არ სჯობია გამოვნახოთ საერთო ენა, რომელიც გინებასთან, წყევლა-კრულვასთან ასოცირებული არ იქნება, როგორც ეს ყოფილ ხელისუფლებას ახასიათებდა. ხოლო, რა ხეირიც მივიღეთ ამგვარი დამოკიდებულებისაგან, ყველამ კარგად ვიცით.

განვლილი ცხრა წლის განმავლობაში ელიტური კორუფცია ავადსახსენებელი **"ნაცების"** პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა! პოლიტიკურმა რეალიებმა, რომელსაც ერთი ჭკუანაკლული ადამიანი აკონტროლებდა, ფინანსური ოლიგარქია შექმნა, რომელმაც ბატონობა დააწესა ქვეყნის ეკონომიკაზე. ხდებოდა ბიზნესმენების დაჭერა, ვინც მის ჩაქოლვას მოითხოვდნენ, უთხრა, საკუთარ თავში ეძიათ დირე, სხვის თვალში ბეწვის ძიების ნაცვლად. მაგრამ ეს იმიტომ, რომ საოცარი იყო სინანული მაგდალინელისა. მარიამი არ ამაყობდა იმ ცოდვით, რომლითაც ცხოვრობდა, არამედ ცრემლებით დაულტო ფეხები ქრისტეს და საკუთარი თმებით შეუმშრალა შემდეგ მას. უფალს უყვარს ქმნილება, მაგრამ სძულს ცოდვა. ამიტომაც ქრისტიანული სიყვარული სწორედ ამას გულისხმობს: გიყვარდეს მოყვასი შენი, როგორც თავი შენი, მაგრამ უწოდე ცოდვას ცოდვა, შეიძულე იგი და ებრძოლე და განეშორე მას. ამხილე საკუთარი თავიცა და სხვაც, თუკი გიყვარს და არ გინდა, დაიღუპოს. მაგრამ, თუკი სხვასაც ითრევს ამ გარყვნილების ჭაობში, მაშინ შენ, როგორც ქრისტიანს, მით უფრო არ გაქვს გაჩუმების უფლება – მაშინ შენც მცოდველთა მსგავსად მოგეთხოვება.

ამიტომაც გააწნა სილა წმინდა ნიკოლოზმა არიოზს, რომელიც, უამრავი შეგონების მიუხედავად, მაინც აგრძელებდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის გმობას და უამრავ სულს ითრევდა თან ამ დამღუპველი სწავლების გავრცელებით. ადამიანური სამართალი მაშინაც იგივე იყო, რაც დღეს: ეგ რა ქრისტიანობაა, და ეპისკოპოსის ხარისხი აჰყარეს წმინდანს. მაგრამ იმავე ღამეს ყველამ იხილა, თავად ღვთისმშობელმა და მაცხოვარმა როგორ აღადგინეს ამ ხარისხში წმინდა ნიკოლოზი. რადგანაც როდესაც სიწმინდეს გმობენ და შენ ხმას არ იღებ, თავადაც ამ გმობის თანამონაწილე ხდები. ცოდვასთან შეურიგებელი ბრძოლის ამგვარი მაგალითებით სავსეა ქრისტიანობის ისტორია.

ქართულ ეკლესიასა და ბერ-მონაზვნებს არასოდეს ჰქონიათ იმის **"ფუფუნება"**, საკუთარი სამშობლოსაგან განდგომით მოეპოვებინათ საკუთარ სულში ჩაღრმავებისა და ლოცვის უფლება: როცა ქვეყანას სჭირდებოდა, ერთი მუჭა ერის შვილებად გრძნობდა ყველა თავს – ერიცა და ბერიც. ამიტომაც იყო ბერთა რაზმები ქართველთა ლაშქარში გადამწყვეტი ბრძოლების დროს. ამიტომაც, ლოცვა კი არ იკმარა არამედ უფალს შეწევნა სთხოვა და მცდარი გზით წარუძღვა მტერს მღვდელი თევდორე.... ამიტომაც დაუცხრომლად იღვწოდნენა ქართული ენის უფლების აღდგენისათვის სწორედ სასულიერო პირები: გაბრიელ ქიქოძე, ამბროსი ხელაია, კალისტრატე ცინცაძე... ამიტომაც გადავიდნენ საკუთარი ხელისუფლების მიერ განწირული და მიტოვებული მეომრების ცხედრების გადმოსასვენებლად 2008 წლის აგვისტოში პატრიარქის ხელმძღვანელობით ქართველი მღვდლები და ბერები... რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ, რომელი მაგალითი გავიხსენოთ...

არქიმანდრიტი რაფაელ კარელინი თავის ერთ-ერთ სტატიაში წერდა, რომ თანამედროვე ადამიანებმა სხვადასხვა სიტყვებით ისწავლეს ცოდვის შენიღბვა და დამალვა. სწორედ ასე ეწოდა **"აბორტი"** უმწეო ჩვილის მკვლელობას, ჰომოფობია მხოლოდ ერთსქესიანთა ურთიერთობის მიუღებლობას, ხოლო თავად ამ **"გადახრას"** – ავადმყოფობა. როგორც სტატისტიკიდან ირკვევა, ბუნებითად ასეთები დღევანდელ გეებს შორის მხოლოდ 1,5-3%-ია, დანარჩენთა არსებობა კი გარყვნილი ცხოვრების წესის, მორალური და ფიზიკური ძალადობის შედეგია.

უფალმა თავისი მიმდევრები გააფრთხილა, რომ ბრძოლა გარდაუვალია, რადგანაც, ვისაც უყვარს ღმერთი, იგი სძულს წუთისოფელს. მაგრამ ისიც უთხრა, რომ ამ ბრძოლის დროს უნდა ყოფილიყვნენ უმანკონი, ვითარცა მტრედნი, და ბრძენნი, ვითარცა გველნი. სწორედ ეს სულიერი სიბრძნე გვაქვს დღეს მოსაპოვებელი ქართველებს, რადგანაც სხვაგვარად შეუძლებელია ბოროტებასთან ბრძოლა. და თუ მთელი ქართული საზოგადოებისათვის მართლაც უმძიმეს დღეს, 17 მაისს, რამე გვაკლდა, ეს წმინდა მამათა ნაწერებში ასე ხშირად ნახსენები გული გონიერი იყო – ღვთის სიბრძნით განბრძნობილი გულის მოზომილი ქმედება. როდესაც იმხელა სიყვარულის სახელით მოქმედებ, რასაც ქრისტე ქვია, უზარმაზარი პასუხისმგებლობაც გეკისრება. ქართველებს ისეთი მხურვალე გული გვაქვს, ნოდარ დუმბაძის თქმისა არ იყოს, კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები რომ არ აგრილებდეს, ქვეყნიერებას გადასწვავდა. მაგრამ ამ გულს თუ გონიერებაც არ მივუსადაგეთ, სიყვარული – ვნებად იქცევა, ხოლო ხალხი – ბრბოდ. ქრისტეს სახელით მოქმედებას ღვთის შიშით აღსავსე სიფრთხილე სჭირდება. და ეს სულიერება, სიბრძნე და სიფრთხილეა საჭირო დღეს, რომ ცოდვის ნიაღვრის შეჩერება შევძლოთ, რომ ბოროტებას ისე დავუპირისპირდეთ, როგორც საჭიროა.

ბოლო პერიოდში **"კოჰაბიტაციამ"** ჯუჯალარის ჰანგებზე ეკლესიის ოფიციალურ ინსტიტუტებმა ოფიციალური რწმენებულება მიენიჭა, ოთხ-ოთხი, სატელეფონო მოსმენები და უკანონო ჩაწერები თუ გადაღებები ლამის ცხოვრების ნორმად იქცა, სასტიკად ირბეოდა მშვიდობიანი დემონსტრაციები, რაც, როგორც წესი, ადამიანების დასახიჩრებითა და მსხვერპლით მთავრდებოდა, ნაცმოძრაობა მახრჩობელა გველივით დაეხვა სრულიად საქართველოს და თანდათან ხდიდა მას სულს. მათ კონტროლქვეშ აღმოჩნდნენ სასამართლოები, სასწავლო დაწესებულებები, მედიასაშუალებები, ყველა მსხვილი ბიზნესი. იმის დიდი სურვილიც ჰქონდა, რომ ეკლესიაც დაემონებინათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ!..

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ბოროტმოქმედებებისა, რაც შეურაცხადმა სააკაშვილმა და მისმა მახინჯმა ნაციონალმა თანამოაზრეებმა დაატეხეს თავს საქართველოს. დაუსჯელობის სინდრომით გათავხედებულმა სააკაშვილმა ჩოხასავით მოირგო ტანზე ქვეყნის კონსტიტუცია. ამრიგად, პირწავარდნილ ნაციონალ დამნაშავეთა არც თუ მცირერიცხოვანი აჩაღება ხელისუფლების მიერ, რომელიც ვითომ კორუფციას და კანონიერ ქურდებს ებრძოდა, სინამდვილეში კი თავად ჩაეგანაცვლა ქურდებს. ნაციონალებმა რეალური ბრძოლა მხოლოდ საკუთარ ხალხს გამოუცხადეს და არა დანაშაულს, რადგან ყველა სიბოროტის შემოქმედები და მთავარი ბოროტმოქმედები თავად იყვნენ.

ქვეყანაში განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინეს **"ნაცების"** მიერ ადამიანის უფლებებზე და საზოგადოების თავისუფლებაზე განხორციელებულმა დაუნდობელმა შეტევებმა. დიდი ფული იხარჯებოდა ზონდერთა სადამსჯელო ჯგუფების შენახვაზე, შეიქმნა **"დამსმენების ინსტიტუტი"**, რასაც ოფიციალური რწმენებულება მიენიჭა, ოთხ-ოთხი, სატელეფონო მოსმენები და უკანონო ჩაწერები თუ გადაღებები ლამის ცხოვრების ნორმად იქცა, სასტიკად ირბეოდა მშვიდობიანი დემონსტრაციები, რაც, როგორც წესი, ადამიანების დასახიჩრებითა და მსხვერპლით მთავრდებოდა, ნაცმოძრაობა მახრჩობელა გველივით დაეხვა სრულიად საქართველოს და თანდათან ხდიდა მას სულს. მათ კონტროლქვეშ აღმოჩნდნენ სასამართლოები, სასწავლო დაწესებულებები, მედიასაშუალებები, ყველა მსხვილი ბიზნესი. იმის დიდი სურვილიც ჰქონდა, რომ ეკლესიაც დაემონებინათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ!..

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ბოროტმოქმედებებისა, რაც შეურაცხადმა სააკაშვილმა და მისმა მახინჯმა ნაციონალმა თანამოაზრეებმა დაატეხეს თავს საქართველოს. დაუსჯელობის სინდრომით გათავხედებულმა სააკაშვილმა ჩოხასავით მოირგო ტანზე ქვეყნის კონსტიტუცია. ამრიგად, პირწავარდნილ ნაციონალ დამნაშავეთა არც თუ მცირერიცხოვანი ჯგუფი კანონზე მაღლა დადგა, მაგრამ რაც უფრო მაღლიდან ვარდება ადამიანი, მით უფრო მტკივნეულია მიწაზე დაბერტყება მისთვის.

სწორედ ასე დაებერტყნენ მიწაზე ნაცები 2012 წლის 1 ოქტომბერს, როცა ქართველმა ხალხმა მოიცილა სააკაშვილი და მისი მახინჯი თანაგუნდელები, და ამ დაცემის ექმა, როგორც ჩანს, ამერიკამდეც ჩააღწია, რადგან სწორედ ამერიკელები ცდილობენ დღეს თავიდან ააცილონ ნაციონალებს სისხლის სამართლის პასუხისგება.

უკვე აღარავინ აღიქვამს სერიოზულად სააკაშვილს და მის დაყირავებულ გუნდს, მაგრამ ესენი იმდენად გამორჩეული ნაძირალები და უტიფრები არიან, რომ დამარცხებას არ იმჩნევენ და კვლავაც ძველი აპლომბით ესაუბრებიან საქართველოს მოსახლეობას. ჭკუასაც კი გვარიგებენ, ნაცვლად იმისა, რომ ბოდიში მოიხადონ და მოუსავლეთში გადაბარგდნენ.

ინგლისური ანდაზა ღაღადებს: **"ერთი ჯიშის ფრინველები ერთად იკრიბებიან"**-ო. სწორედ ასე მოხდა ნაცმოძრაობის ნარჩენებში.

"კუდი ძაღლისა არ გაწორდების, არცა კირჩხიბი მართლად ვლის", – ამბობს ქართული სიბრძნე. ჩვენ კი ამერიკელები გვაიძულებენ, რომ **"კოჰაბიტაია"** ცნობილი **"ჯუჯალარის"** ჰანგზე ვუმღეროთ ამ არაადამიანებს!

ქართველი ამას არ იზამს, არა!

სახადი დროულად უნდა მოვიცილოთ თავიდან, რათა სახელმწიფოს სხეული ავადმყოფობისაგან არ დაზიანდეს!

როზმირ გოგენია,
ზუგდიდი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ: (“РИА Новости”, ᲤᲠᲐᲒᲛᲔᲜᲢᲘ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲘᲓᲐᲜ “ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲖᲐ ᲔᲕᲠᲐᲖᲘᲣᲚ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲛᲘᲓᲘᲡ”, 2011 ᲬᲚᲘᲡ 14 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ)

ვარშავის ხელშეკრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი დისბალანსი დღემდე **“აზანზარებს”** არა მარტო ევროპას, არამედ სსრკ-ის ექს-ქვეყნებსაც: ეს არის ეკონომიკური კატაკლიზმები, რომლებიც ევროკავშირის დოტაციაზე შემსხდარი სახელმწიფოების – ეკონომიკური აუტსაიდერების გამო ხდება; და სამოქალაქო დაპირისპირების კრიტიკული ტემპერატურა არშემდგარ სახელმწიფოებში (failed state), რაც ხშირად შეიარაღებულ კონფლიქტებს იწვევს, ისინი კი ამ სახელმწიფოებს უფრო მცირე ტერიტორიებად აქუცმაცებენ. ამავე დროს, აშშ-ისა და ნატოში მისი ზოგიერთი პარტნიორისათვის კატეგორიულად მიუღებელია მსოფლიოში ნებისმიერი ახალი გაერთიანება – ისინი მათ საკუთარი ინტერესების, მათ შორის – ენერგეტიკული ინტერესების წინააღმდეგ გაერთიანებად აღიქვამენ.

ამაში გარკვეული ლოგიკა არის, რამეთუ ევრაზიის კავშირის მსგავს გაერთიანებებს მსოფლიოში სიტუაციის დაბალანსება და მე-20 საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფის (სსრკ-ის დაშლის) შემდეგ წარმოქმნილი დასავლური გადახრის აღმოფხვრა ძალუძთ. დააკვირდით – როგორც კი პოლკოვნიკი კადაფი აღმოსავლეთისა და აფრიკის მუსლიმანური ქვეყნების ახალ არაბულ ხალიფატში გაერთიანებას შეუდგა, მსოფლიო ტერორიზმთან ბრძოლაში ლიბიის გუშინდელმა მოკავშირეებმა აშშ-ის მეთაურობით ის თვითონ გამოაცხადეს ტერორისტად და ისევე გაუსწორდნენ, როგორც მანამდე – სადამ ჰუსეინს, უსამა ბენ ლადენს და ჰოსნი მუბარაქს. ამიტომ ახალი ევრაზიული გაერთიანება – ახალი **“ყელში გაჩხერილი ძვალია”** მისტერ ჯონებისთვის, რომელთა რუპორი, მარაზმში ჩავარდნილი სენატორი არიზონას შტატიდან მაკეინი, შემთხვევით როდი დაემუქრა პუტინს კადაფის ბედის გაზიარებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მოცემულ მომენტში პოსტსაბჭოთა სივრცის მედიის ამოცანა უნდა იყოს საზოგადოებისათვის ახალი ევროპული კავშირის პერსპექტივების, ერთიან ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინტეგრაციის სარგებლიანობის განმარტება, რუსეთის მიმართ მიკერძოებისა და ფობიების აღმოფხვრა. სწორედ ამაზე უნდა იფიქრონ მასმედიის ხელმძღვანელებმა, როდესაც ასტანაში **„ФЕАМ-2011“**-ზე შეიკრიბებიან, რადგან ზოგიერთი ქვეყნის ხელისუფალთა მიერ შექმნილი ინფორმაციული ვაკუუმი ანდა, უარეს შემთხვევაში, დეზინფორმაციული პროპაგანდა ხელს უწყობს სსრკ-ის ექს-რესპუბლიკების მოსახლეობაში პუტინის პროექტზე მცდარი წარმოდგენის შექმნას ან, სულაც, მის სრულ უმეცრებას ამ საკითხში!

კონკრეტულ მაგალითს მოვიხმობ: ინტერვიუში გაზეთ **„ასავალ-დასავალს“** (2011 წლის 4 ივლისი) და საინფორმაციო ანალიტიკურ სააგენტო **„საქინფორმს“** (2011 წლის 19 ივლისი) ამ სტრიქონების ავტორმა – საქართველოში პირველმა და, ჯერჯერობით, ერთადერთმა – განაცხადა, რომ:

– **„საქართველოს ბოლო ისტორიული შანსია, გამოიყენოს ახლო მომავალში პუტინის პრეზიდენტობა – ერთადერთი ადამიანის, ვისაც ქართველი ხალხის, მისი ისტორიის, რელიგიისა და კულტურის გადარჩენა შეუძლია“;**

– „საქართველოს გაერთიანება რუსეთთან ერთ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში ევროკავშირის მაგალითით (ახალ შენგენის ზონაში, შიდა ვიზებისა და სასაზღვრო კონტროლის გარეშე, ერთიანი ვალუტითა და საბაჟო წესებით) გამოიწვევს საქართველოს გაერთიანებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ფორმულით **„საქართველო+რუსეთი = საქართველო+აფხაზეთი+სამხრეთ ოსეთი“.**

მაშინ მე კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას და საბაჟო კავშირს ვგულისხმობდი, მაგრამ ვერაფრით ვივარაუდებდი, რომ სამი თვის შემდეგ, კერძოდ – 2011 წლის 3 ოქტომბერს, რუსეთის ფედერაციის მთავრობის მეთაური ვლადიმერ პუტინი გაზეთ **„იზვესტიასთვის“** დაწერდა სტატიას **„ახალი ინტეგრაციული პროექტი ევრაზიისათვის – მომავალი, რომელიც დღეს იბადება“, სადაც ახალი ევრაზიული კავშირის პირველი ეტაპი – რუსეთის, ბელარუსისა და ყაზახეთის ერთიანი ეკონომიკური სივრცე („ЕЭП“) წარადგინა. თავის სტატიაში პუტინი აღნიშნავს, რომ მისი რეალიზაციისას გამოყენებული იქნება „შენგენის შეთანხმებების გამოცდილება... „ЕЭП“ დაეფუძნება საკვანძო ინსტიტუციურ სფეროებში შეთანხმებულ მოქმედებას... ერთიან სავიზო და მიგრაციულ პოლიტიკას, რაც შიდა საზღვრებზე სასაზღვრო კონტროლის მოხსნის საშუალებას მოგვცემს“.**

ამრიგად, პუტინმა შემოგვთავაზა ერთიანი ეკონომიკური სივრცის კონკრეტული მოდელი, რომლის წევრობა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნის აყვავების საწინდარია – მათთვის **„ЕЭП“**-ის წევრობა ძნელად მისაღწევი ევროკავშირის წევრობის ჯანსაღი ალტერნატივაა და სულაც არ არის გაერთიანება ევროკავშირის და აშშ-ის წინააღმდეგ. ერთიანი ეკონომიკური სივრცის პროექტი, როგორც ცნობილია, 2012 წლის 1 იანვარს იწყება, მაგრამ საქართველოს შეუძლია ცოტა მოგვიანებით შეუერთდეს მას – როდესაც მოლაპარაკებათა მაგიდის ერთ მხარეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი პუტინი დაჯდება, მეორე მხარეს კი – ხალხის მიერ პატიოსნად არჩეული საქართველოს პრეზიდენტი. ხოლო როცა საქართველო ახალ ევრაზიულ კავშირში შევა, მას **„ЕЭП“**-ის ფარგლებში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან გაერთიანების შანსი აქვს, რაზეც, ასევე, მოგახსენებდით ზემოთ ხსენებულ ინტერვიუებში.

ნუთუ რთული ფორმულაა?! განა საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა, რომელშიც პუტინს მაღალი რეიტინგი აქვს, არ ოცნებობს რუსეთთან ძველი მეგობრობის აღდგენაზე, უვიზო რეჟიმზე, როცა თავისუფლად იქნება შესაძლებელი რუსეთში ნათესავებსა და მეგობრებთან ჩასვლა? (სხვათაშორის, იმ ფაქტს, რომ პუტინი – უძლიერესი პოლიტიკოსია, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც აღიარებენ, ოღონდ მხოლოდ ძალზე ვიწრო წრეში და ბახუსის ზემოქმედების ქვეშ...). განა ქართველი მეწარმეები არ ოცნებობენ ხელსაყრელ ბიზნესზე – რუსეთის ბაზარზე დაბრუნებაზე? განა ქართველ ხალხს არ ენატრება ერთმორწმუნე რუსი ხალხი? მათზე ახლობელი ხომ არც გვყოლია ვინმე და არც გვეყოლება ოდესმე! ერთიანი რუსულ-ქართული სტრატეგიული, კულტურული, საინფორმაციო, ისტორიული და პოლიტიკური სივრცის აღდგენა – აი, ერთადერთი გზა საქართველოსთვის, რის შემდეგაც ჩვენს ქვეყანაში სტაბილურობით მოზიდული არა მხოლოდ რუსული, არამედ ევროპული და ამერიკული ინვესტიციებიც მოზღვავდება!

ჩემი ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ საქინფორმის რედაქციაში ცნობილმა მეცნიერებმა და სკოლის პედაგოგებმა, სტუდენტებმა და მშრომელებმა, საქართველოს სოფლების, რეგიონების მცხოვრებთ და თბილისელებმა, შემოქმედებითი ინტელიგენციის ცნობილმა წარმომადგენლებმა, დევნილებმა, პენსიონერებმა და დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა დარეკეს და მოგვწერეს. ისინი გულწრფელ მოწონებას გამოხატავდნენ, თუმცა მკითხველთა (ჩათვალეთ – ქართველი საზოგადოების) გარკვეულმა კატეგორიამ გადაწყვიტა, რომ მე მხარს ვუჭერ საქართველოს შესვლას რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებით. რა გასაკვირია, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხომ პარლამენტარებთან და მთავრობის უზრუნველყოფაზე მყოფ ექსპერტ-პოლიტოლოგებთან ერთად ყოველდღე, ყველა ქართული პროსახელისუფლებო არხის მეშვეობით ჩაგვაგონებს, რომ პუტინს სინამდვილეში სსრკ-ის აღორძინება სურს!..

ამიტომაც დღეს საქართველოს ფრიად მცირერიცხოვანი დამოუკიდებელი მასობრივი საინფორმაციო საშუალებების უპირველესი ამოცანაა – აუხსნას ამ ზომბირებულ და ამის გამო – აგრესიულ მოქალაქეებს (პოტენციურ ამომრჩევლებს), რომ:

1) გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ რუსეთის იმპერიამ ნაწილ-ნაწილ შეაკოწიწა დაცალკევებული ქართული სამთავროები საქართველოდ წოდებულ სახელმწიფოდ და ორი საუკუნის განმავლობაში მას, ისევე როგორც მის უფლებამონაცვლე რსფსრ-ს, საქართველოში არა მხოლოდ ინტერესები, არამედ მოვალეობებიც ჰქონდა;

2) საქართველოს შესვლა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში დღეს ისევე არარეალურია, როგორც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შესვლა საქართველოს შემადგენლობაში უწინდებური პირობებით;

3) იმგვარი **“ციური მანანა”,** როცა საბჭოთა საქართველო გაცილებით მეტს იღებდა ცენტრისაგან, ვიდრე აწვდიდა, მოსალოდნელი აღარ არის, მაგრამ თუკი საქმეს ხელს მოვკიდებთ – ავირჩევთ ეროვნულად ორიენტირებულ ღირსეულ ხელისუფლებას, ისევე მუხლჩაუხრელად ვიმუშავებთ დაზგასთან, მინდვრად და ლაბორატორიაში, როგორც ევროკავშირის ქვეყნებში მუშაობენ – მაშინ საქართველო შესაძლოა, მოხვდეს მისთვის გაცილებით უფრო ხელსაყრელ – ევრაზიულ კავშირში, ნაცვლად ევროპულისა, რომელშიც მაინც არავინ მიგვიღებს...

ᲐᲠᲜᲝ ᲮᲘᲓᲘᲠᲑᲔᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გაზეთ “ᲝᲚᲝᲠᲘᲡ” კომენტარი:

ახლახან ქართულ ინტერნეტსივრცეში გავრცელდა ცნობილი ამერიკელი ჩინოვნიკისა და პოლიტიკოსის ჯეიმს აპატურაის ინტერვიუ, სადაც იგი ამბობს, რომ თუ საქართველო, ზერბაიჯანი და სომხეთი განვითარების სხვა გზას აირჩევენ, ჩვენ ამას გაგებით მოვეკიდებითო. ამ საკმაოდ ეშმაკურ სტრიქონებს შორის კი შემდეგი აზრის ამოკითხვა შეიძლება: “დიდად არ გვაწუხებს თქვენი ბედი და სწრაფვა ნატო-საკენ, სადაც თქვენ არასდროს არავინ არ მიგიღებთ, ამიტომ, სჯობია ბედს შეურიგდეთ, რამეში მოვალედ არ ჩაგვთვალოთ და თქვენს გზას ეწიოთო”.

მოკლედ, ნაციონალების მიერ ატეხილი ბუმი საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების თაობაზე იმ ქართულ თქმას დაემსგავსა, ბიჭმა ვირი რომ ვერ წაიყვანა და ზედ შემჯდარმა ჯოხზე ჩამოკიდებული თივა დაუკიდა ცხვირწინ. იმ ვირივით ვდიეთ ნაციონალების მიერ შემოჩეჩებულ ლამაზ სატყუარას, ცხრა წლის განმავლობაში, და ახლაღა ვრწმუნდებით, რომ ავადსახსენებელი ნაცები უზნეოდ გვატყუებდნენ, სპეციალურად წაეკიდნენ რუსებს და საქართველო გაგვინახევრეს!

რაც დრო გადის, ყველა რწმუნდება, რომ ნატო-საკენ სწრაფვა ჩვენ საჯიშე ბიჭების ავდანეთში დაღუპვაზე მეტი სხვა არაფერი სიკეთე მოგვიტანა. ისიც ფაქტია, რომ არსად იმართება მანიფესტაციები ნატო-ში შესვლის მოთხოვნით. პირიქით კი – რამდენიც გნებავთ.

მაგალითად, ამას წინათ, სასტუმრო **„ქორთიარდ მარიოტთან“**, სადაც ნატოს კვირეულის დახურვა მიმდინარეობდა, **„ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის“** წევრებმა ავღანეთიდან ქართული შენაერთების დაუყოვნებლივ გამოყვანის მოთხოვნით საპროტესტო აქცია გამართეს. ახალგაზრდებმა სხვადასხვა პლაკატებთან ერთად ნატოს კარის ფოტო წარმოადგინეს, რომელიც მავთულხლართით არის საქართველოსთვის დახურული.

აი, რა განაცხადეს აქციის მონაწილეებმა:

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ („ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის“ წევრი): **„ჩვენ ვითხოვთ ავღანეთიდან ქართული დანაყოფების გამოყვანას. გვაინტერესებს მივიღოთ პასუხი შეკითხვაზე, თუ რას ეწირებიან ის ქართველი ბიჭები, რომლებიც ავღანეთში დაიღუპნენ?! როგორც იცით, სხვა ქვეყნებთან შედარებით, პროცენტულად ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღო საქართველომ, მაშინ, როცა არც მაპი გვაქვს და არც ნატოში ინტეგრაციის რეალური შანსი. ეს ყველაფერი არის ფარსი, რომელსაც ქართულ საზოგადოებას თავს ახვევენ. ქართველი ბიჭები ავღანეთში საზარბაზნე ხორცად აქციეს. მიგვაჩნია, რომ ისეთ ოპერაციებში მონაწილეობა, რომლებიც არანაირი შედეგის მომტანი არ არის, დაუშვებელია.“**

ᲑᲘᲝᲠᲑᲘ ᲛᲯᲘᲕᲐᲜᲘ („ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის“ წევრი): **„ჩვენ გვაქვს რამდენიმე მოთხოვნა. პირველი – მოვითხოვთ ავღანეთიდან ქართული ჯარის ნაწილების გამოყვანას. რეალურად დღეს ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში უცხო ქვეყნის ოკუპაციას აწარმოებენ, რაც მიუღებელია. მეორე – ვითხოვთ მეტ კონკრეტიკას ნატოსგან. იმ საერთაშორისო განცხადებებში, რომლებსაც ნატოს წარმომადგენლები აკეთებენ, არ ჩანს, კონკრეტულად როდის დადგება მაპ-ის საკითხი, რეალურად შეძლებს თუ არა ნატო აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოგვარებას – ეს საკითხები ბუნდოვანი და გაუგებარია. ამიტომაც მომავალ კვირას ვგეგმავთ მრგვალი მაგიდის მოწყობას, სადაც მოწვეული იქნებიან ნატოს წარმომადგენლები და იმედი გვაქვს, ჩვენს შეკითხვებს უპასუხებენ.“**

ამბობენ, ოცნებას კაცი არ მოუკლავსო, ნატო-ზე ნაციონალთა უაზრო ოცნებამ კი უამრავი ქართველი ახალგაზრდის სიცოცლე შეიწირა.

დროა, ბოლო მოეღოს ამ უმსგავსოებას!

მეგრული ენის, სხვა ქართველური ენების, სხვადასხვა ენის ასაკისა და გენეტიკური კავშირურთიერთობის შესახებ

იქნებ, ურთიერთგაგებინების დონის ასეთი ვითარებაც იყოს ერთ-ერთი გარკვეული მიზეზი იმისა, რომ მეგრელებს არასოდეს შეპარვიათ ეჭვი თავიანთ ქართველობაში, ხოლო საკუთრივ ქართველთაგან, არც ისე მცირედნი მიიჩნევენ მეგრელებს არაქართველებად და უჭირთ კიდეც ერთიან ქართულ სივრცეში მათი წარმოდგენა, რასაც არც კი მალავენ, და, სამწუხაროდ, არც ისე იშვიათად ვერ ჭგუობენ და ებრძვიან კიდეც მათ.

აქ, უპრიანია, მოვიტანოთ ზვიად გამსახურდიას განმარტება იმის შესახებ, თუ რა განსხვავებაა ცნებებს **ქართული** და **ქართველური** შორის. აი, ისიც:

„ქართული აღნიშნავს უშუალოდ საქართველოს, ყოველივე ისტორიულ საქართველოსთან დაკავშირებულს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ჩვენი ისტორიიდან და რომელიც სწორედ ამ გეოგრაფიულ არეალში მდებარეობს. ქართველური გაცილებით უფრო ფართო და ყოვლისმომცველი ცნებაა. ქართველურნი არიან ტომები, რომლებიც „ქართები“ არ არიან, და, არც უშუალოდ ქართველები, მაგრამ ისინი ქართველური წარმოშობისანი არიან (ხაზგასმა ჩვენია. — მ. ძ., ც. ძ.). ეს შეიძლება შევადაროთ სემიტებისა და ებრაელების ურთიერთკავშირს. ქართველური არის რასსიული გაგება, უფრო ყოვლისმომცველი, ვიდრე ეროვნული. არის ქართველი ეროვნება და არის ქართველური რასსა, იგივე იაფეტური. აი, სწორედ ის პალეოკავკასიური მოდგმა, იაფეტური მოდგმა, შეიძლება ითქვას, არის უფრო რასსა. როგორც არსებობს სემიტური რასსა, ისე არსებობს იაფეტური რასსაც. ეს იაფეტური რასსა არის ქართველური რასსა. ქართველური ენები მომდინარეობენ სწორედ ამ იაფეტური ენიდან, რომელსაც ჩვენ პროტოქართულს ენას ვუწოდებთ“... (ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ., 1990, გვ. 290).

ამრიგად, ზ. გამსახურდია ცალსახად აცხადებს (და ეს, საერთოდაც, ადრიდანვე მიღებული და აღიარებული მოსაზრებაა), რომ ქართველური ტომები რასსიულად, ანუ გენეტიკურად ერთიანი წარმომავლობისანი არიან, მაგრამ ისინი საკუთრივ ქართველები არ არიან, ცხადია, ამ სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობის მიხედვით. რა იგულისხმება ამაში?

საქმე ის არის, რომ სიტყვა **ქართველი** მომდინარეობს სიტყვისგან: **ქართლი.** ამ უკანასკნელიდანაა სიტყვა **ქართლელი.** ეს სიტყვები კი, არც ქართულ და არც უცხოურ ისტორიოგრაფიაში 523 წლამდე, ანუ სპარსელების მეშვეობით იბერიელთა პოლიტიკური ბატონობისაგან,— იგივე იბერიისაგან, — ქართლის გამოყოფისა და ცალკე სამეფოდ გადაქცევის, — მეტიც, კოლხეთზეც მისი პოლიტიკურად გაბატონების, — დრომდე არსად დაფიქსირებული არ არის (იხ. **კ. ფიფია, „უნდა ითქვას სიმართლე“,** გაზ., **„ილორი“,** 152, 10-17 იანვარი, 2012).

აქ გასაკვირი არაფერია. ერთიანი გენეტიკური წარმომავლობის ქართველური ტომების პირველქმნილ რასსიულ სახელწოდებას ჩვენამდე არ მოუღწევია და არც შეიძლებოდა მოეღწია. სახელწოდება **საქართველო,** — როგორც ქართველურ ტომთა ერთიანი (გაერთიანებული) ქვეყნისა და სახელმწიფოს სახელწოდება, — ცხადია, არსებობს **ქართლელთა** (შემდგომში **ქართველთა**, ანუ **საკუთრივ ქართველთა**, როგორც მას საენათმეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიებენ) პოლიტიკური აღზევების დროიდან. აქ, ცხადია, ჩვენ არ ვიზრახავთ ამ საკითხის განხილვა-წარმოჩენას სათანადო საბუთმტკიცებულებებით. ჩვენ მხოლოდ ფაქტის აღნიშვნას მივმართავთ, საკითხთან დაკავშირებით, და, შემდეგი რეალობის ნათლად წარმოსაჩენად:

ქართულ თუ უცხოურ ლიტერატურასა და ცოცხალ მეტყველებაში, ჩვეულებრივ, ხმარებადია სიტყვები, იგივე, — ცნებები: **ქართული, ქართველური, საქართველო** და **ქართველი.** მაგრამ, **ყველა ესენი, რა თქმა უნდა, ერთობ გვიან შემოღებული პირობითი სიტყვებია და მომდინარეობენ ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვა ქართლიდან** (უფრო ზუსტად, ძველიბერიული სიტყვა **ქართა**-დან, რაც, იბერიულადვე, იგივე კოლხურადვე, წრიულად გარსშემოვლებულს, გარსშემორტყმულს, წრეს, წრეწირს თუ ალყას აღნიშნავს (შდრ. მეგრ.: **ქართი** თბილისი, **ნა-ქართ)** ნაალყარი).

ცნობილია, რომ თბილისის მეგრული (კოლხური) სახელწოდება, ძველი დროიდან დღემდე, არის **ქართი**. უდავო ჭეშმარიტებად ჩანს, რომ აქედანაა სიტყვები: **ქართუ** და **ქართუელი.** სულაც არ არის გამორიცხული ისიც, რომ ფორმა **ქართუ** ყოფილიყო ძველიბერიული სახელწოდება იმ ხალხისა, რომელიც ესახლა მაშინ იმ ტერიტორიაზე. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ მეგრულისათვის ძველად სახელობითი ბრუნვის ნიშნად დამახასიათებელი იყო **უ** ბგერაც. ეს, თავის დროზე, შენიშნული აქვს **ი. ყიფშიძეს**. იგი წერს, რომ საბედნიეროდ, მეგრულმა შემოინახა ამგვარი რამდენიმე მაგალითი: **ღორონთუმე** ღმერთმანი, **მარდუ-მე** მადლიზა და **შურუ-მე** სულს ვფიცავარ. თუმცა, მეგრულში დღემდე გვაქვს სხვა ასეთი სიტყვებიც: **ტყაჩუ** ტყის მცველი, **ჭარუ(ჭარუუ)** მწერალი, **ცურუ** უგუნური, გონებრივად უმწიფარი, და სხვა.

ყველა შემთხვევაში, უდავოა, რომ სიტყვისგან **ქართი** მიღებულია სიტყვა **ქართუელი,** აქედან კი, **უ**-ს დავიწროებით, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა, — სიტყვა **ქართველი.** და ბოლოს, ცხადია, აქედან არის მიღებული სიტყვა **საქართველო.**

მაშასადამე, **ქართველი** და **საქართველო**, ქართლში მცხოვრები იაფეტური წარმომავლობის ერთ-ერთი ტომთაგანის მიერ ახლადშეძენილი სახელისგან მომდინარე სახელწოდებებია, რაც საბოლოო ანგარიშით, ქართველურ ტომთა ხლხების ეროვნული გაერთიანების (ერის) და სახელმწიფოს სახელებად დაგვიმკვიდრდა.

ამ საფუძველზე დაერქვა, ძველთაგანვე, თანამედროვე ქართველური ენების ფუძემდებელ წინა ენას, **წინარექართული ენა,** იგივე: **პრექართული ენა,** ანუ **პროტოქართული ენა,** რაც, რასაკვირველია, პირობითი სახელწოდებებია, იმდენად, რამდენადაც პირობითია თვით სიტყვა **ქართული**.

ამიტომაც, აღნიშნულის გათვალისწინებით, ალბათ უფრო მართებული იქნებოდა, ენათმეცნიერებაში, და საერთოდაც, გამოყენებული ყოფილიყო ანუ დამკვიდრებულიყო ქართველურ ენათა წინარე ენის ბიბლიური სახელწოდება **იაფეტური ენა**, რითაც აღდგენილი იქნებოდა ისტორიული სამართლიანობაც, და, გამოირიცხებოდა ის უხერხულობაც და გაუმართლებელი ცალმხრიობაც, რასაც აქამდე აქვს ადგილი ჩვენს სინამდვილეში.

გრძნობდნენ რა ამგვარის საჭიროებას, თავის დროზე, ჭეშმარიტი მეცნიერები ფიქრობდნენ კიდეც ამის შესახებ. ასე, მაგალითად, აკადემიკოსი **აკაკი შანიძე** ერთ დროს აყენებდა საკითხს, რომ ნაცვლად ცნებებისა: **ქართველი** და **საქართველო,** შემოღებული ყოფილიყო სხვა ისეთი ცნებები, რომლებიც ერთდროულად გამოხატავდნენ **ქართულ, მეგრულ-ლაზურ** და **სვანურ** ცნებათა ერთობლიობას. იგი შეეცადა კიდეც ასეთი სახელწოდების გამონახვას, მაგრამ, ჩანს, არ გამოუვიდა. დღესაც არიან ცალკეული მეცნიერ-მკვლევარები, რომელთა მოსაზრებით მიზანშეწონილია, ნაცვლად სახელწოდებისა: **საქართველო, ქართველი** და **ქართველები**, შემოღებულ იქნას სახელწოდებები: **იბერია, იბერიელი** და **იბერიელები**. ამის გაკეთება, ცხადია, მრავალ გარემოებასთან, წინააღმდეგობასა და უხერხულობასთანაც არის დაკავშირებული და ამიტომაც ალბათ განუხორციელებელია. იგი, ჩვენის აზრით, არც არის აუცილებელი, მაგრამ აუცილებელია, რომ, იმათ, ვისაც ეს ეხებათ, ამიერიდან უარი თქვან, ყველაფერში ერთდერთი **ქართლის** პრიორიტეტულობის მტკიცებულებაზე, და ყოველგვარი სხვა ქართველურის, განსაკუთრებით კოლხურის, განუკითხავად მიჩქმალვა-უარყოფა-იგნორირებაზე.

ამ ერთგვარი ჩანართის შემდეგ, საჭიროა განვაგრძოთ დაწყებული მსჯელობა ამჯერად ჩვენთვის საინტერესო საკითხზე.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ურთიერთგაგებინების დონე მეგრულ-ქართულში, პირველადი ენობრივი ნიშნების ანუ ხმაბაძვითი ფორმების მიხედვით შეადგენს მხოლოდ 5,6 პროცენტს, ხოლო მეორეული (გვიანდელი) არახმაბაძვითი ფორმების მიხედვით 70,1 პროცენტს.

ასეთ პირობებში, თქმა იმისა, რომ იმთავიდან არსებობდა საერთოქართული ენა, ანდა საერთოქართველური ენა, — ამ სიტყვების შესაბამისი ტერმინოლოგიური მნიშვნელობით, — აბსურდია. მით უმეტეს აბსურდია „მტკიცება“ იმისა, რომ ქართველური ენები: — მეგრული, ლაზური (ჭანური) და სვანური, — ქართული ენის დიალექტებია ანუ კილოებია. ასევე აბსურდია მტკიცება იმისა, რომ რაიმე საფრთხე შეიძლება ემუქრებოდეს უშორეულესი წარმომავლობის ქართულ-ქართველური ეთნოსის ხალხების ესოდენ მრავალსაუკუნოვან ერთობას, იმის გამო, რომ არსებობენ ქართველური ენები; აბსურდია მტკიცება იმისა, რომ ცალკეული ქართველური ენების არსებობა ხელისშემშლელი იყოს საერთოქართული ცნობიერებისათვის, ქართველთა ერთიანობისათვის.

რაკი ამ საკითხს შევეხეთ, აქვე, საჭიროა აღინიშნოს შემდეგი ფაქტის შესახებაც:

ამ უკანასკნელად, მეგრული, ლაზური და სვანური ენების დისკრედიტაციის ცდით გატაცებულმა ცალკეულმა „სპეციალისტებმა“ (იგივე, ქართველური ენების არარსებობის შესახებ ახალი „თეორიის“ ავტორებმა) თავიანთ წერით და ზეპირმეტყველებაში საერთო ქართული ენის, იგივე, **ქართული ენის** აღსანიშნავად შემოიღეს ცნება **ქართველური ენა,** და, აქედან კი, — **წინარექართველური ენა.** ეს, ცხადია, დამახინჯებაა ამ ენების სახელწოდებისა, მათი როგორც შინაარსობრივი, ასევე გრამატიკული თვალსაზრისით. ასეთის მიღება-გაზიარება იმას ნიშნავს, რომ თურმე უნდა ვამბობდეთ, მაგალითად: **გერმანელური ენა, ჩინელური ენა** და მისთ. ცხადია, არსებობენ ქართული ენა და ქართველური ენები: მაგრული, ლაზური (ჭანური), სვანური და საკუთრივ ქართული, მაგრამ, საერთო ქართული ენის, მოკლედ, იგივე ქართული ენის ქართველურ ენად სახელდება, რასაკვირველია, არასწორია.

ამჯერად, სიცხადეა შესატანი შემდეგ საკითხშიც:

ის ფაქტი, რომ მეგრულ-ქართულში ურთიერთგაგებინების დონე ერთობ დაბალია პირველქმნილი ხმაბაძვითი ფორმების მიხედვით, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ეჭვი შევიტანოთ ქართულ-ქართველური ენებისა და მათი მატარებელი ხალხების ერთიან გენეტიკურ (ნათესაობრივ) წარმომავლობაში. რომ არა მათი ერთიანი გენეტიკური წარმომავლობა, ვერც შემდგომში, ქართულ-ქართველური ეთნოსის ტომების თუ ხალხების საბოლოოდ ერთმანეთთან დაახლოებისა და ერთიან ტერიტორიაზე განსახლების პირობებშიც, შექმნიდნენ ეს ხალხები ანალოგიურ (იგივურ) ფორმებს ენაში. ასე რომ არა, სხვა რასსის (მოდგმის) ერთიან ტერიტორიაზე ან ურთიერთ მეზობლობაში მყოფი ხალხებიც შექმნიდნენ ერთგვაროვან ენობრივ ნიშნებს (სიტყვებს).

ამდენად, ენათა მონათესავეობის მაჩვენებელი ისეთი უტყუარი მონაცემები, როგორიცაა ბგერათშესატყვისობა და ურთიერთგაგებინება (მისი დონე), სულაც მხედველობაში რომც არ მივიღოთ, ზემოაღნიშნული მონაცემები სავსებით მეტყველებენ ქართულ-ქართველური ენებისა და მათი მატარებელი ხალხების ერთიან გენეტიკურ წარმომავლობაზე.

მაშასადამე, **ის ფაქტი, რომ მეგრულ-ქართულში ურთიერთგაგებინების დონე ხმაბაძვითი ფორმების მიხედვით მხოლოდ 5,7 პროცენტს (საგნის როგორადობის კონკრეტული ნიშანთვისების წარმომდგენი ზედსართავისახელისეული წარმომავლობის ხმაბაძვითი ფორმების მიხედვით კი, კიდევ უფრო ნაკლებს, — მხოლოდ 2,5 პროცენტს) შეადგენს, ხოლო არახმაბაძვითი ფორმების მიხედვით 70,1 პროცენტს აღწევს, ქართულის ლექსიკასთან შედარებით მეგრულის ლექსიკის სიმდიდრის ესოდენი განსხვავებულობის გათვალისწინებით, სავსებით ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ ერთიანი წარმომავლობის პირველქმნილი წინარექართული, პროტოქართული, პრექართული თუ იაფეტური ენის (სულ ერთია, მას რასაც ვუწოდებთ) დაშლა ცალკეულ ენობრივ ერთეულებად მომხდარია ჯერ კიდევ უშორეულეს წარსულში, კერძოდ, ჯერაც მხოლოდ ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმებით მეტყველების თავდაპირველ ანუ საწყის პერიოდში. შემდგომშიც, უდავოდ, ცალ-ცალკეეა მომხდარი ამ ენების განვითარება, მრავალი ათასწლეულის განმავლობაში.**

ამასთან, **უდავო ფაქტად ჩანს ისიც, რომ ქართველურ ტომებს უკანასკნელი მრავალი საუკუნის მანძილზე ერთად, ერთიან სივრცესა თუ ერთიან სახელმწიფოებრივ არეალში უცხოვრიათ და განუვითარებიათ თავთავიანთი ენები; მასთანავე, ეროვნული კონსოლიდაციის საფუძველზე შეუქმნიათ და განუვითარებიათ ერთიანი ენა,— საერთოქართული ენის სახით. ცხადია, მას საფუძვლად დასდებია, როგორც ეს საერთო-საკაცობრიო მოვლენაც არის, იმ დროისათვის პოლიტიკურად აღზევებული მოძმე ტომობრივი წარმომავლობის ხალხის, — საკუთრივ ქართველების (ქართლელების) ენა, ანუ ერთ-ერთი ქართველური ენა, ქართლური ენა, იგივე, „საკუთრივ ქართული ენა“, როგორც მას ენათმეცნიერებაში უწოდებენ.**

აღნიშნული გარემოება სავსებით კანონზომიერი მოვლენაა, ვინაიდან, — ისევე, როგორც არ შეიძლება, რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოში ერთდროულად მეფობდნენ რამდენიმე ძმა ან და-ძმა, შეუძლებელია ერთ სახელმწიფოში ყველა ტომობრივი ენა სახელმწიფო ენა იყოს. მაგრამ, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ტომობრივი ენები საერთოდ არ უნდა იყვნენ, არ უნდა არსებობდნენ, ისევე, — როგორც და-ძმათაგან ერთ-ერთის გამეფება არ ნიშნავს სხვა დანარჩენების საერთოდ არყოფნას, მითუმეტეს, — მათს ძალადობრივ დახოცვას.

ამჯერად დაისმის კითხვა: რა იყო ის უძლეველი ძალა, რამაც, საბოლოოდ, უზრუნველყო ქართულ-ქართველური ეთნოსის, რასის (მოდგმის) ხალხების ერთიან ეროვნულ ორგანიზმად — ერად ჩამოყალიბება? პასუხი ერთადერთია:

ერთიანი გენეტიკური წარმომავლობა ანუ გენი იყო ის დიადი და უძლეველი ძალა, რომელმაც უზრუნველყო ქართულ-ქართველური ეთნოსის ხალხების — ისტორიული ქარტეხილებისაგან გადარჩენილი მათი ნაწილების — ერთიან სივრცეში თავმოყრა, ერთიან ერად გაერთიანება და საერთო ძალით უზრუნველყოფა თვითგადარჩენისა და შემდგომი განვითარებისა. რომ არა ეს ფაქტორი და გარემოება, ქართველი ერი, ქართველი ხალხი დიდი ხნით ადრე წარიხორცებოდა მიწის პირისაგან.

რასაკვირველია, **ქართველური ენები, საერთო ქართულ ენასთან ერთად, ქართველი ერის უდიდესი განძია და მათ მუდამ თვალის ჩინივით მოვლა და დაცვა სჭირდება.**

როგორც ცნობილია, ქართულ, ასევე უცხოურ ენათმეცნიერებაში დამკვიდრებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართველური ენები წარმოშობილია მათი წინამავალი იაფეტური, იგივე პროტოქართული ენიდან. ეს მოსაზრება, უთუოდ სწორია. იგი სავსებით დასტურდება ჩვენი ნაშრომებით, და, ზემოთ წარმოდგენილი მცირედი მონაცემებითაც.

მამანტი ძაძამია,
პროფესორი, აკადემიკოსი,
ცირა ძაძამია
პროფესორი, აკადემიკოსი

ვინ არის მესხი და ვინ არის სომეხი

–არმენები არიან კავკასიაში გვიან მოსული ინდოევრო-თათრული მოდგმის ხალხი, რომლებმაც ადგილობრივი გეორგიანული მოსახლეობის ასიმილიცია მოახდინა. ამიტომ, არმენულ ენაში შემორჩენილია გეორგიანული ენების ელემენტებიც. **"არმინა"** თავიდან გეოგრაფიული ცნება იყო, რომელიც მდებარეობდა შუამდინარეთის ზემოწელში და დასახლებული იყო გეორგიანული მოდგმის შუმერი-ზანგიგებით, ანუკასიტი-ქალდეველებით.

"არმინა" მოგვიანებით აქ შემოჭრილ ერთერთ ასურო-თათრულ ტომს ეწოდა. თავად ასურებიც იყვნენ გეორგიანელთა და ინდოევრო-თათართა ჰიბრიდი. ხოლო ასურელთა ერთი შტო განეკუთვნებოდა თათრულ (თურანულ) მოდგმას, რომელთა წინაპრებიც ადრე აღმოსავლეთ ევრაზიის სტეპებში მომთაბარეობდნენ. მოგვიანებით მათ დაიპყრეს დღევანდელი პაკისტანის და ინდოეთის ტერიტორიები და მოახდინეს ადგილობრივი ხალხების (ჰარაპელების) ასიმილაცია (ამ დროს ჩაისახა ინდოევროპული ენები), რის შემდეგაც ისინი ინდოეთის ზღვის სანაპიროებით მოვიდნენ სპარსეთში, შუამდინარეთში, არაბეთის ნახევარკუნძულზე და ეთიოპიამდეც კი ჩააღწიეს (ამ დროს წარმოიშვა სემიტური ენები). მათ შუამდინარეთში შექმნეს ასურეთის იმპერია, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ურარტუს გეორგიანული სამეფოს მოსპობაში.

დღევანდელი არმენები კი ძირითადად თურქ-სელჯუკური წარმოშობის შახარმენიდების შთამომავლები არიან და გენეტიკურადაც ყველაზე ახლოს თურქ-თურქმენებთან დგანან. მომთაბარე თათრული ტომების ეთნონიმები ნაწარმოებია **"ას"**, იგივე **"აზ"**-ძირიდან, მაგალითად: **"ყაზ(ახ)"** იგივე **"ხაზ(არ)"**, **"თუნღ'აზ"** იგივე **"ტონღ'უზ"**, **"აორს"**, **"ოსი"** – ოსები თავის თავს ეძახიან **"იას"(яс)**, **"აის-ორ"-"ას-ირ"**, **"აის"** (რუსო-თათრების თვითსახელი), **"ჰას"**, **"ყირგიზ"** იგივე **"აზიკ"(ასიკ)** – აქედანაა სომხების თვითსახელი **"ჰაიასა"-"ჰაიკ"** (ჰასიკ) – სომხურად სიტყვა **"აზგ"** ნიშნავს მოდგმას. **"ჰაისაკ"-"ჰასიკ"** ეწოდებოდათ ასევე მომთაბარე **"ხაზარებსაც"**. **თურანულ (თათრულ) ენებში არსებობს რბილი "თ" თანხმოვანი, რომელიც გავს "ს" თანხმოვანს, ყველა ამ მოდგმის ხალხების თვითსახელი თითქმის იდენტურია და გამოითქმის როგორც "თას"="თათ(ს)"="თათ"=თათარი.**

დიახ **"ჰაიკები"** (სომხები) თათრული ტომია!

– რაც შეეხება ეთნონიმ **"სომეხს"**, თუ ის მართლა უკავშირდება **"მესხს"**, მაშინ ის იქნებოდა **"სო"**(ას) და **"მესხის"** გაერთიანება. ამდენად **"სომეხი"** შესაძლოა ნიშნავდეს **"ასურ-მესხს"-"აისორ-მესხს"**, ესე იგი **"ას(ოს)-მესხს"** – ისევე როგორც ეხლანდელი ტერმინი **"თურქი-მესხები"**. არსებობს სხვა ვერსიაც: გ. მელიქიშვილმა გამოთქვა თვალსაზრისი, რომ სახელი **„სომეხი" წარმომდგარია ქვეყნის სახელისაგან, სუხმა"**, რომელიც თ. ქემერტელიძის სიტყვით მდებარეობდა მურად-სუსდინების ჩრდილოეთით დასავლეთ არმენიაში. სუხმა-სოხმა-სოხმი-სომხი და აქედან სომხითი, სომხითარი, სომეხი. ისტორიულად კი სუხმასხურიტულ ქვეყანაში ხურიტიმატიენებიც ხოვრობდნენ. ანუ სომეხი ნიშნავს **"სუხმელს"** – სუხმაში ჩასახლებულს, ისევე როგორც არმენიელი – არმენიაში ჩამოსახლებულს.

სიტყვა **"მესხის"** ეტიმოლოგია კი მესხურსავე ტოპონიმებში უნდა ვეძებოთ. იოსებ ფლავიუსი მიიჩნევდა, რომ იბერები და მესხები ანატოლიური წარმომავლობისანი იყვნენ; ბიბლიური **"მოსოქის"** შესახებ თავის კომენტარში, იგი შენიშნავდა: **"მოსოხენები დაფუძნებული არიან მოსოხის მიერ, ახლახან მათ კაპადოკიელები ეწოდათ, ხოლო ძველი მათი სახელწოდების ნიშანიც ემჩნევათ; რამეთუ მათ აქვთ დღესაც ქალაქი მაზაკა, რომელიც ნათელყოფს იმათთვის, ვისაც შეუძლია გაიგოს, რომ ოდესღაც ასე ეწოდებოდა მთელ ტომს"**. **"მაზაკას"** პირვანდელი ფორმა იქნებოდა **"მაზახა"-"მაძახა"**: **"მა"** თავსართია, ხოლო დაბოლოვება **"ხი"** სადაურობა-თვისობრივობის აღმნიშვნელია, ამდენად ძირი გამოდის **"ძ"**. **"ძ"-ფუძეს უკავშირდება მესხების დასახლებათა სახელწოდებები: "კატარძენე"-"კოტარძენე"**, **"კალარძენე"**, **"ხორძენე"-"ხოლარძენე"**, **"ხანძთა"-"ხანძოეთი"**, **"ანძიანძორა"**, **"ხალდოძორი"**, **"მიჯნაძორი"**, **"ბურდაძორი"**, **"განძანი"**, **"ტანძია"**, **"არძენა"**, **"ძეგვი"**, **"ძამი"**, **"ვარძია"**, **"თეძმისი"**, **"ასპინძა"**, **"არმოძიკა"** – ესაა არმაზის ერთერთი სახელწოდება, რაც გვაფიქრებინებს, **რომ მისი თავდაპირველი** სახელი იქნებოდა **"არ-მაძახა"**. ამდენად **"მცხეთის"** თავდაპირველი ფორმა იქნებოდა **"მძხეთა"-"მაძახთა"**. **"მესხეთი–ჯავახეთს"** ასურულად ერქვა **"ზაბახა"**, რაც იქნებოდა **"ძავახა"**, **რადგან "ძავახი"** იკითხება საქართველოში ნაპოვნ ძველ წარწერებში.

"სამცხეს", ანუ **"სამესხეს"**, ამასთანავე ერქვა **"ოძრხე" -"ო"** იგივე არაც **"სა" – სარაღაცე"**, **"ხე"** ბოლოსართია, – აქაც მივიღეთ **"ძ"**. მაშ როგორ გავიგოთ ასურული **"მუშ"-"მუსკ"**? თუ ეს იეროგლიფები საერთოდ სწორადაა ამოკითხული აქ **"ა"** ხმოვნის მაგივრად არის **"უ"**, **"შ"**(ს) შესაძლოა გავაიგივოთ **"ძ"** ხმოვანთან, **"ქ"** კიარის **"ხ"** – ამ შემთხვევაში აქაც მივიღებთ **"მაძხ"**. საყურადღებოა, რომ **"ძ"** და **"ჯ"** ხშირად მონაცვლეობს ზანურ-ქართულში. მესხებს ბერძნები ეძახდნენ აგრეთვე **"ჰალიძონებს"**: **"ჰალისი"-"ღალიში"** მდინარე კიზილ-ირმაკს ერქვა, **"ონ"** კი ბოლოსართია – ფუძედ გვრჩება **"ძ"**. მესხები მოიხსენიებიან აგრეთვე, **როგორც "ალაძონები" – ქართულად "ამორძალები"**, **შესაძლოა** მისი **შემოკლებული ფორმაა "ლაძონები"**, ანუ **"ლაზები"** (ლა'ზანები).

ჰეკატეოს მილეტელის ცნობით, მოსხები – კოლხური ტომია, მატიენების მეზობლად მოსახლე. **მეგასთენეს** ცნობითაც **კოლხები** და **მოსხები ერთიდაიგივე ხალხია. სტრაბონი კაბადოკიის მკვიდრებად ასახელებს "ძანებს"** (ზანებს), **რომლებიც მოიხსენიებიან ამასთანავე როგორც "ვიძერუხებუ"** და **"ბიძარები": "ბი" თავსართია, "არ" ბოლოსართი –აქაც ფუძედ გვრჩება "ძ". მესხებს (ესე იგი მ(ნ)ხ(კ)ებს) შესაძლოა უკავშირდებოდეს აგრეთვე ეთნონიმები: "ძიდრიტები"**, **"ძიგები"**, **"ძილქები"**, **"აბაძახები"** და **"ძოკები"**, **ამ "ძოკების" ერთი ნაწილი მითრიდატე პონტოელმა ქალაქ "მაძაკადან" არმენიაში გადაასახლა. პლინიუს უფროსი "მაზაკებს" მოიხსენიებს ჩრდილო კავკასიაში. "მაზახები" მოხსენიებულნი** არიან ასევე **დღევანდელი** დაღესტნის **მთიანეთშიც. დაღესტნელები ქართველ მთიელებს ეძახიან "მოსოქებს-მუსექებს", ქართულ წყაროებში კი მათ ადგილას მოხსენიებულნი** არიან **"ძურძუკები"-"დურძუკები", რომლებიც** დღევანდელ **ჩეჩნეთ-ინგუშეთში ხაზარებს შეერივნენ** და **თვისი** გეორგიანელობა **დაივიწყეს, ხოლო** დაღესტანში **მათ "ხუნძები" ერქვათ, რომლებიც** ავარების **თათრულმა ტომმა** დაიპყრო **და ქართველობა** დაავიწყა. **გარდა** ამისა **მესხები** გვხვდებიან **დასავლეთ საქართველოშიც: აფხაზეთში** მოსხებს **ასახელებენ ჰელანი კემიტილენელი, პალეფა ტეაბიდოსელი** და **მითრიდატე** სომების **ისტორიკოსები. სწორედ ისინი** უნდა **იყვნენ შემდგომ-დროინდელი "ძიხები"(ზიხები) იგივე ჯიქები. ეს ყოველივე** მიგვანიშნებს **რომ** მესხის **თავდაპირველი** ფორმა **იყო "მაძახი". "ძ"-ფუძის** მნიშვნელობა **კი** მისი **თავსართით** და **ბოლოსართით** უნდა **გამოვიცნოთ: თავსართი "მა"** მეგრულად **ნიშნავს "მერაღაცეს"** (მეძროხე, მეზვრე, მეხანძრე **და** ა.შ.) **და** რაიმეს **"მ-ქნელს"**, **დაბოლოვება "ხი"** არის **პროფესია-სადაურობა-წარმომავლობის** აღმნიშვნელი, **ამდენად "მესხი"** გამოდის **"მეძრე"**, **მაგრამ** რა **ხელობა** უნდა **ყოფილიყო "ძ"? ჩემის** აზრით **ეს** შესაძლოა **ქვისმთლელს** და **კლდეებში** საცხოვრებელი **გამოქვაბულების** მკეთებელს ნიშნავდეს. **სიტყვა "ძალაყინი"** ნიშნავს **კლდის** სამტვრევ **სატოხს, სოლს. სამეგრელოში ერთგვარ** საჭრეთელ **ინსტრუმენტს** ქვია **"ძემლარი"**, **ხოლო** სიტყვა **"ძგვატუა"** ნიშნავს **წვეტიანი** რკინის **ინსტრუმენტით ჩორკვნას, ძიძგნას. მესხური ქალაქების უმრავლესობა** კლდეში **იყო** ნაკვეთი, **ციხე-კოშკებსაც** კლდეში **ღრმად ჩაჭრილ** საძირკველზე **აგებდნენ. სომხები** ძველად **არარატის** მთას **ეძახდნენ "მასის"** მთას, **ანუ** მესხის **მთას. შესაძლოა** ცნობილი **სიტყვა "მასონი"**, **ანუ** ქვისმთლელი, **სწორედ "მასოხი"-"მაძახი"-**დან **მომდინარეობდეს. პირველი "მასონი" იყო "თუბალ-კაენი" –მესხები** იგივე **"თუბალ-კაენური"-"თუბალ-ჟანური"** მოდგმაა. მესხები სხვა გეორგიანელების მსგავსად გაიგივებულნი არიან ჭანებთან და შესაძლოა რაღაც ეტაპზე სწორედ ჭანი იყო გეორგიანული მოდგმის საერთო სახელი.

"ჭარუა" მეგრულად წერას **ნიშნავს** და **სავარაუდოდ ჭანებად ამასთანავე** მოიხსენიებოდნენ **ის ხალხი**, ვინც **წერა-კითხვა** იცოდა. **"წ"-"ჭ"** ვარიაციებით **საერთო "ძ"-**ძირიდან **განვითარებული** სიტყვებია: **"ჭარუა"**, ქვაზე **"ჭრეთვა"**, **"წერა"**, **"წერაქვი"**, **"წვერვა"** და **"ძგვატუა"** ქვაზე **ამკაწვრის** მნიშვნელობით. **დიდი ალბათობით** თავდაპირველად **წერა** სწორედ ქვაზე **ნიშნების "ამოკაწვრას" ნიშნავდა. ამდენად "ჭანი"-"ძანი"** ერთდროულად ნიშნავდა მწერალსაც და ქვისმთლელსაც.

საბედნიეროდ მესხები ჯერ **არ** გადაშენებულან **და** თავისთავს, **როგორც** ყოველთვის, ისევ **ძირძველ ქართველებად** მიიჩნევენ **და** არა **სომხებად**, **როგორც** ამას ზოგი **სომეხი** და **არმენოფილი** მეცნიერი ამტკიცებს; **არმენოფილია** არც **შუა** საუკუნეების **ქართული** ისტორიოგრაფიისთვის **არ** ყოფილა **უცხო**, **რის** შესახებაც გვამცნობს **გიორგი** მთაწმინდელი: **"ღვარძლი** და **გაუკუღმართებული** და **მზაკვრული ბოროტი** თესლი **იყო** سომეხთა **მიერ ჩვენს** მიწაზე **დათესილი** და **ჩვენ ამისაგან ძალზე ვიტანჯებოდით, რამეთუ ჩვენი ხალხი** იყო **გულწრფელი** და **გულუბრყვილო, ხოლო** ისინი **ვითომ** წესრიგის **საბაბით ჩვენს** روგორმე **ცთუნებას ცდილობდნენ, და** ცოტაოდენი **წიგნები ჩვენთან** მათ **მიერ** იყო **გადათარგმნილი"**.

ასეთი არმენოფილი ან არმენიფალსიფიკატორი უნდა ყოფილიყო ლეონტი მროველი. აი რამოდენიმე მაგალითი მისი ტყულიებისა: მროველი წერს რომ ბერძნებმა ფარნავაზისთვის ვერ მოიცალეს რადგან რომაელებს ებრძოდნენო: ჯერ ეს ერთიც რომსა და საბერძნეთს შორის ომი არასოდეს მომხდარა – რომს და მაკედონიას შორის კი მოხდა 202 ძ.წ. ფარნავაზი კი, როგორც მიჩნეულია, დაახლოებით 400 ძ.წ. მოღვაწეობდა, ხოლო მაკედონელს საერთოდ არც ულაშქრია საქართველოში,

სამაგიეროდ მან ილაშქრა არმენიაში. მროველი ასევე წერს: ფარნავაზი ასურეთის მეფეს ემსახურებოდაო, არა და იმ დროს ასურეთის სამეფო აღარ არსებობდა. თუ მროველი ასურეთს აიგივებს ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავარის სელევკის მიერ შექმნილ ანტიოქიის სამეფოსთან, აქაც უნდა ითქვას, რომ არც ერთი ანტიკური წყარო არ ადასტურებს, რომ იბერია ანტიოქიას ემორჩილებოდა, სამაგიეროდ ანტიოქიის შემადგენლობაში იყო არმენია და სწორედ ანტიოქიის დაშლის შემდეგ წარმოიქმნა არმენიის სამეფო, რომელიც მანამდე ბუნებაში არ არსებობდა. მროველი ქართლის მეფეებს აცხადებს არშაკუნიანებად(!) – არშაკუნიანები I-VI საუკუნეებში მეფობდნენ სომხეთში და იყვნენ სომხები. გარდა ამისა არცერთი ძველი წყარო არ მოიხსენიებს ჩრდილოკავკასიაში IV ძ.წ. არც ოსებს (ალანებს) და არც დურძუკებს (ძურძუკებს) – ესენი შუა საუკუნეების ტერმინებია – ალანები კი პირველად I საუკუნეში არიან მოხსენებულნი ჩინეთის მახლობლად, დურძუკები კი კავკასიაში VI საუკუნეში შემოჭრილი ავარული ტომი უნდა იყოს, რომლებსაც, მოგვიანებით, ერთერთი ადგილობრივი ტოპონიმის მიხედვით ხუნძები ეწოდათ. ღვთაება არმაზის სახელს მროველი სპარსულად მიიჩნევს – არა და სპარსეთი ესეთ ღვთაებას არ იცნობს – შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ეს იყო ბერძნების მიერ **"არესად"** წოდებული ღვთაება, წინარე იტალიურად **"მარისი"**, რომლის გეორგიანული ფორმა იქნებოდა **"მარგე"**, რომელიც საქართველოს მთიანეთში შემორჩა უმაღლესი ღვთაების სახელში **"მორიგე"**, იგივე **"მემარგე"**.

მროველის აზრით ფარნავაზამდე ქართველები სომხურად ლაპარაკობდნენ(!), იყვნენ ველური კანიბალები და ჭამდნენ საფლავიდან ამოთხრილ მკვდრებსაც. აი, ამიტომ მიიჩნევენ **"წითელი მეცნიერები"** სანდო წყაროდ მროველის მიერ XVI საუკუნეში დაწერილ სომხურ ნაბოდვარს.

ბაკურ მორგოშია

დაგვიანებული მადლობა ვახტანგ ყოლბაიას

ეს მოხდა ორმოცდაათი წლის წინ. საოცარია, ზუსტად ორმოცდაათი წელი გასულა.

მაშინ რვა წლის ვიყავი. ერთ-ერთი იმათგანი, რომელიც სკოლაში სწავლობდა, თამაშობდა, დახტოდა, იცინოდა, ცეკვავდა და მღეროდა...

ქ. გალის იმ ქუჩას, სადაც მე ვცხოვრობდი, პატარა მდინარე ჰყოფს შუაზე. მდინარეს ხეირიანად ვერც დაარქმევს კაცი, ვინაიდან ის იმდენად მცირეწყლიანია, რომ მანქანებს, რომლებიც ნაპირიდან ნაპირზე გადიოდნენ, ზოგჯერ საბურავებიც კი არ უსველდებოდათ.

ადამიანებისთვის კი საცალფეხო რკინის ხიდი იყო გადებული, მოაჯირის გარეშე, ძირს დაფენილი გაურკვეველი ფორმის ლითონის ნაჭრებითა და რკინის ბადეებით. მოკლეთ, ადამიანი ამ ხიდით სამშვიდობოს გასვლაზე მთლად დარწმუნებული არ იყო, რის გამოც ზოგიერთი ხიდით სარგებლობას ქვებზე ხტომახტომით მეორე ნაპირზე გასვლას ამჯობინებდა.

მდინარეს ოჯოღორე ჰქვია. მდინარე ალბათ იმიტომ შეარქვეს, რომ ადიდება იცოდა დროდადრო. აი, მაშინ კი ნამდვილად საშიში და დაუნდობელი იყო. ადიდებულს თან მოჰქონდა ყველაფერი, სულიერი და უსულო – საქონელი, ფრინველი, ხეები, ფიცრები და სხვა. იმდენად იცოდა ადიდება, რომ ახლო ნაპირას მდგარი სახლებიც კი დატბორილა, რადგანაც კალაპოტში ვერ ჩატეულა. ძალზე საშიში იყო მაშინ ოჯოღორე...

იმ დღეს გაკვეთილების შემდეგ ჩანთაღა დავტოვე სახლში და ფეხბურთის სათამაშოდ გავიქეცი. იმდენად გავერთეთ თამაშით, ამინდის შეცვლად არ შეგვიმჩნევია. არც წვიმამ შეგვიშალა ხელი თამაშში. კარგადაც დავსველდით და მხოლოდ თამაშის დამთავრების შემდეგ მომაგონდა, რომ ჩემებმა არ იცოდნენ სად ვიყავი, ინერვიულებდნენ, რის გამოც უეჭველი მომხვდებოდა.

სასწრაფოდ გავემართე შინისაკენ.

ოჯოღორე ადიდებულიყო. რამდენიმე ადამიანი იდგა მდინარის ორივე ნაპირზე და ვერ გაებედათ ხიდით სარგებლობა. გავბედე და ხიდზე ავედი. უფროსები გამომეკიდნენ, ხომ არ გაგიჟდი, სად მიდიხარო, მაგრამ ყური არავის ვუგდე და ნაბიჯს ავუჩქარე. პატარაობიდან თავისნათქამა ჯიუტი გახლდით.

მხოლოდ ხიდზე ვიგრძენი საშიშროება, მაგრამ თითქმის შუამდე ვიყავი მისული და აზრი არ ჰქონდა, რომელ მხარეს წავიდოდი.

დიდი მორის ხიდზე დაჯახებამ წყალში მომისროლა და წყალმა სწრაფად გამაქანა დინების მიმართულებით. ათ, თორმეტ მეტრში, ჩემდა საბედნიეროდ მოვახერხე და მავთულბადეს ჩავებღაუჭე. ვიწევი ნაპირისკენ, მაგრამ ჩემი პერანგიც და შარვალიც რაღაცას გამოედო, რაც პირიქით ქვევით მექაჩება. თან იმის საშიშროებაა, რაიმე მძიმე არ დამეჯახოს. ვიბრძვი, ვტირივარ. ვგრძნობ, როგორ მელევა ძალა.

ისმის წივილ-კივილი, მაგრამ საშველად მოსვლას ვერავინ ბედავს.

უცებ ჩემს გვერდით ცოტათი დიდი ბიჭი აღმოჩნდა. სწრაფად, ღონიერი მოქაჩვით პერანგი ამოგლიჯა, მღვრიე წყალში ხელის ფათურით შარვალი გამითავისუფლა და მისი დახმარებით ორივენი სამშვიდობოს გავედით...

უცნობი და ნაცნობი, ყველა მადლობას უხდიდა ჩემს მხსნელს. სახლში რა თქმა უნდა ამ ამბის შესახებ არაფერი მითქვამს. ისედაც მომხვდა ცალკე დაგვიანებისათვის, ცალკე პერანგისთვის, ცალკე იმისთვის, რომ სულ სველი ვიყავი.

არც იმის შესახებ მითქვამს რაიმე, რომ ის მდინარისგაღმა მეზობელი ბიჭი ჩანთიანად გადამხტარა მდინარეში ჩემს საშველად...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. აი, ორმოცდაათი წელი გავიდა და მხოლოდ ახლა მოვიფიქრე მადლობა ვუთხრა კარგ კაცს, კარგ ვაჟკაცს, სამაგალითო ქართველს, ნამდვილ კოლხს, ბატონ ვახტანგ ყოლბაიას, რომელსაც, როგორც მერე გავიგე, თავისი ხარჯებით ოჯოღორეზე კაპიტალური, სამანქანო და საცალფეხო ხიდი აუშენებია და, ამდენი ხნის მანძილზე ერთხელად არ წამოცდენა იმის შესახებ, თუ როგორ გამოგლიჯა ერთი მხიარული ბიჭის სიცოცხლე ოჯოღორეს.

ბედნიერებას გისურვებთ ბატონო ვახტანგ, ღმერთი იყოს თქვენი და ჩვენი სამშობლოს მფარველი!

თქვენ, რაც მე ვიცი, ერთს აჩუქეთ სიცოცხლე, ღმერთს ათი სიცოცხლე ებოძებინოს თქვენთვის! ღმერთმა უმრავლოს თქვენნაირი ვაჟკაცები ჩვენს სამშობლოს!

მომიტევეთ დაგვიანებული მადლობისთვის, თქვენი სულგრძელობის იმედი და რწმენა მაქვს, როგორც იტყვიან, სჯობს გვიან...

ომარ ნანავა

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ლევან ყენია: თემურ ქეცბაიას ნახევარ გუნდთან მოუვიდა კონფლიქტი...

ლევან ყენია შარშან მივიდა ლვოვის "კარპატიში". უკრაინაში წასვლამდე ის თითქმის ორწელიწადნახევარი ჩამოშორებული იყო საფეხბურთო მინდორს – ტრავმიანობამ დარია ხელი. 22 წლის ყენიას ახალ გუნდში მოუწევს გადასვლა, რადგან "კარპატიმ" ის და კიდევ ბევრი ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა. ყენია საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის ყოველთვის საინტერესო ფეხბურთელად მიიჩნეოდა და ეს ბუნებრივიცაა – რომ არა მისი ნიჭიერება, ხუთი წლის წინ თბილისის "ლოკომოტივიდან" გელზენკირხენის "შალკეში" ვერ მოხვდებოდა. ყენიას ვესაუბრეთ და მწვავე ინტერვიუც გამოვიდა. მეტწილად საქართველოს ნაკრებზე მოგვიწია ლაპარაკი...

მაშ ასე, ყენია ლაპარაკობს საქართველოს ეროვნულ გუნდზე, მწვრთნელსა და ფეხბურთელებზე...

– რა მოხდა "კარპატიში"? რამ გამოიწვია კლუბის ასეთი გადაწყვეტილება?

– ფინანსური პრობლემების გამო **"კარპატიმ"** ცხრამეტი ფეხბურთელი დააყენა ტრანსფერზე. კლუბი მოთამაშეებისთვის საშუალოზე მაღალი ხელფასის გადახდას ვეღარ ახერხებდა და გადაწყვიტა, თავისივე აღზრდილ ახალგაზრდებზე გააკეთოს აქცენტი.

– "კარპატიში" ერთი სეზონი ითამაშე ხანგრძლივი უქმობის შემდეგ. საკუთარ თავს როგორ ატყობ, უკვე ხელახლა გახდი ფეხბურთელი?

– ვფიქრობ, პირველი წრე კარგად ვითამაშე, ფორმაში შევდიოდი, მეორე წრეში კი პრობლემები მოგვეძალა, მწვრთნელი წავიდა, მერე დაბრუნდა, ფინანსური მხარე გაუარესდა... შედეგად, მთელ გუნდს ცუდად წაგვივიდა საქმე.

– "კარპატიმ" ტრანსფერზე რომ დაგაყენა, ის თანხაც დაასახელა, რის სანაცვლოდაც უნდა გაგიშვას სხვა გუნდში?

– არა, ხვალ მივემგზავრები უკრაინაში და ეს საკითხი უნდა გავარკვიო, სატრანსფერო თანხა მოსალაპარაკებელი გვექნება. კლუბმა ჯერ მხოლოდ ის მითხრა, ახალი გუნდის ძებნა უნდა დაიწყოო.

– უკვე გაქვს შემოთავაზებები?

– ჯერ არ მინდა ამაზე საუბარი, ისე კი, არის რაღაც ვარიანტები. ყველაფერი საბოლოოდ ერთ-ორ კვირაში გაირკვევა.

– უკრაინის ჩემპიონატმა რა შთაბეჭდილება დაგიტოვა? რამდენად რთულია იქ თამაში?

– თუ უკრაინის ოთხ საუკეთესო გუნდს არ მივიღებთ მხედველობაში, იქაური ჩემპიონატი საშუალო დონისაა და მასზე განსაკუთრებულიაო, არ ითქმის.

– უფრო საით მიგიწევს გული – რუსეთ-უკრაინა თუ დასავლეთ ევროპა?

– გული ევროპისკენ მიმიწევს, იქ კი ძალიან ძნელია თამაში. დასავლეთ ევროპის საუკეთესო ლიგებში ქართველი ფეხბურთელები თითქმის აღარ დარჩნენ... ვნახოთ, დრო გვიჩვენებს, ეს რამდენად გამომივა.

– როცა "შალკედან" წამოხვედი, ბერლინის "ჰერტაში" შეგეძლო გადასვლა. ლევან კობიაშვილის გუნდი ხელმეორედ ხომ არ დაინტერესებულა შენით?

– არა, **"ჰერტამ"** უკვე დაიმატა სხვა ფეხბურთელები.

– ნაკრებზე გადავერთოთ. 2 და 5 ივნისს ჩვენს ეროვნულ გუნდს ამხანაგური მატჩები ჰქონდა ირლანდიასთან და დანიასთან. თემურ ქეცბაიამ ამ მატჩებისთვის გამოგიძახა, მაგრამ ოჯახური სიტუაციიდან გამომდინარე, ნაკრების ამ შეკრებაზე არ მიხვედი. ცხადია, ამ გადაწყვეტილებით მწვრთნელი კმაყოფილი ვერ დარჩებოდა. ირლანდიაში გამგზავრების წინ ქეცბაიამ პრესკონფერენცია გამართა და იქ ასეთი რამ თქვა – სამშობლოსთვის ტანკს უვარდებიანო...

– ექვსი თვის წინ მქონდა ქორწილი დაგეგმილი და ვერ გადავდებდი. ფეხბურთს ძალიან მნიშვნელოვანი, განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ადამიანისთვის ყველაზე მთავარი ოჯახია. ამიტომაც ამ კონკრეტულ ვითარებაში ასეთი გადაწყვეტილება მივიღე და ვინც ეს ვერ გაიგო, ცივი წყალი დალიოს.

– ფაქტია, ნაკრების მწვრთნელმა პატრიოტიზმის თემა წამოსწია...

– ყველამ კარგად იცის, რაც ხდება საქართველოს ნაკრებში და ასეთი ლაპარაკი უკვე სასაცილოც კი არის. თუ ჩემი მისამართითაა ნათქვამი ქეცბაიას სიტყვები, ასეთ შენიშვნას ნამდვილად ვერ მივიღებ. 18 წლის ვიყავი, ეროვნულ ნაკრებში რომ ვთამაშობდი, მეორე დღეს კი, თუ საჭირო იყო, 19 ან 21-წლამდელთა ნაკრებსაც ვეხმარებოდი. ერთხელ ვერ მოვახერხე ნაკრებში მისვლა და ალაპარაკდა. სიმართლე გითხრათ, ამ ადამიანის ნათქვამს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. როცა გუნდში უთანხმოებები ჩნდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელი ვერ ალაგებს ურთიერთობას ფეხბურთელებთან. ამ ურთიერთობის მოწესრიგების ინიციატივა, პირველ რიგში, მწვრთნელიდან უნდა მოდიოდეს.

– როგორ ფიქრობ, ასეთი მკვეთრი განცხადებების შემდეგ ქეცბაია ისევ გამოგიძახებს ნაკრებში?

– მე ძალიან მინდა ნაკრებში თამაში, მაგრამ თუ მწვრთნელი აღარ გამომიძახებს, ესე იგი, ასე ყოფილა საჭირო. რასაც ამ მწვრთნელის ხელში თამაშობს საქართველოს ნაკრები, მას ბევრი შემტევი ფეხბურთელი არც სჭირდება. ნაკრები ორ თამაშზე ერთი თავდამსხმელით რომ წავა, რა უნდა ვილაპარაკო?! რასაც ჩვენი ნაკრები თამაშობს, მე ეს ფეხბურთად არ მიმაჩნია – ფეხბურთელში ფეხბურთელი აღარ ჩანს და ნაკრებში ნაკრები.

– ნაკრებში საკუთარ თამაშს როგორ შეაფასებდი? საფრანგეთთან 1:3 რომ წაგაგეთ, ქეცბაიამ მეორე ტაიმიდან შეგიშვა მოედანზე, თუმცა თავის გამოჩენა ვერ მოახერხე, ლევან ყენიათი ბევრი უკმაყოფილო დარჩა...

– თავის მართლებას არ დავიწყებ, მართლა ვერ ვითამაშე კარგად, თუმცა სანამ მოედანზე შევიდოდი, უკვე თერთმეტი კაცით იჯდა ჩვენი ნაკრები უკან. როცა მინდორზე გავედი, ორ წუთში უკვე 0:2-ს ვაგებდით.

ისეთ რამეს ნუ მომთხოვენ, რისი გაკეთებაც მხოლოდ მსოფლიო დონის ფეხბურთელებს თუ შეუძლიათ. მარტოკა ათ კაცს ვერ მოვატყუებდი. ბურთის ასართმევად დავრბოდი თანაგუნდელებთან ერთად, მეტოქის კარიდან ოთხმოციოდე მეტრის დაშორებით ვიდექით და ამ ყველაფრის შემდეგ, ზოგი ისეთ რაღაცებს ლაპარაკობს, თითქოს პირველად უყურა ფეხბურთს.

– ყველას უჩნდება კითხვა – საქართველოს ამ ნაკრებმა რას უნდა მიაღწიოს?

– მწვრთნელს ნახევარ გუნდთან მოუვიდა კონფლიქტი და ამით, პირველ რიგში, ნაკრები ზარალდება, ფეხბურთელები ზარალდებიან და თვითონ მწვრთნელიც.

გამოჩნდება, ამით რას მივაღწევთ. საქართველოს ნაკრები ასე უკნიდან არასდროს არ თამაშობდა...

– გასაგებია, რომ გუნდში არსებულ ატმოსფეროზე, შედეგზე, პირველ რიგში, მთავარი მწვრთნელია პასუხისმგებელი, თუმცა საკუთარი წილი პასუხისმგებლობისა ფეხბურთელებსაც გაკისრიათ, მოედანზე თქვენ გადიხართ და იქ უკვე თქვენს ხელშია ყველაფერი...

– რა თქმა უნდა, ყველას თავისი პასუხისმგებლობა აქვს, არავის არ უნდა მოედანზე წასაგებად გასვლა, მაგრამ როცა გუნდში ჯანსაღი სიტუაცია არ არის, ფეხბურთელს შედეგს ვეღარ მოსთხოვ. პასუხისმგებლობას არავინ არ უნდა გაურბოდეს, ყველამ საკუთარ თავში უნდა ჩაიხედოს და პრობლემა იქ მოძებნოს. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ეს უკვე მეტისმეტია...

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საბამოცემო ჯგუფი



შსს – ვიდეოფირებთან დაკავშირებით ყოფილი მაღალჩინოსნების, მათ შორის მეგის ქარდავას ბრალეულობა გამოიკვეთა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ირაკლი დარიბაშვილსა და საქართველოში აკრედიტირებულ დიპლომატიურ კორპუსის წარმომადგენლებს შორის შეხვედრის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა.

როგორც **შსს**-ს განცხადებაშია ნათქვამი, ირაკლი დარიბაშვილმა დიპლომატებს განუცხადა, რომ უკვე დაკავებულნი არიან სამეგრელოს სპეციალურ სამალავებში აღმოჩენილ ვიდეოფირებში ასახულ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში მონაწილე პირები. ამავე უწყების ინფორმაციით, ამავე სისხლის სამართლის საქმეებზე დადგენილია **შსს**-ს ყოფილი მაღალჩინოსნების: მეგის ქარდავას, კოხტა კოდუასა და დავით ჩაგინავას ბრალეულობა. **შსს**-ს ინფორმაციით, მინისტრმა დიპლომატებს სამეგრელოში აღნიშნული ვიდეოფირებიც გააცნო.

ოფიციალური ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, იარაღის უკანონო შეძენა – შენახვის, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და წამების ბრალდებით **შსს**-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სამი მოქმედი თანამშრომელი: გ.შ, მ.ხ, გ.ჭ. და ყოფილი თანამშრომელი პ.ქ. დააკავეს.

ასევე დაკავებულია თ.უ, რომელიც ვიდეომასალაზე აღბეჭდილ პირებზე უშუალოდ ახორციელებდა სექსუალურ ძალადობას.

"გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული პირები მონაწილეობდნენ დაკავებულების წამებასა და მათ მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში. ბრალდებული პირების იდენტიფიცირება მოხდა სამეგრელოში შენიღბულად მოწყობილ, სპეციალურ სამალავებში აღმოჩენილი ვიდეოფირების საშუალებით. ამავე სისხლის სამართლის საქმეებზე დადგენილია შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნების: მეგის ქარდავას, კოხტა კოდუასა და დავით ჩაგინავას ბრალეულობა. გამოძიების ინფორმაციით, კოხტა კოდუა და დავით ჩაგინავა ამჟამად საქართველოში არ იმყოფებიან, მათზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდება. მეგის ქარდავა ინტერპოლის წითელი ცირკულარით უკვე იძებნება", – ნათქვამია განცხადებაში.

შსს-ს ინფორმაციით, ამ დროისათვის საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს ექვსი პირის მიმართ, მათ შორის არიან: თავდაცვის სამინისტროს მოქმედი თანამშრომელი კ.თ, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხედრო პოლიციის ორი ყოფილი თანამშრომელი ბ.ბ. და გ.ბ, ასევე ზუგდიდის პოლიციის ყოფილი უფროსი რ.შ. და ზუგდიდის პოლიციის ყოფილი თანამშრომელი ლ.ქ.

საართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით გამოძიებას აგრძელებს.

ილუმორი

მეგრელ ტაქსის მძღოლს დასცხა, ფანჯრის შუშა ჩასწია და მგზავრს ეკითხება:

– ხომ არ გიბერავთ, ქალბატონო?

– არა, რას ამბობთ, პირიქით...

– როგორ, თქვენ უბერავთ?

* * *

ინჟინრების ოჯახი. ქმარი ცოლს ეუბნება:

– დედამიწის გარშემო რამდენიმე ფენად სპილენძის მავთულს თუ შემოვახვევთ, ცვლადი დენის გენერატორი გამოვა.

– დღესაც დათვერი, არა? ცვლადი კი არა, მუდმივი დენის!

* * *

კახეთში ქელეხია. მიტომ ხაშლამის ჯერ ერთი ნაჭერი გადმოიღო, მერე – მეორე, მერე – მესამე. შაქრომ ვეღარ მოითმინა:

– გეყოფა, ჯო! თეფშზე ძვლების დასაყრელი ადგილი მაინც დატოვე!

* * *

ავადმყოფი საოპერაციოდ გაამზადეს, ქირურგმა სკალპელი მოიმარჯვა.

– არ გაჭრა, ექიმო, არ დაიწყო ოპერაცია! – შემორბის ასისტენტი. – ავადმყოფს ოპერაციისათვის სერიოზული უკუჩვენება აღმოაჩნდა.

– რა უკუჩვენება?

– მთელი ღამე აბოდებდა, კაპიკი ფული არა მაქვსო.

გამოვიდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" სამეცნიერო-პოპულარული და ლიტერატურული ჟურნალ "აია"-ს 2013 წლის პირველი ნომერი. მთავარი რედაქტორი გიორგი სიჯინავა.

ჟურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ ზუგდიდში (რუსთაველის ქ. №68), სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, მარტვილში და აბაშაში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" წარმომადგენლებთან.

თბილისში – ტაშკენტის ქ. №25, I სადარბაზო, ბინა, 1. ფასი 4 ლარი

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, დავით ქობალია, გიორგი სიჯინავა, ნუგზარ სალაყაია (ბალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge